დაუჭედელი nicht geschmiedet
დაუჭერელი nicht gefangen
დაუჭიმავი nicht gespannt
დაუჭირავი s. დაუჭერელი
დაუჭირებლად (Adv.) unnötig
დაუჭ(კ)ნობელი unverwelklich
დაუხდომელი nicht vorgekommen, nicht ereignet
დაუხედავი, დაუხედველი unbedacht, unüberlegt
დაუხიზნავი ohne Haus
დაუხსნელი uneinlösbar
დაუხუჭველი die Augen nicht verschließend
დაუჯდომელი Akathistos *m* (Kirchengesang, der stehend gesungen wird)
დაუჯერებელი nicht glaubwürdig; ~ ამბავი unglaubhafte Nachricht *f*; -ბლობა Unglaubwürdigkeit *f*; Ungehorsam *m* [tafel *f*
დაფა Tafel *f*; ასპიდის ~ Schiefer-
დაფათერაკება Pech haben
დაფანტვა auseinanderwerfen, zerstreuen; ჭკუა დამეფანტა ich verlor den Verstand
დაფანტული zerstreut
დაფანჩვა einschließen
დაფანჯრვა ein Fenster anbringen
დაფარგლვა einen Kreis ziehen
დაფარება bedecken
დაფარვა verdecken, verstecken, bewahren; დაფარნა er bedeckte; დამიფარე schütze mich! დამფარავს er schützt mich; დამეფარვის er versteckt sich vor mir
დაფართოვება erweitern
დაფარნა Altardecke *f*, Kelchtuch *n*
დაფარული verborgen; Geheimnis *n*
დაფარულობა Verborgenheit *f*
დაფარცხვა eggen
დაფასება schätzen; შრომის ~ die Arbeit würdigen
დაფაღარათება Durchfall haben
დაფაჩუნება bewegen, rühren
დაფაცებება etwas schnell erledigen
დაფაცურება hin und her laufen; blinzeln
დაფახვა beunruhigen [beunruhigen
დაფდაფი (p.) Trommel *f*
დაფეთა in Stücke zerreißen
დაფეთება aufregen, beunruhigen, erschrecken; მე დამეფეთა ich war erschrocken [schrocken
დაფეთებული beunruhigt, er-
დაფეთიანება aufschrecken
დაფენა ausbreiten; sich betten; pflastern; ნუ დაუფენ ღორსა მარგალიტსა werfet nicht die Perlen vor die Säue!
დაფენილობა Abdachung *f*
დაფერადება färben
დაფერდება sich auf die Seite legen
დაფერება schmeicheln
დაფერვა färben, polieren; ~ ოქროთი vergolden
დაფერთხა klopfen, schütteln
დაფერილობა Färbung *f*

დაფეროვნება verschönern
დაფერფლვა zu Asche werden
დაფეშქაშება Geschenke machen, bescheren
დაფთხვალი s. დაფთხობილი
დაფთხობა erschrecken, beunruhigen; დამიფთხობს მოსვენებას er gibt mir keine Ruhe
დაფთხობილი erschreckt
დაფი (p.) Pauke *f*
დაფითება s. დაფეთება
დაფიონა (p.) Morgen-, Abendröte *f*
დაფიქრება nachdenken, sich kümmern um
დაფიქრებული nachdenklich
დაფიცება, დაფიცვა zum Schwur bringen; schwören; verheimlichen, verneinen; დაიფიცა er beschwor
დაფიცებული Eides-
დაფიჩნება erstarren (vor Kälte)
დაფლანგვა vergeuden
დაფლატოვება unterspülen (vom Wasser)
დაფლეთა zerreißen
დაფლვა aufgraben, beerdigen; versinken; დაჰფლა er begrub; დავეფლობი ich werde begraben; ფეხი დამფლვია ich versank mit dem Fuß [vergraben
დაფლობა erobern, beherrschen;
დაფლული vergraben (P. P.)
დაფნი (gr.) Lorbeerbaum *m*; დაფნის გვირგვინი Lorbeerkranz *m*
დაფოთება erschrecken, überraschen
დაფოთლება sich mit Blättern bedecken
დაფორება Löcher bekommen
დაფორიაქება ausplündern, verwüsten
დაფრენა fortfliegen lassen
დაფრეწა in Stücke zerreißen
დაფრეწილი zerfetzt
დაფრთიანება sich befiedern
დაფრთხობა s. დაფთხობა
დაფრინება s. დაფრენა
დაფრინვა fliegen
დაფრტვინვა erschüttern
დაფრქვევა verstreuen, verschütten
დაფრცქვნა abschälen
დაფრჭკვნა verwelken
დაფურთხება speien
დაფურცლვა sich mit Blättern bedecken
დაფუსფუსება umherschlendern
დაფუტუროება hohl werden, ausfaulen [men
დაფუტუროებული hohl (von Bäu-
დაფუფქვა abbrühen [inieren
დაფუქვა zusammendrücken; ru-
დაფუღუროვება aushöhlen
დაფუშვა aufschlitzen; zerstören
დაფუცუნება zittrig werden
დაფუცუნებული zittrig [gründen
დაფუძნება den Grundstein legen,
დაფუძნებული gegründet
დაფუჭვა verderben
დაფქვა mahlen
დაფქული gemahlen; Mehl *n*
დაფშვნა zerkrümeln, zerstoßen
დაფშვნეტა zerkrümeln, ausschütteln; ~ხელებისა die Hände reiben
დაფშხალვა zermahlen
დაფშხალული welk, morsch
დაფშხვნა s. დაფშვნა

დაფჩხნა sich losreißen
დაფცქვნა schälen (Obst)
დაფხა(კ)ნა kratzen
დაფხაჭნილი wund, aufgerieben
დაფხეკა abreiben, abschuppen
დაფხვნა s. დაფშვნა
დაფხვრა herausreißen
დაქადება drohen; დამექადა er bedrohte mich
დაქადნა vorwerfen; prahlen
დაქანება herabwälzen, sich herunterlassen
დაქანებული abschüssig
დაქანებულობა Abschüssigkeit *f*
დაქანცვა erschöpfen
დაქანცული erschöpft, müde
დაქაქანება plappern
დაქეიფება sich amüsieren
დაქენჯვა quälen, strafen
დაქექა aufgraben
დაქეცება räudig werden
დაქვაბებული voll Höhlen
დაქვავება mit Steinen werfen
დაქვევება, დაქვენა wälzen; überwinden
დაქვეითება zurückbleiben; nachlassen
დაქვიშვა mit Kies bestreuen
დაქვრივება Witwe oder Witwer werden
დაქვრივებული verwitwet
დაქირავება mieten
დაქირავებული gemietet
დაქირდვა ausschimpfen
დაქიშპება in Wettstreit treten, nacheifern
დაქლიბვა abfeilen
დაქნა abziehen; winden; ~ ტყავის die Haut abziehen; ~ ქალამანისა den Bastschuh binden
დაქნევა wegschleudern; ~ თავისა mit dem Kopfe nicken
დაქნილი gewunden; raffiniert
დაქოთება in Unordnung bringen
დაქოლვა mit Steinen werfen; verfluchen
დაქომაგება sich jemds. annehmen
დაქონა tragen; დამაქვს ich trage bei mir; დაქონდა er trug bei sich
დაქორწილება, დაქორწინება eine Ehe schließen; დაქორწინდენ sie haben geheiratet
დაქოქლვა mit großen Stichen nähen
დაქრთამვა bestechen
დაქრობა auslöschen
დაქროლა blasen
დაქსაქსნა verwirren
დაქსოვა weben
დაქსუვება s. გაქსუვება
დაქუხება, დაქუხვა donnern
დაქშევა wegjagen
დაქცევა zerstören, vernichten; vergießen; ~ სისხლისა Blut vergießen
დაქცეული zerstört
დაღა, დაღათუ, დაღათუმცა obwohl, wenn auch
დაღალატება verraten
დაღალატებული betrogen, verraten
დაღალვა ermüden; დავიღალე ich wurde müde
დაღალული müde
დაღალულობა Müdigkeit *f*
დაღამება Nacht werden; დამიღამდა die Nacht überraschte mich;

დაუღამდა die Nacht überraschte ihn
დაღამებული dunkel geworden
დაღარვა auskehlen, ein Gewinde
დაღარიბება verarmen [machen
დაღბაში (p.) s. ათისთავი
დაღება öffnen; ~ პირისა den Mund aufsperren
დაღებვა färben
დაღებული geöffnet
დაღერება entgegensetzen; დანის ყელზე ~ das Messer an den Hals setzen [mahlen
დაღერღა nagen, beißen; grob
დაღეჭა zerkauen
დაღვა stempeln, einbrennen
დაღვედნა verschlingen
დაღვენთება tröpfeln
დაღვივება anfachen (Feuer)
დაღვიძება aufwecken
დაღვლარჭუნება sich zusammenziehen, einschrumpfen
დაღვრა vergießen; ~ ცრემლისა Tränen vergießen
დაღი (p.) Stempel *m*; დასმა დაღისა einen Stempel aufdrücken; ~ გულისა Herzenswunde *f*
დაღირება schätzen
დაღიღინება ein Rezitativ singen
დაღიჯინება flehentlich bitten
დაღლა ermüden
დაღლეტა abschürfen; betrügen
დაღლილი s. დაღალული
დაღმა nach unten; თავ-~ mit dem Kopf nach unten
დაღმავალი herabgehend
დაღმათყვანება herabziehen lassen
დაღმართი Abhang *m*
დაღმართობა Abschüssigkeit *f*
დაღმეჭა falten, runzeln
დაღმეჭილი gefaltet
დაღმეჭილობა Falte, Runzeln
დაღონება traurig, nachdenklich sein; Trauer *f*; ნუ დაღონდები sei nicht traurig!
დაღონებული traurig, nachdenklich
დაღონიერება kräftigen
დაღონღილება schleichen, sich
დაღოღვა kriechen [schleppen
დაღრაჭუნება knirschen (mit den
დაღრეკა sich biegen [Zähnen)
დაღრეკილი gebogen
დაღრენა knurren
დაღრეცა s. დაღრეჯა
დაღრეჭა s. დაღრეჯა
დაღრეჯა das Gesicht in Falten ziehen, Grimassen schneiden; nachdenklich, traurig sein [haft
დაღრეჯილი nachdenklich; fratzen-
დაღრიალება zu brüllen anfangen
დაღრმავება vertiefen
დაღრმავებული vertieft
დაღრმობა s. დაღრმავება
დაღრომა nachdenklich sein
დაღრომილი nachdenklich, traurig
დაღრუბლვა sich bewölken
დაღრუვება auswaschen (vom Flußbett)
დაღრღნა benagen [tauchen
დაღრძობა verstauchen
დაღრჭენა die Zähne fletschen
დაღუდლება anbeißen
დაღუნვა sich bücken, neigen; ~ თავისა den Kopf sinken lassen, nachdenklich werden

დაღუნული gebückt, geneigt
დაღუპვა untergehen; zugrunde richten; დაღუპავს ოჯახსა er richtet die Familie zugrunde; დამღუპეს sie bereiteten mir den Untergang; დაიღუპები du wirst umkommen
დაღუპული untergegangen, verloren
დაღუღუნება leise vor sich hinsingen
დაყაბულება einverstanden sein; დამყაბულდა er war mit mir einverstanden
დაყალიბება regulieren
დაყბარვა jem. Unglück bringen
დაყბედ(ნ)ა schwätzen, plaudern
დაყენა, დაყენება stellen, aufstellen; hindern; ~ ყარაულისა Wache aufstellen; ~ საათისა eine Uhr stellen, richten; ~ არაყისა, ღვინის Branntwein, Wein bereiten
დაყენებული aufgestellt
დაყეფა bellen
დაყვა bleiben; verbringen, s. a. დაყოვნა; დაიყვნეს ყურნი sie verschlossen die Ohren; დაჰყო ზაფხული მთებში er verbrachte den Sommer in den Bergen
დაყვავება besänftigen
დაყვავილება aufblühen
დაყვანა führen
დაყვედრა, დაყვედრება vorwerfen, Vorwürfe machen
დაყველება gerinnen
დაყვენვა scheren, rasieren
დაყვერვა kastrieren
დაყვითლება gelb werden
დაყვითლული gelb, fahl
დაყვირება schreien, rufen
დაყვნა s. დაყვა
დაყიდვა verkaufen
დაყივლ(ებ)ა anschreien, zurufen
დაყივნება schreien
დაყინვა erfrieren
დაყიჟინება aufschreien
დაყმედა schwätzen [machen
დაყმევა zum Sklaven, Leibeigenen
დაყმუვილი Heulen *n*
დაყმუნება verstummen
დაყმუნებული schweigsam
დაყოვნა, დაყოვნება verhindern; verzögern, stören, aufhalten; ნუ დამაყოვნებ störe mich nicht! halte mich nicht auf!
დაყოვნებული verzögert, abwartend
დაყოლა folgen, einverstanden sein
დაყოლიება ausmachen, ausbedingen, sich einverstanden erklären
დაყოფა teilen; verbringen, verzögern; ~ ხანისა die Zeit verbringen; დღენი დამიყოფიან ich habe meine Tage verbracht; ვუყოფ პირსა ich bringe ihn zum Schwei-
დაყოფილება Teilbarkeit *f* [gen
დაყოყინება brüllen
დაყოყმანება verzögern
დაყოყმება sich verspäten, zu lange wegbleiben
დაყრა werfen, schütten; ~ ისარის einen Pfeil abschießen; ~ სადავისა die Zügel schießen lassen; ~ ფრთათა die Federn verlieren; ~ ფოთლისა die Blätter abwerfen, kahl werden (von Bäumen); ~ ხორცისა abmagern; თოფი

დააყარა er schoß die Flinte ab, feuerte zu; დაგვყარნა er warf uns; ხელი არ დაეყრება du wirst nichts ausrichten
დაყრდენა sich stützen
დაყრევინება werfen lassen; კბილები ~ die Zähne ausschlagen
დაყრილი geworfen
დაყროლება schlecht riechen
დაყროყინება aufbrüllen
დაყრჩოლა übel riechen; rauchen
დაყრჩოლება rauchen; räuchern
დაყრუვება taub werden
დაყუდება sich stützen, sich lehnen auf; ~ ბერად zum Mönch werden
დაყუდებული gestützt; ~ მონაზონი Einsiedler *m*, Asket *m*
დაყუდნება beruhigen
დაყ(უ)დნობილი gestützt
დაყუდროვება beruhigen [schen
დაყურება, დაყურვა zusehen; lau-
დაყურსება erneuern, reinigen; konzentrieren
დაყურყუმელავება untertauchen
დაყუჩება verstummen, sich beruhigen [den)
დაშადება aufreihen (auf einen Fa-
დაშავება schwärzen; schädigen; entstellen, verstümmeln; Schuld *f*; ~ საქმისა eine Sache verderben; დავუშავებ ich schädige ihn; ფეხი დაუშავდა sein Fuß wurde verletzt [verletzt
დაშავებული geschwärzt; entstellt;
დაშანთვა einen Stempel einbrennen
დაშარტვა umwickeln
დაშაქრვა zuckern
დაშაქრული gezuckert
დაშაშრვა zerplatzen, bersten
დაშაშრული geborsten
დაშაშხვა räuchern [lonisieren
დაშენ(ებ)ა bebauen, besiedeln, ko-
დაშენებული bebaut
დაშვება herablassen, senken; დაეშვა er ließ sich hinab
დაშვებული herabgelassen
დაშვენება schmücken
დაშვლეპა abreißen
დაშთენა bleiben; s. a. დაშთომა
დაშთობა ertränken; erhängen
დაშთომა bleiben; უსაქმოდ ~ beschäftigungslos sein; დაშთა es blieb übrig; დავშთები თქვენი უმორჩილესი მონა ich verbleibe Ihr ergebenster Diener
დაშთომილი übriggeblieben
დაშიება hungern
დაშინაურება zum Hausangehörigen werden; zahm werden
დაშინება schrecken; erschrecken; სეტყვას დაუშინა der Hagel schlug ein
დაშინებული erschreckt
დაშინჯვა betrachten, durchsuchen
დაშიშვლება nackt ausziehen
დაშკმა (პირის) den Mund aufsperren
დაშლა zerstören, einreißen; verbieten; წასვლა არ დაიშალა er gab seine Absicht fortzugehen, nicht auf; დაიშალა ნადირობა die Jagd wurde eingestellt; კრება დაიშალა die Versammlung wurde geschlossen

დაშლევინება jem. etwas verbieten
დაშლილი zerstört; verboten
დაშმაგება wüten
დაშმორება muffig werden
დაშნა Säbel *m*; Messer *n*
დაშორება (sich) entfernen; დაშორდა er hat sich von mir entfernt [gen
დაშოშმინება beruighen, besänfti-
დაშრეტა erlöschen; ~ თვალის das Augenlicht verlieren
დაშრობა austrocknen [müden
დაშრომ(ებ)ა sich abarbeiten, er-
დაშრტენა s. დაშრეტა
დაშრტიალება jem. anschreien
დაშტანი, დაშტანობა (arm.) monatliche Reinigung *f*, Regel *f*, Menstruation *f*
დაშტერება unverwandt ansehen;
დაშუღლება zanken [heilen
დაშუშება Schmerz vertreiben,
დაშუშვა anbraten, rösten
დაშუშული angebraten, geröstet
დაშუშხვა verbrennen
დაშფოთება wütend sein
დაშხამება, დაშხამვა vergiften; დაიშხამებს სიცოცხლესა er vergiftet sich das Leben
დაშხეპა, დაშხეფვა vollspritzen
დაშჯა s. დასჯა
დაჩაგრვა unterdrücken, knechten
დაჩაგრული unterdrückt
დაჩაგრულობა Unterdrückung *f*
დაჩადრვა die Tschadra (Schleier) umbinden
დაჩარჩვა in Stücke zerschneiden
დაჩარხვა abschleifen
დაჩაჩანაკება gebrechlich werden
დაჩაჩანაკებული gebrechlich
დაჩემება sich aneignen
დაჩემინება hartnäckig bestehen auf
დაჩენა zeigen; erweisen; ~ სიხარულისა Freude zeigen; დავიჩენ სამსახურად ich betrachte als Dienst, als Gefälligkeit
დაჩენჩა schälen, aushülsen
დაჩეჩა auskämmen
დაჩეჩება s. დაცეცება
დაჩეჩქა zerknittern, einklemmen
დაჩეხა spalten, zerhauen
დაჩეხილი gespalten; verwundet
დაჩვევა gewöhnen
დაჩვეული gewöhnt
დაჩვილება erweichen
დაჩვრეტა reißen, Risse bekommen
დაჩვრეტილი brüchig, porös
დაჩი! heda!
დაჩივლება eine Klage vorbringen
დაჩითვა appretieren
დაჩითული appretiert; aufgedruckt (auf Leinwand)
დაჩინჩება s. დავაჭრება
დაჩირქება eitrig werden
დაჩირქიანება vereitern
დაჩიჩინება jem. etwas einprägen
დაჩიჩქნა ausstochern, auskratzen
დაჩლუნგება abstumpfen
დაჩმახვა plaudern, schwätzen, prahlen
დაჩნევა die Spur verfolgen, bemerken
დაჩნეული merkbar, sichtbar
დაჩოლფოთება ersticken
დაჩოქება niederknieen

დაჩრა steckenbleiben
დაჩრდილება, დაჩრდილვა beschatten
დაჩრიხული Nestling, der anfängt flügge zu werden [Motte)
დაჩრჩილვა zerfressen (von der
დაჩრჩილული vonMotten zerfressen
დაჩუმება verstummen, schweigen
დაჩურეტა s. დაჩვრეტა
დაჩურთვა verstopfen
დაჩურჩვა auskernen
დაჩურჩნა, დაჩურჩულება flüstern
დაჩუქრვა beschenken
დაჩქარება eilen
დაჩქაფუნება strömen [schneiden
დაჩქლეთა in kleine Stücke zer-
დაჩქრიალება s. დაჩხრიალება
დაჩჩვია weich werden
დაჩჩვილება erweichen
დაჩხაბვა aufkritzeln
დაჩხავლ(ებ)ა winseln, wimmern
დაჩხვება verletzen, stoßen, quet-
დაჩხვლეტა durchstechen [schen
დაჩხრეკა durchsuchen
დაჩხრიალება anfangen zu klirren
დაჩხუბვა sich streiten
დაჩხუბილი verunreinigt, entzweit
დაცადება warten, sich gedulden; anhalten,stehenbleiben;ausproben
დაცადებული erschöpft; geprobt
დაცალიერება ausleeren
დაცალიერებული entleert
დაცანცალება gehen (von kleinen Tieren)
დაცარვა auseinanderrollen
დაცარიელება ausleeren; räumen
დაცარცვა ausplündern
დაცახცახება zittern
დაცდა erwarten, abwarten; durchmachen; დაიცა warte!
დაცდევინება warten lassen
დაცდენა nicht ins Ziel treffen, fehlschießen
დაცდილი erfahren, erprobt
დაცდობა verfehlen
დაცემა fallen, verfallen, anfallen; ~ ასაკლებად Überfall; ციხე დაეცა die Festung fiel; დასცა მახვილი მუცელსა er durchbohrte ihn mit dem Schwert; თავზე დამეცა es fiel mir auf den Kopf; წვიმის ნამი დასცემია auf ihn fielen Regentropfen; ბინდი დაეცა es wurde dunkel; დამცემოდა er fiel mich an; დამეცნით sie überfielen mich
დაცემინება fallen lassen; ~ თოფისა abdrücken (den Hahn des Gewehrs)
დაცემული gefallen (P. P.), verarmt, heruntergekommen; ელვით ~ vom Blitz getroffen
დაცემულობა heruntergekommen, verarmt sein; Verdorbenheit *f*
დაცერა, დაცერვა zerschneiden
დაცეცება anstarren
დაცეხვა dreschen
დაცვა bewahren, erhalten, schützen, verteidigen; დაცვად zum Aufbewahren; დაიცვა er hat verteidigt
დაცვარვა benetzen, befeuchten; sich mit Tau bedecken
დაცვეთა abtragen (Kleider); ~ ფეხსაცმელების die Schuhe abtragen

დაცვეთილი abgetragen, abgenutzt
დაცვივ(ნ)ა herabfallen; ფოთოლი დასცვივდა ხეს die Blätter fielen vom Baume; დამცვივდა თმა ich wurde kahl, verlor die Haare
დაცვლა verändern, wechseln
დაცვმა s. დაცმა
დაცვრევა befeuchten, benetzen
დაცთენა, დაცთომა verfehlen, nicht ins Ziel treffen; Zeit vergeuden
დაცთუნება verfehlen
დაცივება abkühlen
დაცილება (sich) entfernen; das Ziel verfehlen; bestreiten; ~ გზისა vom Wege abirren
დაცინება, დაცინვა auslachen; დაცინვით spöttisch, höhnisch
დაცინებული ausgelacht
დაცინცლვა ablocken; დამცინცლა სიტყვა er hat mir das Wort abgelockt
დაცლა warten; räumen; ausleeren; ~ ციხის eine Festung übergeben; თუ ღმერთმან დამაცალოს wenn Gott mich es erleben läßt; ღმერთმან დაგაცალოს Gott verlängere dein Leben!
დაცლევინება warten lassen, aufschieben; ausräumen; ოთახის ~ ein Zimmer räumen lassen
დაცმა aufstecken; verschließen
დაცმუკება schrecken
დაცმული aufgesteckt
დაცობა verstopfen, verschließen
დაცოლშვილიანება eine Familie gründen
დაცონება faulenzen
დაცორვა kriechen
დაცოტავება verringern
დაცოფვა tollwütig sein
დაცოცვა kriechen
დაცოცხლება beleben
დაცოხნა kauen
დაცრა sieben; impfen
დაცული bewahrt, geschützt
დაცურვა schwimmen
დაცუცქვა sich auf die Hinterbeine setzen (vom Hund)
დაცქაფება bespritzen
დაცქერა, დაცქირება unverwandt ansehen; ოთახი დასცქერს ქუჩას das Zimmer geht auf die Straße
დაცქ(ვ)ეტა auffahren; ცხენმა ყურები დაცქვიტა das Pferd spitzte die Ohren
დაცქნაფვა sich verbergen
დაცხება einschmieren
დაცხელება erhitzen
დაცხვრა s. დაცხრომა
დაცხიკვება niesen
დაცხომა schwül werden
დაცხრობა beruhigen; ~ ენის schweigen
დაცხრომა aufhören, still werden, nachlassen (vom Schmerz); ~ მთვარისა Abnehmen (des Mondes); დასცხრა es hörte auf, ließ nach; დასცხრენ sie hörten auf, ließen nach
დაცხრომება abnehmen [lassen
დაცხრომილი aufgehört, nachgedაცხუნება erwärmen
დაძაბუნება schwächen, unterdrücken; alt werden; მიყვარობამ დამიძაბუნა die Liebe fesselte mich

დაძაბუნებული geschwächt; alt geworden
დაძაგება verabscheuen, tadeln
დაძალვა, დაძალიანება Widerstand leisten; die Oberhand gewinnen
დაძახება rufen, herrufen, einladen; დაიძახა er schrie auf; დაუძახა er rief ihn
დაძახვა zusammendrehen
დაძახილი Ruf *m*
დაძგერა, დაძგერება schlagen, stoßen; sich werfen auf; ტყვია გულს დასძგერებოდა die Kugel durchdrang ihm das Herz
დაძებნ(ვ)ა suchen; რას დამეძებ wozu brauchst du mich? რას დავეძებ was geht es mich an
დაძეგვა dreschen
დაძენა verbinden, hinzufügen
დაძეძკა stoßen
დაძველება alt werden
დაძველებული alt
დაძვირება teuer werden
დაძვირებული teuer; selten
დაძვრა wegschieben
დაძვრენა sich herauswinden
დაძინება einschlafen; დავიძინებ ich werde einschlummern; დაიძინა er schlief ein; გვიან დავიძინე ich bin spät eingeschlafen; გნებავსთ დაიძინოთ? wollen Sie schlafen?
დაძირვა versenken
დაძლევა überwältigen [strengen
დაძლიერება verstärken; sich an-
დაძმანი (= და და ძმა) Schwester und Bruder, Geschwister *pl.*
დაძმარება säuern; in Essig verwandeln
დაძმარებული gesäuert; ~ ღვინო in Essig verwandelter Wein
დაძმობა = და და ძმა Bruder und Schwester; დაძმობის სიყვარული Geschwisterliebe *f*
დაძმობილება sich verbrüdern; დაძმობილდნენ sie haben Brüderschaft geschlossen
დაძონძა alt, abgenutzt werden; სამოსელი დამიძონძდა meine Kleider sind alt geworden
დაძრახვა tadeln
დაძრვა bewegen, rühren; frösteln
დაძრობა herausreißen; auskriechen
დაძრომა kriechen; erfrieren; ~ თითების die Finger erfrieren
დაძრული bewegt, erschüttert
დაძულება Haß säen
დაძუნძულება im Trab laufen
დაძუნწება geizig sein
დაძღომა sättigen
დაწაკწაკება klappern; დამაწაკწაკებს es fröstelt, schaudert mich
დაწალიკება dem Fußpfad folgen
დაწამება beschuldigen
დაწამლვა behandeln (einen Kranken, Pflanzen), heilen
დაწამწამება zwinkern
დაწაფება gierig trinken
დაწბილება in Verwirrung bringen; verweigern
დაწება auftunken
დაწებება zusammenkleben
დაწევა wegschieben; fallen

დაწევნა erreichen, nachjagen, einholen; დაეწია er holte ein, erreichte

დაწერა schreiben; ჯვარის ~ trauen (ein Paar); ~ პირჯვარის sich bekreuzigen; ~ ვალად als Schuld verschreiben; ღმერთმან ჯვარი დაგწეროს Gott segne dich!

დაწერილი geschrieben

დაწერტა stechen

დაწესება einrichten; festsetzen, bestimmen; Einrichtung *f*; Verordnung *f*, Bestimmung *f*

დაწესებულება Einrichtung *f*; Kanzlei *f*; Anstalt *f*

დაწესებული eingerichtet; verordnet

დაწეული weggerückt

დაწეწა kämmen, hecheln; zerzausen

დაწეწილი gekämmt, gehechelt; zerzaust

დაწვა brennen, verbrennen; ~ აგურისა Ziegel brennen; ~ ხელისა sich die Hand verbrennen; ~ გულისა jem. kränken; პილპილი პირს დაჰსწვავს der Pfeffer brennt im Munde; გული დამეწვა es tat mir leid

დაწვართნა lehren, unterweisen

დაწვდა herausnehmen, ergreifen; ~ ხმლისა das Schwert zücken

დაწვდომა ergreifen

დაწვევა einladen

დაწვეთა, დაწვეთება tröpfeln

დაწვენა legen; sich niederlegen; setzen; ~ გვერდით auf die Seite legen; დაწვა er legte sich; დავწვე ich legte mich; დავწვეთ wollen wir uns legen!

დაწვერა zuspitzen; მზე დაეწვერა die Sonne steht auf dem höchsten Punkt

დაწვიმვა naß werden (vom Regen)

დაწვიმული naß geregnet

დაწვინება niederlegen lassen; დააწვინა er ließ lagern

დაწვლილება s. დაწვრილება

დაწვნა verflechten

დაწვრთა lehren, trainieren

დაწვრილება zerkleinern, verdünnen, schmälern; -ებით ausführlich

დაწვრილებული verkleinert

დაწვრილვა auflösen (Math.)

დაწვრილმანება zerteilen, zerbröckeln; kleinlich werden

დაწივლა herabschreien

დაწივლება schreien lassen

დაწითლება rot färben; პირი დამიწითლდა ich errötete

დაწიკვება nehmen; mieten

დაწილარება zerteilen, zerstückeln

დაწინაურება vorschreiten, Erfolg haben

დაწინდება zum Pfand geben

დაწინდვა verpfänden

დაწინდრება s. დაწინდება

დაწინდული verpfändet

დაწინწკლვა bespritzen

დაწიოკება mißhandeln

დაწიწკნა zerstückeln (mit den Zähnen) [(mit den Hinterfüßen)

დაწიხლვა, დაწიხნვა ausschlagen

დაწკაპება einreihen

დაწკარუნება klingen, tönen

დაწკეპა mit Ruten schlagen; ~ ცხენისა ein Pferd antreiben

დაწკმუტუნება zischen, heulen
დაწკნობა abklären (eine Flüssigkeit) [(Wild)
დაწლვა ausweiden, ausnehmen
დაწლობა auszehren; ტანი დამწლობია ich magerte ab
დაწმასნვა verwirren
დაწმახება säuern; sauer werden
დაწმენდა reinigen; filtrieren
დაწმენდილი gereinigt
დაწნევა Druck *m*, Andrang *m*
დაწნევითი andrängend, Druck-
დაწნეხა auspressen; ~ ყურძნისა Trauben auspressen
დაწნვა s. დაწვნა [machen
დაწნილება Gemüse oder Obst ein-
დაწნული geflochten; ~ თმა geflochtene Haare
დაწოდება erfassen, liefern
დაწოლა liegen; herabwälzen; Geburt *f*, Entbindung *f*; ~ ლოგინად niederkommen, entbinden; უბედურობა თავს დამაწვა das Unglück verfolgte mich
დაწონა ein Gewicht zulegen (beim
დაწრეტა durchseihen [Wägen)
დაწრუწუნება winseln [billigen
დაწუნება ausscheiden; tadeln, nicht
დაწუნებული nicht gebilligt, ausgeschieden
დაწუწება, დაწუნწვა vollspritzen
დაწურება ausdrücken (den Saft); შიშით დაიწურა er zitterte vor Furcht
დაწურვა durchseihen, durchpressen
დაწუწვა s. დაწუნწვა
დაწუწუნება winseln, heulen
დაწუხვა blinzeln; die Augen schließen
დაწყალობება belohnen, ein Almosen geben
დაწყდომა belasten, auflegen; ermüden; დამიწყდა ცხენი mein Pferd wurde müde
დაწყება anfangen; Anfang *m*; ~ ლაპარაკისა ein Gespräch beginnen; ~ სიარულისა gehen; დაიწყო er begann; დავიწყოთ wollen wir anfangen!
დაწყებული angefangen
დაწყევა fluchen, verfluchen
დაწყევლილი verflucht
დაწყვდევა verschließen, versperren
დაწყვედა, დაწყვეტა zerreißen; unterbrechen, Einhalt gebieten; ermüden
დაწყვედილი, დაწყვეტილი ermüdet; იმედ ~ verlorene Hoffnung
დაწყვიათება titrieren
დაწყვნა s. დაწყობა
დაწყლვა verwunden
დაწყლულება vereitern; verletzen
დაწყლულებული verletzt; vereitert
დაწყნარება beruhigen, besänftigen; Beruhigung *f*; დაწყნარდა er beruhigte sich
დაწყობა legen; ordnen; plazieren
დაწყობილი gelegt; geordnet
დაჭამა aufessen
დაჭანგება säuern; Säure *f*
დაჭარბება überziehen; übertreffen, überwiegen
დაჭაშნიკება versuchen, probieren
დაჭდევა einschneiden, einkerben

დაჭედა schmieden; ~ ბორკილითა in Fesseln legen, anschmieden
დაჭედილი geschmiedet
დაჭენება(ცხენის) traben
დაჭერა ergreifen, festhalten, besetzen, erobern; ~ თევზისა einen Fisch fangen; ~ ხელისა an der Hand nehmen; დავიჭერ საქმეს ich werde die Sache in die Hand nehmen; დაიჭირა ქურდი er faßte den Dieb; ხლმით დაიჭირეს sie eroberten mit dem Schwert; უნდა დაიჭირო du mußt dich daran machen; თქვენს სჯულს დავიჭერ ich werde eure Religion annehmen; ნუ დამიჭერ halte mich nicht fest! არ დაგიჭერ ich werde dich nicht festhalten; თავი ვერ დავუჭირე ich konnte ihn nicht ergreifen; ქონება დაიჭირეს sie beschlagnahmten das Vermögen
დაჭერილი ergriffen, gefaßt; erobert
დაჭერინება festnehmen lassen
დაჭექა donnern; explodieren
დაჭეშმარიტება die Wahrheit behaupten
დაჭეჭყა zerdrücken
დაჭეხა, დაჭეხება aufbrüllen
დაჭვირვა erglänzen
დაჭვრეთა spicken
დაჭვრეტა sehen; მთვარე ქალაქს დასჭვრეტს der Mond bescheint die Stadt
დაჭიდება ringen
დაჭიკჭიკება zwitschern
დაჭიმვა spannen, anziehen
დაჭინჭება einen Flicken aufsetzen
დაჭინჭრვა sich brennen (an einer Nessel)
დაჭირება nötig haben, benötigen; დამჭირდება ich brauche; დამჭირდა ich hatte nötig
დაჭირებულება Bedürfnis *n*
დაჭირებული nötig
დაჭირვა halten, bewahren
დაჭირვება beengen
დაჭირვებულობა s. დაჭირებულება
დაჭირვინება fassen lassen
დაჭირიანება anstecken (mit einer Krankheit); madig werden
დაჭირული gefangen genommen
დაჭირხლვა mit Reif bedecken
დაჭიხვინება wiehern
დაჭკვიანება zur Einsicht, zur Vernunft bringen
დაჭკნობა welken, abmagern
დაჭკუება s. დაჭკვიანება
დაჭლერქება schwindsüchtig werden
დაჭლერქებული schwindsüchtig
დაჭმა s. დაჭამა
დაჭმახება sauer werden
დაჭმევა aufessen
დაჭმული zerfressen (P. P.)
დაჭმუნება kränken, betrüben
დაჭმუჭვნა zerknüllen, zerkrümeln
დაჭნახვა, დაჭნობა s. დაჭკნობა
დაჭორვა klatschen, lügen
დაჭოჭება anfeuchten
დაჭრა schneiden; verwunden; ~ ხეთა Bäume fällen; ჩრჩილი დაჭსჭრის ტანისამოსს die Motte zerfrißt das Kleid; დაიჭრის ფრჩხილებს er beschneidet sich die Nägel; გული დამიჭრა er durchschnitt mein Herz; ის დაიჭრა er wurde verwundet

დაჭრაჭუნება knarren
დაჭრელება bunt machen
დაჭრიალება s. დაჭრაჭუნება
დაჭრილი geschnitten; verwundet; ~ს წამალი Wundsalbe *f*; Fingerhut *m* (Digitalis)
დაჭრილობა Wunde *f*
დაჭუჭნვა s. დაჭმუჭვნა
დაჭუჭყნა zerknüllen
დაჭუხვა s. დაწუხვა
დაჭყეტა starr ansehen
დაჭყვირება winseln
დაჭყლეტა (ფეხით) mit dem Fuß zertreten
დაჭყივლება s. დაჭყვირება
დაჭყლეტა s. დაჭყვლეტა
დაჭყუნ(ვ)ა runzeln
დახავსება sich mit Moos bedecken
დახაზვა zeichnen, liniieren
დახაზული liniiert
დახაზულობა Zeichnung *f*
დახალვა rösten
დახალვათება es sich bequem machen (in bezug auf Kleidung)
დახალისება Lust erwecken, aufmuntern; erneuern
დახალისებული erneuert; aufgemuntert
დახალული geröstet; ~ ქერი gebrannte Gerste *f*; ~ ყავა gerösteter Kaffee *m*
დახამება stärken, steifen; verwildern
დახამრული Mißgeburt *f*
დახამსება sich kratzen
დახამხამება mit den Augen zwinkern
დახანება sich Zeit nehmen
დახარბება gierig, lüstern sein
დახარება erfreuen
დახარისხება qualifizieren
დახარშვა Speisen kochen
დახარხარება lachen; sich vor Lachen wälzen
დახარჯვა ausgeben, verbrauchen
დახარჯვინება zu Ausgaben verführen
დახარჯული ausgegeben, verbraucht
დახატვა zeichnen, darstellen
დახატული gezeichnet
დახატულობა Gemälde *n*, Bild *n*
დახაშმვა an Malaria erkrankt sein
დახაშმული mit Malaria behaftet
დახახვა s. ჩახახვა
დახახუტება locker (weich) werden
დახახუტებული locker, porös
დახდა ausziehen (Kleidung); aufmachen; abteilen
დახდომა begegnen, antreffen; ~ სტუმრისა bewirten; დამიხვდა ich traf ihn an; არ დახვდა შინა er traf ihn nicht zu Hause an; დაჰხვდა er begegnete; შინ არ დაგხვდება (დაგიხვდება) du wirst ihn nicht zu Hause antreffen
დახდომილი begegnet; angetroffen
დახედება besichtigen
დახედვა sehen; die Aufsicht haben; წინ დაიხედე sieh dich vor!
დახედნა (ცხენისა) ein Pferd zureiten, einfahren
დახევა zerreißen; უკან ~ zurücktreten, sich zurückziehen; დამეხა ტანისამოსი mein Kleid zerriß
დახევება ein Tal bilden
დახევითი Rückzugs-

დახეთქა platzen, reißen
დახეთქება umstürzen, auf die Erde schleudern
დახეთქილი gespalten, gerissen
დახელება antreffen, finden; შინ ვერ დავახელე ich traf ihn nicht zu Hause an; დრო დაახელა er hatte günstige Zeit
დახელთება sich aneignen
დახელმწიფება herrschen
დახელოვნება sich vervollkommnen
დახელოვნებულება Erfahrenheit *f*
დახელოვნებული erfahren, geschickt
დახერგა einen Verhau machen
დახერხა zersägen
დახეტება herumschlendern; რას დაეხეტები? was treibst du dich herum?
დახეული zerrissen
დახეჩა fällen
დახეხა ausreiben, polieren [ben
დახვალისება auf morgen verschie-
დახვანჯვა verknoten
დახვედრ(ებ)ა begegnen, empfangen
დახვევა aufwickeln; umzingeln; დახვიეს ხელი sie nahmen in die [Hand
დახველება husten
დახვეწა reinigen; entfliehen, sich [retten
დახვეჭა ansammeln
დახვივლა, დახვივლება ausrufen
დახვიფრვა zerstoßen
დახვიხვინება wiehern
დახვნა pflügen
დახვრა abnagen
დახვრეტა durchbohren; ~ თოფით erschießen
დახვრეპა schlürfen; ~ წვენისა [Suppe löffeln
დახიზვა, დახიზნება ansiedeln; bergen (vor dem Feind)
დახიზნული angesiedelt
დახირვა stecken bleiben; ძვალი ყელში დაეხირა ein Knochen saß ihm in dem Halse
დახლა stoßen, schlagen
დახლათვა verwirren, verwickeln
დახლათული verwirrt, verwickelt
დახლაკილი verwickelt; ~ კვანძი ein verwickelter Knoten
დახლართვა s. დახლათვა
დახლეჩა zerhauen, zerhacken
დახლი (p.) Ladentisch *m*; დახლის წიგნი Kassenbuch *n*
დახლიდარი (p.) Büffetier *m*
დახლილი gestoßen
დახლტომა hüpfen, springen; დახტის er hüpft; დახტოდა er sprang umher
დახმარება helfen; Hilfe *f*; დამეხმარე hilf mir!
დახმაურება lärmen; mit jem. zu sprechen anfangen
დახმობა austrocknen
დახნვა s. დახვნა
დახნული gepflügt
დახოკა kratzen
დახორავება zusammenhäufen
დახორკლილი gezähnt; rauh
დახოც(ვ)ა zerschlagen; töten; sterben; დაიხოცენ შიმშილით sie starben vor Hunger; დედ-მამა დამიხოცა er tötete meine Eltern
დახოჭა zerkratzen; ~ პირის sich das Gesicht zerkratzen
დახოჯავება verschneiden, kastrie-

დახრა biegen; neigen; Neigung *f*; Modus (Gramm.); თავი დაიხარა er ließ den Kopf hängen

დახრაკვა rösten, trocknen (über dem Feuer)

დახრამული voll Gruben, ausgefahren

დახრვა s. დახვრა

დახრიალება rauschen

დახრიკება anfangen einrichten, etwas schlau

დახრილება Neigung *f*; vgl. დახრა

დახრილი geneigt, gebogen

დახრუკვა sich biegen (vor der Hitze), sich werfen

დახრუსტვა verbiegen

დახრჩობა s. დახჩობა

დახრწევა s. დახწევა

დახრწნა verderben, verwesen

დახსნა öffnen, lösen, zersetzen, auflösen; ~ კანონისა das Gesetz übertreten; ~ ტაძრისა einen Tempel zerstören; ~ ბეჭედისა entsiegeln; ~ ტყვეობისაგან aus der Gefangenschaft befreien; ~ გირაოსი ein Pfand auslösen; დამეხსენ laß mich!

დახსნადი zu rettend

დახსნევინება auflösen

დახსოვება, დახსოვნა gedenken, einprägen, sich erinnern; დავიხსოვებ ich werde daran denken

დახსომება s. დახსოვება

დახტომა s. დახლტომა

დახუთვა ersticken; ergreifen, festhalten

დახუმრება scherzen

დახურდავება wechseln; მე მინდა ფული დავახურდავო ich will Geld wechseln; დამიხურდავეთ wechseln Sie mir!

დახსნილება Zerstörung *f*, Auflösung *f*

დახსნილი aufgelöst; ausgelöst

დახურვა bedecken; verschließen; დახურე კარი mache die Tür zu!

დახუჭვა (თვალთა) die Augen verschließen; თვალნი დაუხუჭა er schloß ihm die Augen (dem Toten)

დახუჭული geschlossen (Augen)

დახუჭუჭება wickeln (die Haare), kräuseln

დახშვა zuschließen (die Tür); დახშა er verschloß; დახშეს კარი sie schlossen die Tür zu

დახშირება häufig wiederholen

დახშობა verstopfen, verschließen

დახშული verstopft, verschlossen

დახჩობა erwürgen; ertrinken; დაიხრჩო er ertrank

დახწევა befreien, loskaufen; თავი დავახწიე ich habe mich losgelöst

დაჯაბნა s. დაჯაბნვა

დაჯაბნვა bedrängen; überrumpeln

დაჯაბნული bedrängt

დაჯანდრვა rollen (Wäsche)

დაჯანდრული gerollt

დაჯანგება s. დაჟანგება

დაჯარვა zusammenhäufen

დაჯარიმება mit einer Geldstrafe belegen

დაჯაშუშება spionieren

დაჯახება stoßen an; დამეჯახა er stieß mich an

დაჯგვლემა betasten

დაჯდენა s. დაჯდომა

დაჯდომა sich setzen; werden; დაჯდება (ფასი) es wird kosten; დაჯდა er setzte sich; ძვირად

დაუჯდა es kam ihm teuer zu stehen; შენი სიტყვა დაუჯდა dein Rat kam ihm zugute; დავსჯექ ich setzte mich; დაჯექით setzen Sie sich!

დაჯერება überzeugen; übereinstimmen; glauben; Überzeugung *f*; ნუ დაიჯერებ glaube nicht! მე არ დამიჯერა er hörte nicht auf mich, glaubte mir nicht; არ დაიჯერების man kann nicht glauben; დაეჯერება man kann ihm glauben; ცოტას დასჯერდი sei mit wenigem zufrieden; ფასად არ დამჯერდა er kam wegen des Preises nicht mit mir überein

დაჯერებინება überzeugen lassen

დაჯერებული überzeugt

დაჯეჯვა s. დაძეძკა

დაჯვარვა durchkreuzen

დაჯილდოვნება, დაჯილდოება belohnen, auszeichnen

დაჯირჯვება aufschwellen

დაჯიჯგნვა zerreißen

დაჯობინება verbessern; übertreffen

დაჯობინებული verbessert; übertroffen

დაჯოგება in eine Herde zusammendrängen

დაჯრა anhäufen, ansammeln

დაჯრილი angehäuft

დაჰმანი (p.) Held *m*

დგარგნობა Statik *f*

დგარელვისო statische Elektrizität *f*

დგამი Taburett *n*

დგარო Stativ *n*

დგარძალური statisch

დგელამურა Fischnetz *n*

დგენა (ფეხზედ) auf die Füße stellen; ~ მუხლის knien

დგერა Lärm *m*, Getrampel *n*

დგვიფი gewässerter Wein *m*

დგიმი Weberkamm *m*

დგმა stellen, legen, hintun; vgl. დგომა; ვიდგამ ფეხსა ich fange an zu gehen; ენას ვიდგამ ich fange an zu sprechen; უდგამს ბადეს er stellt ein Netz; იდგა er stand; მადგია er stand da

დგომა stehen, aufstehen; sich erheben, verweilen; ~ სახლში wohnen; ~ თავის სიტყვაზედ für sein Wort einstehen; ~ უარზედ verweigern; ~ ფეხზედ stehen; ამ ადგილს მზის სხივი უდგება dieser Platz wird von der Sonne bestrahlt; ადგანან ციხეს sie belagern die Festung; ჩრდილი ადგა es wurde schattig; გუშაგი უდგა die Wache war auf dem Posten; გაჭირება კარს ადგია die Not klopft an die Türe; საჭმელი გულს მადგება die Speise liegt mir schwer im Magen; ცოლი მადგია ich bin verheiratet (vom Manne); მდგმურად მიდგა er wohnte bei mir; ცხენს უნაგირი ედგა das Pferd war gesattelt; ვიდრე სული მიდგას solange ich lebe

დგომგეზი Ordinate *f*

დგომილი gestanden

დგომინება stehenlassen; აქ აღარ გვედგომინება hier ist kein Platz für uns

დგრიალი trampeln, stampfen

დგრომა stehen
დგუშებრი Kolben-
დგუში Kolben *m*; Ladstock *m*
დება legen; liegen; ~ ცეცხლის Feuer anzünden; ~ კვერცხის Eier legen; ~ ბადისა ein Netz werfen; ~ ხელისა Hand anlegen; ~ პატივისა Ehre erweisen; ~ სახელისა einen Namen geben; ~ დანაშაულის beschuldigen; ~ გულის trösten; aufpassen; ~ ბეგარისა mit Steuern belegen; ქათმები კვერცებს სდებენ die Hühner legen Eier; თავზედ ვიდებ ich nehme es auf mich; გულში მიდევს es liegt mir auf dem Herzen; გული გედვას მხიარული habe ein fröhliches Herz! იდო es lag da; წიგნი წინ ედვა das Buch lag vor ihm; ჯიბეში ფული ედო er hatte Geld in der Tasche; ძევს er liegt; მიძევს es liegt mir ob; ჯიბეში ფული მიძევს ich habe Geld in der Tasche; რა გიძევს გულში? woran denkst du? გიძს du hast bei dir liegen; უძს er hat liegen
დებულება Verordnung *f*, Bestimmung *f*, Beschluß *m*
დებული liegend
დებულობა s. დებულება
დედა Mutter *f*; დიდი ~ Großmutter *f*; ~ ფუტკარი Bienenmutter *f*; ~ ბოძი Hauptpfeiler *m*; ~ ბუზი große Fliege *f*; ~ ქალაქი Hauptstadt *f*; ~ მართლისა, ზარდლისა Spinnengewebe *n*; დედათ მონასტერი Frauenkloster *n*; დედათ მოურავი Hebamme *f*; დედათ წესი monatliche Reinigung *f*
დედაბერი alte Frau, Greisin *f*
დედაკაცი Frau *f*, Weib *n*
დედაკაცობა das weibliche Geschlecht
დედაკაცური weiblich
დედაზარდლი Spinne *f*
დედათმოურავი s. unter დედა
დედალი Weibchen *n*; ~ ქათამი Henne; ~ ღვია Wachholder *m* (Juniperus); ~ მურცა (Art Fisch)
დედალძი (Art Wiesel, Mustela)
დედამთილი Schwiegermutter *f* (Mutter des Mannes)
დედამიწა Erde *f* (Mutter Erde); -წის ზედაპირი Erdoberfläche *f*; -წის მზიდაროზა Erdmagnetismus *m*; წყალი და ~ Land und Meer, Wasser und Land
დედამძლავრა Sanddolde *f* (Ami)
დედანი Urbild *n*, Urschrift *f*; Original *n*
დედაქალაქი Hauptstadt *f*
დედაწული, დედაწულობა Familie *f*
დედება Mutter werden
დედეული mütterlicherseits
დედი Mütterchen, Mutti (*)
დედიდა Tante *f* (Schwester der Mutter)
დედიდაშვილი Vetter *m*
დედილო Mütterchen *n*
დედინაცვალი Stiefmutter *f*
დედისერთა einziges Kind *n* (Sohn oder Tochter)
დედისეული mütterlich

დედლობა Weibchen sein
დედმამა (=დედა და მამა) Eltern *pl.*
დედმამიანი (Eltern habend)
დედობა Mutterschaft *f*; ~ უყო sie ersetzte ihm die Mutter
დედობითი Mutter-
დედობილი Adoptivmutter *f*
დედობრივი mütterlich
დედობრივობა Mütterlichkeit *f*
დედოფალა Puppe *f*
დედოფალი Herrin *f*, Königin *f*; die Braut; მეფე და ~ Brautpaar *n*; დედოფლის ყვავილი Kapuzinerkresse *f* (Tropaeolum)
დედოფლება als Königin anerkennen
დედოფლობა Königin sein
დედული mütterlich; ~ ქონება mütterliches Erbe *n*
დედუფალი s. დედოფალი
დეე laß!
დევანტაფა Schale *f*, Tasse *f*
დევი (p., lat. deus) Dämon *m*, unreiner Geist *m*, Riese *m*; დევის პირა Löwenmaul *n* (Antirrhinum)
დევნა (ver)folgen; ვსდევ(ნი) ich verfolge; მდევს er folgt mir nach; თვალ-ყური ადევნე beobachte! მიდევნია ich verfolgte ihn
დევნება bemerken, beobachten; ~ გულის-ყურისა verfolgen, aufpassen
დევნული verfolgt, gejagt
დევნულობა Verfolgung *f*, Jagd *f*
დევსისხლი Drachenblut *n* (Calamus)
დევსურა s. დევცეცხლა
დევსურავანდა Tollkraut *n* (Bella donna)
დევფრჩხილა Schabe (Blatta)
დევცეცხლა Feuernelke (Lychnis)
დეზი Sporn *m*, დეზები Sporen *pl.*
დეიდა s. დედიდა
დეკა s. ბაძგარა
დეკანოზი (lat.) Oberpriester *m*, Superintendent *m*
დეკანოზობა Würde des Oberpriesters
დეკემბერი Dezember *m*
დეკეული Färse *f* (Kuh, die noch nicht gekalbt hat)
დელგმა Regenguß *m*
დელფინი (gr.) Delphin *m*
დელხვინა Klette *f* (Lappa)
დემონი (gr.) Dämon *m*
დენა fließen; Strömung *f*; ცხვირიდან სისხლი მდის mir fließt Blut aus der Nase
დენადობა Flüssigkeit *f*
დენბადი galvanisches Element *n*
დენგრა Schafmist *m*; Günsel *m*
დენდრო Myrrhenduft *m* [(Aiuga)
დენზომი Galvanometer *m*
დენთი Pulver *n*
დენი Strom *m* (Elektr.); დენის სიხშირე Stromdichte *f*
დენიანერგილა Kokosnuß *f*
დენილი fließend
დენკიდოები Elektroden *pl.*
დენმომდუნი Divisor *m*
დენსარჭი Stöpsel *m*
დენქმოსი Dynamomaschine *f*
დენჩენი Galvanoskop *n*
დენწინაღი Rheostat *m*
დენწყვეტი Stromunterbrecher *m*
დერგი großer Tonkrug *m*
დერეფანი (p.) Veranda *f*, Galerie *f*, Korridor *m*
დერვიში (a., p.) Derwisch *m*

დესპანი (p.) der Gesandte
დესპანობა Gesandtschaft *f*
დეტი Pikett *n* (Feldwache *f*)
დეფანი kleine Galerie *f*; s. დერე-
დეყა Sturmhut *m* (Pflanze) [ფანი
დვალურა, -რის ძირი Drachenwurz *f* (Polygonum)
დვალფი s. დელფინი
დვირე Balken *m*
დვრილი Saugwarze *f*
დვრინი Baßstimme *f*
დვრიტა Labmagen *m*
დია Frau *f*; Göttin *f*; ~ კაცი Weib *n*; ~ სახლისი Wirtin *f*; 2) Jupiter *m* (Planet)
დიადება vergrößern; preisen
დიადი großartig; grandios; ~ წელიწადი viele Jahre
დიადიმა (gr.) Diadem *n*
დიადობა Größe *f*; Erhabenheit *f*; Majestät *f*
დიათიკა (gr.) Testament *n*
დიაკვანი s. დიაკონი
დიაკონი (gr.) Diakonus *m*; მთავარ ~ Archidiakonus *m*
დიაკონობა Diakonat *n*
დიამეტრი (gr.) Diameter *m*
დიასახლისი (Haus-)Wirtin *f*
დიაღ ja, gewiß; ~ ბატონო ja, mein Herr!
დიაცი Frau *f*, Weib *n*
დიაცობა weibliches Geschlecht *n*
დიაცური weiblich
დიახ s. დიაღ
დიახითი positiv; ~ ელვისო positive Elektrizität *f*; ~ რიცხვი positive Zahl *f*
დიბა (p.) (Art Seidengewebe)
დიბლიგი, დიგლიგი Gewehrkolben *m*
დიდად (Adv.) sehr, äußerst; s. დიდი
დიდგვარი aristokratisch
დიდგვარობა Aristokratie *f*
დიდგული stolz, kühn
დიდგულობა Stolz *m*
დიდდიდი überaus groß, zahlreich
დიდდიდობა Größe *f*
დიდება vergrößern; loben, preisen; Lob *n*, Ruhm *m*; ღმერთმან საუკუნო ~ მისცეს Gott gebe ihm ewiges Wohl
დიდებადი ruhmeswürdig
დიდებინება lobpreisen lassen
დიდებული Größe *f*, Ruhm *m*; Exzellenz *f*
დიდებული groß, berühmt, vornehm; glänzend; ~ სამოსელი Festtagskleidung *f*; ~ დღე Festtag *m*
დიდი groß; vornehm; ~ და პატარა groß und klein; ~ ხანია seit langem, längst; დიდით პატარამდე vom großen bis zum kleinen; ~ ფრჩხილები große Klammern *f pl.*
დიდკაცური herrenmäßig, stolz; -რად (Adv.) auf Herrenart
დიდმარხვა große Fasten *pl.*
დიდმთაველი Hirse *f*
დიდმუცელა Schmerbauch *m*
დიდმშვენიერება Pracht *f*
დიდობა großtun; Größe *f*, Herrlichkeit *f*
დიდოური Tanz *m* (der Lesghier)

დიდპატარაობა groß und klein
დიდროვანი, დიდრონი groß, geräumig; kolossal
დიდროვანობა Ungeheuerlichkeit *f*
დიდსული s. დიდსულოვანი
დიდსულობა Großmut *m*; Großherzigkeit *f*
დიდსულოვანი großmütig
დიდუბე großer Sumpf *m*; 2) Vorstadt von Tiflis
დიდფასი teuer, kostbar
დიდღუბა s. დუდღუბო
დიდყურა, დიდყურიანი langohrig
დიდშემძლე(ბელი) mächtig
დიდძალი mächtig; zahlreich
დიდხან(ს) lange Zeit
დიდხანობა Dauer *f*
დივა (Art Muschel)
დივანბეგი (p.) Ratsmitglied *n*; [Richter *m*
დივანი (p.) Rat *m*, Senat *m*; 2) Divan *m*
დივანშირი (p.) Sekretär *m*
დივანხანა (p.) Gericht *n*
დიკა Roggen *m*, Sommerweizen *m*
დიკასტერი (gr.) Konsistorium *n*
დილა Morgen *m*; ~ მშვიდობისა »guten Morgen«; ~ ადრიან früh morgens; ~ დილას am Morgen; დილის ნამი Morgentau *m*
დილაბინდი Morgendämmerung *f*; -ზე bei Tagesanbruch
დილანდელი Morgen-
დილანდლითი Morgen-
დილაჯა (p.) Quelle *f*
დილდილაზედ morgens in der Frühe
დილდილით morgens, alle Morgen
დილეგი Dunkel *n*; Inzucht *f*
დილეული Morgen-
დილით am Morgen [sites)
დიმელა Pestilenzwurzel *f* (Peta-
დიმი (Art Baumwollenstoff)
დიმპლიპიპო s. დიპლიპიტო
დინარი (lat.) Münze *f*
დინგი Hauer *m* (Zahn)
დინდგელი Jungfernwachs *n*
დინება fließen lassen; ცრემლი მედინების ich vergieße Tränen
დინი (a.) Glaube *m*, Religion *f*
დინჯი ernst, still, ruhig
დინჯობა Ernst *m*, Ruhe *f*, Stille *f*
დიოფალი s. დედოფალი
დიპლიპიტო Art Trommel *f*; ~ და ნაღარა Trommel und Pauke *f*
დიპლომატი Diplomat *m*
დიპლომატია Diplomatie *f*
დიპლომი Diplom *n*
დიპტილმა Lobrede *f*
დირაგი (p.) Mast *m* (des Schiffes)
დირე Schwelle *f*; Balken *m*; s. a. დვირე
-დის (Suffix) bis; ნახვამდის auf Wiedersehen!
დისკო(სი) (gr.) Kreis *m*, Scheibe *f*, Diskus *m*
დისწული Nichte *f* (Tochter der Schwester)
დიუიმი (russ.) Zoll *m*, Daumen *m*
დიყა s. დეყა [gelb *n*
დიში gelber Arsenik *m*, Rausch-
დიხაუშქური, დიხაში Erdartischocke *f* (Helianthus)
დიჯლა s. დილაჯა
დლაყვი Ellbogen *m*
დლოქვი (Art Vogel)

-დმე, -დმი bis; s. -მდე, -მდი
დნადობა Schmelzbarkeit *f*
დნობა schmelzen; tauen; -ბის წერტი Schmelzpunkt *m*; შიშისაგან გული მიდნება mein Herz ist vor Furcht starr
დო Buttermilch *f*; დოს შეჭამადი Buttermilchsuppe *f*
დობა Schwester sein
დობილი Adoptivschwester *f*
დოგვი Senf *m*; s. მდოგვი
დოვლათი (p.) Reichtum *m*, Wohlstand *m*; Besitz *m*
დოვლათ(სვ)იანი reich, vermögend
დოიანი molkig
დოინჯი: ~ს შემოყრა die Hände in die Seiten stemmen
დოლაბი (p.) Schießscharte *f*, Einschnitt *m*; Mühlstein *m*
დოლბანდი (p.) Turban *m*
დოლი (p.) Art Trommel *f*; Alaun *m*; Feldmalve *f* (Malva)
დოლური Trommel-
დოლფანჩი Kaftan *m*
დომბა Auerochs *m*, Wisent *m*
დომხალი (Speise aus Sahne mit Grünem); 2) Durcheinander *n*
დონა, დონე Gestalt *f*; Niveau *n*; ყველა თავის დონეზედ იყოს alles muß seine richtige Form haben; დონეზედ დადგომა seine Ordnung haben; დონეს ფართეული Wasserspiegel
დონება Regulierung *f*
დონებრი regulär
დონზომელი Nivellierer *m*
დონზომვა Nivellierung *f*
დონზომი Wasserwage *f*, Nivellierinstrument *n*
დონი der Buchstabe დ
დორბლი Speichel *m*
დორბლიანი geifernd
დორი Sofakissen *n*
დოსტაქანი (p.) Pokal *m*
დოსტაქარი (p.) s. დასტაქარი
დოფხოჯი ungesäuertes Brot *n*
დოქი Krug *m*, Weinkrug *m*
დოღმატი (gr.) Dogma *n*
დოყი Hirschhorn *n* [fraß *m*
დოყლაპია Einfaltspinsel *m*; Vielდოშაქი (p.) Matratze *f*
დოში Stockfisch *m*
დოხოკონი Perlmuttarbeiter *m*
დრა s. შედარება
დრაგუნი (russ.) Dragoner *m*
დრაკანი Drachme *f*
დრამა Drama *n*; 2) Kirchensteuer der Bauern (bestehend in Abgabe von Naturalien bzw. Geld)
დრამატიული dramatisch
დრამიანი Drachmen-
დრანჯობა Verschleppung *f*
დრასტი(კი) schnellend, elastisch
დრასტიკობა Elastizität *f*
დრაქმა, დრახმა s. დრაკანი
დრაჰკანი s. დრაკანი
დრება vergleichen; Gleichung *f*
დრეკა biegen
დრეკადი elastisch
დრეკადობა Spannkraft *f*
დრეკილი gebogen; ~ მთოვარე abnehmender Mond *m*
დრესა reiben
დრვინი s. დვრინი

დრიკა Feder *f* (des Wagens)
დრიკება den Rücken kehren, davonlaufen
დრისტი verzierte Schüssel *f*
დრკომა sich beugen, sich neigen
დრკუ krumm; hinterlistig
დრკუობა listig sein, ausklügeln
დრო Zeit *f*, Frist *f*; დროზედ zur Zeit, zeitig; თავის დროს zu seiner Zeit; ~ დაუდებელი fristlos; ძველს დროებში in alten Zeiten; უდროოთ ეყოლა შვილი sie gebar frühzeitig; დრონი იცვალნენ die Zeiten haben sich geändert
დროება, დროვება Zeit lassen, zögern; Zeit *f*; მადროვებს er läßt mir Zeit; -ბის გატარება die Zeit vertreiben
დროებითი vorläufig, provisorisch
დროზომი Chronometer *n*
დროთ-საბამი zeitgemäß
დრომდინ, დრომდის bis zur Zeit
დრომონი (gr.) Schiff *n*
დრომწერი Chronograph *m*
დრონა Mast *f*
დრონგალი s. დრუნგილი
დრონეული zerkleinert, zerhackt
დრონი Zeiten *f pl.*; 2) ein Stück
დროული bejahrt, alt [Fleisch
დროშა Fahne *f*
დროშმი Götze *m*, Idol *n*
დრტვინვა brüllen, brummen
დრუილი Saugpfropfen *m*
დრუნგილი Marmor *m*
დრუსო Mauer mit Türmen
დრუხუნება, დრუხუნი grunzen
დუათეში Doppelbranntwein *m*
დუბე Niederung *f*, Sumpf *m*
დუბეიდი (Art Eingemachtes)
დუბელა წყალი abgestandenes Wasser *n*
დუგლუგი Gewehrkolben *m*
დუგმა (t.) Knopf *m*, Haken *m*
დუგუნი Geschwür *n*, Fontanelle *f*
დუდგუბო s. დუდღუბო
დუდგულა schwarzer Hollunder *m* (Sambucus)
დუდკო Niednagel *m* (am Finger)
დუდუკი Schalmei *f*
დუდუნი brummen
დუდღუბ(ელ)ა s. დუდღუბო
დუდღუბო Teufelskirsche *f* (Phy-
დუთმანესვი (Art Melone) [salis)
დუიმი s. დიუიმი
დუკატი Dukaten *m*
დუკურა Feldrübe *f*
დულუმბო (Art Pflanze)
დუმა Fettschwanz *m* der Schafe
დუმანი (p.) Nebel *m*
დუმბული Karo *n* (im Kartenspiel)
დუმება zum Schweigen bringen; schweigen
დუმიანი Fettschwanz-
დუმილი Schweigen *n*
დუმლუგი Kolben *m* [phaea)
დუმფარა weiße Seerose *f* (Nym-
დუმჭანგი Stearinsäure *f*
დუნდგო Menge *f*, Haufen *m*
დუნდულა langsam, träge
დუნე, დუნი schwach, schlaff
დუნება schwächen; ხელი და ფეხი მიდუნდება meine Hände und Füße werden schlapp
დუნედ (Adv.) schwach, schlapp

დუნჯი თავი Koller *m* (Pferde-
დუჟება speien [krankheit)
დუჟი Schaum *m*, Speichel *m*
დუჟინი (russ.) Dutzend *n*
დურაღი junger Steinbock *m*
დურაღისკრვა (Krankheit der Büffel oder Pferde)
დურაჯი (p.) (Art Rebhuhn)
დურბინდი (p.) Fernrohr *n*
დურგალი Tischler *m*, Zimmermann *m*
დურდო (p.) Satz *m* (im Wein usw.)
დურეჯი s. დურაჯი [Schenke *f*
დუქანი (p.) Bude *f*, Laden *m*,
დუქარდი (p.) Schafschere *f*
დუღაბი aufgelöster Kalk *m*
დუღება kochen (intr.); გული მიდუღდება mein Herz kocht
დუღვა s. დუღილი
დუღილი kochen; Kochen *n*, Sieden *n*; ~ს წერტი Siedepunkt *m*; წყალი დუღს das Wasser kocht
დუშალიკი (p.) Gabe *f*, Geschenk *n*
დუშაყი Riemen *m* [mal zwei«)
დუშაში (im Nardispiel: »zwei-
დუშმანი (p.) Feind *m*
დუცი s. დეყა
დუხჭირი unförmig, plump, elend
დუხჭირობა Elend *n*
დღე Tag *m*; სამუშაო ~ Werktag *m*; ბედნიერი ~ Feiertag *m*; შავი ~ Unglückstag *m*; ~ დღეზედ, ~ დღეობით von Tag zu Tag; დღისით am Tage; დღე და ღამე Tag und Nacht; ჩემს დღეში in meinem Leben; ~ გამოშვებით nach Verlauf eines Tages
დღეგრძელება wohl sein; ღმერთმან შვილი გიდღეგრძელოს Gottgebe deinem Sohn ein langes Leben!
დღეგრძელი langjährig [Wunsch)
დღეგრძელობა langes Leben *n* (als
დღედღისით alltäglich
დღევანდელი, დღეინდელი heutig
დღეის heute; ~ დღე der heutige Tag; ~ შემდეგ nach dem heutigen Tag; ~ იქით, ~ წაღმა in Zukunft; ~ სწორს in einer Woche; ~ წინათ vor einer Woche; დღეისამდის bis heute
დღეკეთილობა glückliches Leben *n*
დღეკრული s. დღენაკრული
დღემოკლე nicht lange dauernd
დღენაკრული ბავშვი Siebenmonatskind *n*
დღეობა Feiertag; Namenstag
დღეს heute
დღესასწაული Feiertag *m*
დღესასწაულობა feiern
დღე-ღამე Tag und Nacht
დღეღამტოლობა Tag- und Nachtgleiche *f*, Äquinoktium *n*
დღვება buttern
დღვილი Pech *n*, Harz *n*
დღივ am Tage
დღითი დღე jeden Tag
დღისით am Tage; ~-მზისით tagsüber, am hellen Tag
დღიური täglich, Tages-, Tagebuch *n*; ~ მიწა Tagesarbeit *f* (des Pflügens); ~ ხარჯო Taglohn *m*; ~ მუშაობა Tagesarbeit *f*; ~ წიგნი Tagebuch *n*
დღლუ Schmutz, flüssiger Teig *m*,
დღოჟი Pfütze *f* [Brühe *f*
დღოწი schmutzig
დღუბდღუბა s. დუდღუბო
დღუნდღუ (Art Weintraube)

ე

ებანი (Art Harfe)
ებგური Wache *f*
ებისტოლე s. ეპისტოლე
ებნვა tönen
ებრენიკი s. დიკა
ებრი gleich, ähnlich; მისებრ ihm ähnlich; შენის გულისაებრ nach deinem Herzen
ებრივი, ებური s. ებრი; შენებური deinesgleichen; ლომებრივი wie ein Löwe
ეგ, ეგე er, dieser; s. ეს
ეგბური s. ებგური
ეგდენი ein solcher
ეგე s. ეგ [გება
ეგება: ეგების es ist möglich; s.
ეგებისობა Wahrscheinlichkeit *f*; -ბის საზრისი Wahrscheinlichkeitstheorie *f*
ეგევე derselbe; dasselbe
ეგევითარი solch einer
ეგეთი ein solcher
ეგეთობა Ähnlichkeit *f*
ეგეოდენი s. ესოდენი
ეგერა siehe da!
ეგვიპტე Ägypten (s. Anhang)
ეგზემპლარი s. ცალი
ეგზომ soviel
ეგზომი von solcher Größe
ეგირი Teichkalmus *m* (Acorus); 2) (a.) Hedschra *f* (Beginn der mohammed. Zeitrechnung)
ეგრე(თ) so; ~ა so ist es
ეგრეთვე auch
ეგრეთი ein solcher
ეგუტერი s. ეკვდერი
ეგფერი solcher Art
ედემებრი paradiesisch
ედემი (hebr.) Eden *n*, Paradies *n*
ევადობა s. შეურაცხება
ევანი Jochriemen *m*
ევლოგია (gr.) österlicher Segen *m*
ევრომოზი Gänsekraut *n* (Potentilla)
ეზდენ(ი) soviel
ეზო Hof; წინა ~ Vorderhof *m*
ეზომ s. ეგზომ
ეთერი (gr.) Äther *m* (Phys.)
ეთეროვანი ätherisch
ეკადრება es geziemt sich; s. კადრება
ეკალა (Art Stechwinde, Smilax)
ეკალი Dorn *m*; ~ თვალში das Weiße im Auge; ეკალ-ბუჩქა Dornbusch *m*; ~-ლურჯა Mannestreu *f* (Eryngium); ~-მუხა Ebenholz *n*; ~-ღიჭა (Art Kletterpflanze); ~-ყაყაჩორა Sandmohn (Papaver argemone); ~-ძვალა (Evonymus verrucosus); ~-ხუნწა Stachelbeerstrauch *m* (Ribes); ეკლის ჩიტი Stieglitz *m*; ეკლის-ხე Akazie *f*
ეკვატორი (lat.) Äquator *m*
ეკვდერი Kapelle *f*
ეკიპაჟი s. ეტლი

ეკკლესია (gr.) Kirche *f*
ეკლებიანი dornig, stechend
ეკლესიება feiern
ეკლიპტიკა (gr.) Ekliptik *f*
ეკლოვანი s. ეკლებიანი
ეკუტერი s. ეკვდერი
ელამი schief; 2) Vorhalle *f*
ელამწყობი Elektromonteur *m*
ელატი (gr.) Tanne *f*
ელდა Schrecken *m*; ელდის კვრა, ცემა entsetzt sein
ელდენი elektrischer Strom *m*
ელეინი Terrasse *f*, Dach *n*
ელექტრო (gr.) Elektrizität *f*
ელექტროვნება elektrisieren
ელენთა Milz *f* [ელავს es blitzt
ელვა leuchten, blitzen; Blitz *m*;
ელვანა Springschwanz *m* (Podura); Wasserspinne *f*
ელვარე blitzend, glänzend
ელვარება blitzen, glänzen
ელვება funkeln
ელვითშლადი Elektrolith *m*
ელვისება Elektrisierung *f*
ელვისო Elektrizität *f*
ელვისური elektrisch; ~ დენი elektrischer Strom *m*; ~ გადაცემა elektr. Übertragung *f*; ~ სადენი elektr. Leitung *f*; ~ სიხშნე elektr. Energie *f*; ~ ქსელი elektr. Netz *n*
ელზომი Elektrometer *m*
ელი (a.) nomadisierendes Volk *n*; 2) Azalea *f*
ელიანდრე Efeu *m* [maden)
ელიაღასი der Älteste (bei den No-
ელიბეგი s. ელიაღასი
ელკიდო galvanischer Pol *m*
ელკუწა Elektron *n*
ელმა glänzen, funkeln
ელმაგუბარი Akkumulator *m*
ელმად (Adv.) schief, schielend
ელმადცერი s. ალმაცერი
ელმაჩენი Elektroskop *n*
ელმზიდარო Elektromagnet *m*
ელმზიდარობა Elektromagnetismus *m*
ელმზიდარული elektromagnetisch
ელმოლითვა Galvanoplastik *f*
ელმოლითური galvanoplastisch
ელნათურა elektrische Lampe *f*; Lötlampe *f*
ელნივთგნური elektrochemisch
ელპერწკი elektrischer Funke *m*
ელრკალა ნათური Bogenlampe *f*
ელრონარა elektrische Trambahn *f*
ელსადენი elektrische Leitung *f*
ელსიმხნე elektrische Energie *f*
ელფერი Abglanz *m*; Schattierung *f*
ელფი Stil *m*
ელფოლადი Elektrostahl *m*
ელქაჯი Leithammel *m*
ელქიმი Flechte *f*; Wiesenraute *f*
ელქმოსანი Elektrotechniker *m*
ელქმოსი elektrische Maschine *f*
ელქსელი elektrisches Netz *n*
ელღუნი Tamariske *f* (Tamarix)
ელჩი (t.) der Gesandte
ელძვრივი ძალა elektrische Kraft *f*
ელწერა telegraphieren
ელწერი Telegraph *m*
ელწერილი Telegramm *n*
ელწკარუნა elektrische Klingel *f*
ემაგ dieser
ემანდ hier

ემბაზი (gr.) Wanne *f*; Taufbecken *n*
ემინჯიბაში (tat.) Bergbeamter *m*
ემირი s. ამირი
ემუდა Fußfesseln *f pl.*
ემწამს sofort; s. ამწამს
მიხრახვნა zuschrauben
მიხრიალება rauschen
მიხრჩობა erwürgen
მიხრწნა faulen, verwesen
მიხტომა herspringen; anfallen
მიხუთვა ersticken
მიხურვა zumachen, schließen; მიხურეთ კარი machen Sie die Türe zu!
მიხწევა s. მიღწევა
მიჯახება stoßen an
მიჯდომა sich hinsetzen
მიჯეჯკა zusammenballen
მიჯვნა abgrenzen, abstecken
მიჯნა (p.) Grenzpfahl *m*
მიჯნვა s. მიჯვნა
მიჯნური (a.) Freier *m*
მიჯნუროба den Hof machen
მიჯრა hineinstecken
მკა mähen; ernten; Getreideernte *f*
მკადრებელი dreist
მკადრებელობა Dreistigkeit *f*
მკაზმავი Zurichter *m*
მკათათვე Juli *m*
მკალავი Verzinner *m*, Löter *m*, Plombierer *m*
მკალია s. კალია
მკამკამებელი glänzend
მკარგავი Verlierer *m*
მკაფელი Fäller *m*, Roder *m*
მკაფიო deutlich, klar, begreiflich
მკაფიოთ klar, deutlich
მკაცრება streng werden
მკაცრი streng
მკაწახობი unreif
მკბენარე, -რი bissig
მკდემელი schamhaft
მკდნარი s. მტკნარი
მკდოვანი tödlich; arm
მკედი Faden *m*
მკევინება Getreide schneiden lassen
მკეთებელი Macher *m*
მკელობა hinken
მკელობელი hinkend, lahm
მკელობლობა Lahmen *n*
მკერავი Schneider *m*
მკერდი Brust *f*
მკერვალი s. მკერავი
მკერვალობა schneidern; Schneiderhandwerk
მკერვლობა schneidern
მკვარი Span *m*; Fackel *f*
მკვახე unreif, grün; schroff
მკვახება unreif sein
მკვდარი der Tote, Leichnam *m*
მკვდრეთით: აღსდგა ~ von den Toten auferstanden
მკვეთება stoßen, anprallen
მკვეთელი, მკვეთი scharf; მართალ- ~ der die Wahrheit sagt
მკვეთლობა Schärfe *f*
მკვეთრი scharf
მკვეცარი scharf
მკვეხარა Prahler *m*
მკვეხარება prahlen; Prahlerei *f*
მკვიდრად (Adv.) gehörig, solid
მკვიდრება s. დამკვიდრება
მკვიდრი eigen, Eingeborener *m*; Einheimischer *m*
მკვიდრობა s. მემკვიდრეობა
მკვირცხე(ლი) schnell, flink, hitzig
მკვლეველი Nachforscher *m*, Untersucher *m*
მკვლელი Mörder *m*
მკვლელობა Mord *m*
მკვლელობითი Mord-

მკვნესარე, -რი der Seufzende, der Jammernde
მკვრელი Spieler *m* (eines Instruments)
მკვრივი voll, fest, massiv
მკთოლვარე zitternd
მკიერი geschmückt
მკივანი schreiend
მკითხავი Leser *m*; Wahrsager *m*
მკითხაობა Zauberei *f*; Wahrsagekunst *f*
მკითხველი Leser *m*; Frager *m*
მკითხველობა Lesen *n*; Zaubern *n*
მკილავი Tadler *m*
მკილაობა spotten
მკირავი einer der mit Kalk begießt
მკირწყლავი Steinsetzer *m*
მკიცხავი Tadler *m*
მკიცხაობა Tadeln *n*
მკლავება die Ärmel aufstreifen; in die Hand nehmen
მკლავი Arm *m*; Macht *f*, Kraft *f*; მკლავ-მაგარი kräftig
მკლავიანი mit Händen (versehen)
მკლთოვარე glanzverbreitend
მკლთოვარება Glanz *m*
მკმოლვარე rauchend
მკობა schmücken; loben, preisen
მკობილი geschmückt; gepriesen
მკოდავი verwundend; kastrierend
მკოდოვანი Bettler *m*
მკრები Sammler *m*
მკრეფელი, მკრეფი Sammler *m*; ხარჯის ~ Steuereinnehmer *m*
მკრეხელი s. გამკრეხელი
მკრთალი blaß; schüchtern
მკრთალობა Schüchternheit *f*, Blässe *f*
მკრთლად (Adv.) blaß; schüchtern
მკრთომარე glänzend
მკრთომარება, მკრთომელება Glanz verbreiten
მკრუნჩხავი krampfhaft
მკრჩხალი scharfe Krallen habend
მკრძალავი, -ლველი Bewahrer *m*
მკრძალი vorsichtig
მკსინვარე böse, zornig, hart
მკსინვარება Strenge *f*
მკუ . . . s. a. მკვ . . .
მკუთნველი gehörend
მკული geschmückt
მკულობა Schmuck *m*
მკუპრავი Teerstreicher *m*
მკურნალი Arzt *m*
მკურნალობა heilen; Medizin *f*
მლაღობელი Spaßmacher *m*
მლაშე gesalzen, salzig
მლეწავი, მლეწველი Drescher *m*
მლივი dünn, mager
მლიქნელი Schmeichler *m*
მლიქნელობა schmeicheln
მლმობელი mitleidig
მლმობელობა Barmherzigkeit *f*
მლოდინე der Erwartende
მლოშნელი Lecker *m*
მლოცავი, მლოცველი Beter *m*, Pilger *m*
მლოცაობა beten; pilgern
მლტოლვარე Flüchtling *m*
მლტოლვარება Flucht *f*
მლხენელი, მლხინებელი Erheiterer *m*; Erleichterer *m*
მმართებელი Leiter *m*; Verwalter
მმართებლობა Leitung *f*, Verwaltung *f*, Regierung *f*
მმართველი Geschäftsführer *m*; Verwalter *m*

მმართველობა Verwaltung *f*, Behörde *f*, Regierung *f*
მმარხველი jem., der fastet; Bewahrer *m*
მმარხველობა Fasten *n*
მმუსრავი Vernichter *m*
მნა (alte Münze)
მნადირებელი Jäger *m*
მნათე Küster *m*
მნათვლელი s. მნათლავი
მნათი hell; სულ-~ erleuchtete [Seele *f*
მნათლავი Täufer *m*
მნათობელი erleuchtend
მნათობი Licht *n*; Leuchte *f*; ცის ~ Himmelslicht *n*
მნათობიერი lichtspendend
მნატრავი, მნატვრელი der Wünschende
მნახავი, მნახველი Augenzeuge *m*
მნდომა wünschend, wollend
მნე der Beamte; ~ სახლისა Hausverwalter *m*; ~ ქალაქისა Stadtoberhaupt *n*
მნებებელი wünschend
მნებებლობა Wunsch *m*; Wille *m*
მნეობა verwalten
მნერბავი Zuchthammel *m*
მნერგავი, მნერგველი jem., der (Bäume) setzt
მნესახლისი s. მნე
მნეტარებელი der Selige, Anbeter
მნთებარე brennend
მნთებარება Brennbarkeit *f*
მნიშვნელი bedeutend, Nenner
მნიშვნელობა Bedeutung *f*, Wert *m*
მნიშვნელოვანი wichtig, bedeutend
მნუსხარი Registrator *m*
მო- Verbalpräfix zur Bezeichnung der abgeschlossenen Handlung bzw. des Futurs
მოაბა (a.) Sänfte *f*, Portechaise *f*
მოადგილე Stellvertreter *m*
მოადგილეობა Stellvertretung *f*
მოადვილება erleichtern
მოადვილო leicht (zu tun)
მოადი (a.) Kläger *m*
მოადრეო früh; -დ zu früh
მოავადმყოფება kränkeln
მოავე schlecht, böse
მოავება verschlimmern
მოავო übel, zornig, böse
მოაზრე Denker *m*
მოაზრება denken, erwägen
მოალერსე der Liebkosende
მოალერსება liebkosen
მოალისფრო scharlachrot
მოამბე Bote *m*; Erzähler *m*
მოანგარება rechnen, profitieren
მოანგარიშე Zähler *m*, Rechner *m*
მოანდერძე Erblasser *m*
მოარება herumgehen, spazieren [gehen
მოარული herumgegangen; ~სენი Epidemie *f*
მოარულობა Spaziergang *m*; Verbreitung *f*
მოარშიყე Liebhaber *m*, Freier *m*
მოასაბე der Verbündete
მოასაკე Altersgenosse *m*
მოასპარეზე Athlet *m*
მოაღაპე Teilnehmer am Leichenschmaus
მოაღსარებე Beichtvater *m*
მოაშიყე s. მოარშიყე
მოახლე der Bedienstete
მოახლება sich nähern; dienen; Aufwartung *f*

მოახლებული angenähert, nahe
მოახლო nahe; 2) neu [schaft *f*
მოახლობა Begleiter *m*; Diener-
მოახლოვება annähern; მოუახლოვდა er näherte sich; მომიახლოვდით! treten Sie näher!
მოახლური Dienerschafts-
მოაჯირი Gitter *n*, Geländer *n*
მოაჯე Bittsteller *m*
მოაჯ(ე)ობა bitten, ersuchen
მობაგვა umgeben
მობადაგება in Most verwandeln
მობადურება mit dem Netz fangen
მობავთე der Jammernde, Wehklagende
მობაკება, მობაკვა umzäunen
მობაკული umzäunt
მობალახე weidend
მობანა, მობანება abwaschen
მობარება anvertrauen; მომებარა ich bekam anvertraut
მობარვა graben, bestellen (Feld)
მობაძავი Nachahmer *m*
მობაძვა nachahmen
მობაწრვა mit einem Tau umwickeln
მობეგრე Steuereinnehmer *m*
მობეზრება überdrüssig werden einer Sache (რისამე); verdrießen
მობეზრებული langweilig; verdrießlich; ~ა es verdrießt ihn
მობეზღარი Denunziant *m*, Spion *m*
მობეჟვა zusammenknüllen, quet-
მობერვა anblasen [schen
მობერტყა herabschütteln
მობერწება unfruchtbar machen
მობზეკა krümmen
მობზეკილი gekrümmt
მობიბინე grünend; ~ ყანა grünendes Kornfeld *n*
მობილწება besudeln [werden
მობინძურება schmutzig, schlampig
მობირება anziehen, auf seine Seite ziehen
მობირებული hin-, angezogen
მობლანდვა, მობლარდნვა umwickeln, fesseln
მობმა anbinden; ansetzen (von den Früchten); კეთილი ხე კეთილს მოიბამს ein guter Baum bringt gute Früchte
მობმული angebunden
მობნევა ausschütteln, verschwenden
მობნელება verfinstern
მობობღვა dahinkriechen
მობოკ(ლ)ვა aufwinden, aufwickeln; ~ხისა einen Stamm biegen
მობოლვა rauchen
მობოლოდ (Adv.) endlich
მობოტება schleppend gehen
მობოძება gewähren, geben, belohnen, schenken
მობოჭვა ergreifen, in die Hand nehmen; sammeln
მობრალება bemitleiden
მობრალული bedauert [leidigen
მობრიყვება betrügen, foppen, be-
მობრტყე flach, abgeflacht
მობრტყელება abflachen
მობრუნება umdrehen, wenden, umwälzen, umkehren, zurückerstatten; სენი მომიბრუნდა die Krankheit hat mich wieder befallen
მობრუნებული umgewendet; zurückerstattet

მობრყვილება schwächen
მობრძანება ankommen; მობრძანდით »bitte«; კეთილ იყოს თქვენი ~ seien Sie willkommen!
მობრწყინება, მობრწყინვა Glanz verleihen; glänzen
მობუგვა verbrennen, einäschern
მობუზვა sich krümmen
მობუზული gekrümmt
მობუზღუნე Brummer *m*, der Murrende
მობურვა bedecken
მობურთალი Ballspieler *m*
მობღუნძვა sich zusammenziehen
მობძანება s. მობრძანება
მობძარვა zerreißen
მობჯენა überschreiten; sich stützen
მოგანგლვა verstopfen, beschmutzen
მოგანგრვა neppen
მოგარება umgeben, umzingeln
მოგარეგე der Äußere
მოგარეობა das Äußere
მოგდება (ab)werfen; ergreifen; schließen; მომიგდებს er wirft mich weg; რძემ მოიგდო ნაღები die Milch bedeckte sich mit Sahne; მომიგდებს ყურსა er gehorcht mir; ყური მომიგდე gehorche! höre (mich)
მოგდებინება (თავის) abhacken
მოგდებული abgeworfen
მოგდომა sich legen, liegen
მოგება gewinnen; erwerben; მოიგო er erwarb, erstand; მოვიგე სასყიდელი ich habe eine Belohnung empfangen; მე არაფერი მომიგია ich habe nichts gewonnen; ღმერთმან მოგიგოს მაგიერი Gott vergelte es; მოიგო სახელი er erwarb sich einen Namen; ჯერ ჟამი არ მომეგო ich fand noch keine Zeit; მოიგო სანაძლეო er gewann die Wette; ფურმა მოიგო ხბო die Kuh hat gekalbt
მოგებება entgegenkommen
მოგებული erworben, gewonnen
მოგერება abwehren; verteidigen; მოვიგერეთ იერიში wir schlugen den Angriff ab
მოგვა ausfegen
მოგვალვა kommen
მოგვარება bereiten; anpassen; in Einklang bringen
მოგვერდი Manier *f*, Handhabe *f*; ~ს კვრა jem. ein Bein stellen
მოგვი (gr.) Magier *m*, Zauberer *m*
მოგვიშული listig
მოგვრა herbeiführen; მომგვარე führe mir her!
მოგზავნა zuschicken, zusenden
მოგზავნილი zugesandt
მოგზაური der Reisende
მოგზაურობა reisen; Reise *f*
მოგზ(ნ)ება entzünden
მოგიჟება verrückt werden
მოგიჟიანება sich wahnsinnig stellen
მოგლა zerstoßen, sich stoßen
მოგლესა aufschmieren
მოგლეჯა abreißen; წყალმა ხიდი მოგლიჯა das Wasser riß die Brücke weg
მოგლეჯილი abgerissen
მოგლოვა, მოგლოვება beweinen, beklagen
მოგნება finden; ვერ მომაგნებ du kannst mich nicht finden

მოგობა Magie *f*, Zauberei *f*
მოგოგვა umherflattern
მოგოზა belecken
მოგონება sich erinnern, einfallen, gedenken; მოაგონდა er erinnerte sich; მომიგონებს er erinnert mich
მოგონებული erdacht, erinnert
მოგონიერება vernünftig werden
მოგონილი erdacht
მოგონილობა Erdichtung *f*, Simulierung *f*
მოგორება wälzen
მოგორვა sich wälzen; მოგორავენ sie rollen dahin
მოგრაგნა umwickeln
მოგრემლება, -მლვა die Augenbrauen schwärzen
მოგრეხა umdrehen, biegen; ziehen
მოგრეხილი umgebogen
მოგრეხილობა Biegsamkeit *f*
მოგრილება abkühlen
მოგროვება sammeln; zusammenhäufen; მოაგროვა er sammelte; ~ერთს ადგილს an einem Ort sammeln
მოგროვებინება sammeln lassen
მოგროვილი gesammelt
მოგრძე s. მოგრძო
მოგრძელება in die Länge ziehen
მოგრძო länglich
მოგუბება eindämmen, stauen
მოგულვა (კარისა) die Tür schließen
მოგულვება ausdenken
მოგუნდავება ballen, häufen
მოგუობა s. მოგობა
მოგძე s. მოგრძო
მოდა Scheffel *m*; 2) Mode *f*
მოდაბლება erniedrigen
მოდაბლო (etwas) niedrig
მოდავე Kläger *m*; Streiter *m*
მოდავება bestreiten (etwas)
მოდავითნე s. მედავითნე
მოდავლავე Erbeuter *m*
მოდარაჯე Schildwache *f*
მოდარბაზე Besucher *m*
მოდარე ähnlich [Wetter)
მოდარება sich aufklären (vom
მოდარილი beobachtet
მოდასე Gefolge-, Standes-
მოდგამი rassig, von gutem Schlage
მოდგენა hinstellen, errichten
მოდგინე, მოდგინეობა Eifer *m*; გულს მოდგინე eifrig
მოდგმა, მოდგმობა hinstellen, hinrücken, anbauen; Rasse *f*; Generation *f*; მოადგა er baute an; თავზედ გვირგვინი მოადგა er setzte ihm die Krone aufs Haupt
მოდგმული hingestellt
მოდგომა anpassen; nachfolgen, besetzen; herankommen; უბედურობა მომადგა es traf mich ein Unglück; ახლოს ვერ მომიდგა er konnte nicht nahe zu mir kommen; მოგვიდეგით folget uns nach! მოუდგები საქმესა du machst dich ans Werk; მოუდგა er sah nach
მოდგომილი umringt
მოდება ausbreiten; erfassen; ~ ცეცხლის entflammen; anzünden
მოდებული ausgebreitet
მოდედება säuern
მოდედებული gesäuert
მოდევნა nachfolgen

მოდენა fließen, rinnen; s. a. დენა; ქაფის ~ schäumen
მოდი komm! s. მოსლვა
მოდიდება vergrößern; anschwellen; წყლის ~ Flut *f* [schwollen
მოდიდებული vergrößert; ange-
მოდიდო ziemlich groß
მოდინება herfließen
მოდინჯება ernst werden
მოდნობა auftauen, schmelzen
მოდრეკა biegen, krümmen, neigen
მოდრეკილი gebogen; bezwungen
მოდრეკილობა Neigung *f*, Biegung *f*
მოდრკომა sich krümmen, sich neigen; schlapp werden; მოსდრკა er ist schlapp geworden
მოდუდუნე rieseln; murmeln
მოდუნახჩა Kopfsteuer *f*
მოდუნება nachlassen, schwächen; Schwächung *f* [schlaff
მოდუნებული geschwächt, flau,
მოდუღება sieden, kochen
მოდღევნებული bejahrt
მოდღინე Preiselbeere *f* (Vaccinium)
მოედანი s. მეიდანი
მოელვარე glänzend, blitzend
მოელვარება glänzend machen, po-
მოელვარობა Glanz *m* [lieren
მოემრობა s. მეომრობა
მოენე Sprachkenner *m*; Übersetzer *m*
მოერთგულება treu ergeben sein
მოერთება vereinigen
მოერქვნა ackern
მოერქვნილი geackert
მოეძევება s. მოძევება
მოვაგლახე armselig, kümmerlich
მოვაზირება sich beraten
მოვაკება ebnen, abflachen
მოვალე Schuldner *m*
მოვალეობა Pflicht *f*; დაგვაჯილდოვებენ, თუ ჩვენს ~ს შევასრულებთ man wird uns belohnen, wenn wir unsere Pflicht tun
მოვანება voll werden (vom Monde)
მოვაჟკაცება zum Mann werden
მოვარაყება vergolden
მოვარაყებული vergoldet
მოვარგება taugen
მოვარგებული tauglich
მოვარდნა abfallen; überrennen, sich werfen auf; მოვარდა წყალი der Fluß stieg über die Ufer
მოვარდნილი abgefallen
მოვარჯიშვა üben, turnen
მოვასხე, -ვახშე Darlehengeber *m*
მოვაჭრე Händler *m*
მოვაჭრება kaufen, handeln (mit)
მოვერაგება listig sein
მოვერცხლვა versilbern
მოვი (Seidenstoff)
მოვირება dumm, dreist werden
მოვისპერანგი seidenes Hemd *n*
მოვიწროვე eng, schmal
მოვიწროვება einengen
მოვიწყება vergessen
მოვლა behandeln; warten, pflegen, beaufsichtigen
მოვლება umführen; benähen; ~ თვალის sich umsehen
მოვლენა erscheinen, sich zeigen; senden; Erscheinung *f*; ანგელოზი მოევლინა es erschien ein Engel
მოვლენილი gesandt, erschienen
მოვრდომა s. მოვარდნა

მოვრცელება verbreiten
მოვსება anfüllen
მოზავე Friedensstifter *m*
მოზავება besänftigen
მოზავებული befriedigt; gehörig
მოზანტება träge sein
მოზარალება Verlust erleiden
მოზარდება wachsen; მოიზარდა er wuchs heran
მოზარდი, -დო heranwachsend; ~ თაობა die heranwachsende Generation
მოზარდობა Wachstum *n*
მოზარე Klagesänger *m*
მოზარება faul, träge sein
მოზახება schreien, klagen
მოზახული wehklagend
მოზდილი s. მოზრდილი
მოზევა anziehen, spannen; s. a. მოწევა
მოზელა Teig kneten
მოზეწრული mit dem Totenkleid bekleidet
მოზვერი junger Stier *m*, Fasel *m*
მოზვინება häufen
მოზიანება Schaden erleiden
მოზიარე Teilhaber *m*
მოზიარობა Beteiligung *f*
მოზიდვა herbringen, anziehen, herbeiziehen; მაგნიტი მოიზიდავს რკინას der Magnet zieht das Eisen an
მოზიდული hergebracht; angezogen
მოზიზღარი angeekelt, grießgrämig
მოზიზღება anekeln
მოზმანება träumen
მოზნექა krümmen, biegen
მოზომვა abmessen
მოზოპვა herausplatzen (mit der Rede)
მოზრდა heranwachsen
მოზრდილი herangewachsen, erwachsen
მოზრუნავი sorgsam
მოზუზვა einschrumpfen
მოზუზუნება brummen
მოზღაპრე Fabeldichter *m*
მოზღაპრეობა Erdichtung *f*
მოზღვა, მოზღვევა aufwallen
მოზღვავება Flut *f*
მოზღვლევა einstürzen
მოზღვრე (Grenz-) Nachbar *m*
მოზღუდვა umzäunen
მოთავე Oberhaupt *n*; Initiator *m*
მოთავნე Gewährsmann *m*
მოთავსე verträglich, friedlich
მოთავსება unterbringen
მოთათხვა beschmieren
მოთაკილე leicht empfindlich, kitzlich
მოთაკილეობა Empfindlichkeit *f*
მოთალი (ყველი) Schafskäse *m*
მოთამაშე Spieler *m*, Tänzer *m*
მოთანაგვარე wesensverwandt
მოთანასწორება ausgleichen
მოთარგმანება übertragen, übersetzen
მოთარეშე Herumtreiber *m*
მოთარეშება plündern
მოთარჯი Visier *n*
მოთაული der Älteste
მოთბილო s. მოთბო
მოთბო lauwarm
მოთბობა anwärmen
მოთეგა Golddruck *m*
მოთეთრება weiß färben
მოთეთრო weißlich

მოთეთქა zerdrücken
მოთეთქილი zerdrückt
მოთელ(ვ)ა walken
მოთელილი gewalkt
მოთემე Gemeindeangehöriger *m*
მოთენება dämmern
მოთეს(ლვ)ა besäen
მოთვალვა besehen, behexen
მოთვალიერება durchsehen, besichtigen
მოთვალული behext
მოთვლა abzählen, aufzählen
მოთვლემა schlummern
მოთიბვა Heu mähen
მოთითხნა verschmieren
მოთილისმული s. მოჯადოვებული
მოთინთლვა im Schmutz herumwälzen; schmeicheln
მოთლა abschneiden (Weiches)
მოთმენა leiden, dulden, ertragen; verzeihen; მოვითმენ შიმშილსა ich leide Hunger
მოთმინება leiden; warten, Geduld *f*; მოითმინა er litt! მომითმინე warte! მოითმინე warte! gedulde dich!
მოთმობა verzeihen
მოთნე: პირ~ Schmeichler *m*
მოთნე(ო)ბა schmeicheln, gefällig sein
მოთოვება schneien; მოსთოვა es hat geschneit
მოთოხნთლო weichlich
მოთოხნა hacken
მოთრევა herschleppen, wälzen
მოთრეული hergeschleppt
მოთუთქვა verbrühen
მოთუთხვ(ნ)ა verschmieren
მოთქვირება aufgedunsen sein
მოთქმა Klagelieder singen
მოთხე, მოთხელო dünn
მოთხელება verdünnen
მოთხვა sich ergötzen
მოთხვი(თი) viereckig
მოთხვილი Bündel *n*
მოთხზვა herumlegen
მოთხლეშა abbrechen
მოთხოვება verheiraten; heiraten (von der Frau)
მოთხოვნა fordern, erbitten, verlangen; ნუ მომთხოვ verlange von mir nicht!
მოთხოვნილება Bedürfnis *n*; Forderung *f*
მოთხრა ausgraben, ausstechen; მოთხარა er grub auf
მოთხრილი ausgegraben
მოთხრობა erzählen; Erzählung *f*, Rede *f*; არაპირდაპირი ~ indirekte Rede *f* (Gramm.)
მოთხრობათ მწერალი Geschichtsschreiber *m*
მოთხრობითი erzählend; ~ ბრუნვა Aktivus *m* (მან-Fall) [Gramm.]
მოთხუნვა beschmutzen
მოიეფე wohlfeil
მოიმედე der Hoffende
მოიმედება hoffen
მოისარი Schütze *m*
მოიცა warte! halt! s. მოცდა
მოიჯარადრე Pächter *m*
მოკადნიერება sich erdreisten
მოკავება ergreifen
მოკავშირება löten
მოკაზმვა schmücken; ausrüsten; zurechtmachen; ~ ცხენისა ein Pferd satteln

მოკაზმული geschmückt
მოკაზმულობა Ausrüstung *f*, [Schmuck *m*
მოკაკვა biegen
მოკალვა verzinnen, löten
მოკამათე Gegner *m*, Disputant *m*
მოკამათება disputieren, Diskussion *f*
მოკამკამე strömend, rieselnd
მოკამკამება strömen
მოკანკალე der Zitternde
მოკანტურება den Kopf neigen
მოკარგვა verlieren
მოკარება sich nähern, berühren
მოკარვე Zeltbewohner *m*
მოკატუნება jammern, wehklagen
მოკაფვა fällen
მოკბენჩა abbeißen
მოკდემა Scham empfinden
მოკდომა s. მოკვდომა
მოკეთე Wohltäter *m*
მოკეთება verbessern; sich erholen
მოკეკლუცება fesch, keck sein
მოკენკა aufpicken
მოკერება annähen
მოკეტა abschließen
მოკეცა biegen; mit untergeschlagenen Beinen sitzen
მოკეცილი gebogen; ფეხ ~ ზის er sitzt mit untergeschlagenen Beinen
მოკვდავება Sterblichkeit *f*
მოკვდავი tödlich, sterblich
მოკვდენა, მოკვდინება töten
მოკვდომა sterben; შვილი მოუკვდა es starb ihm ein Sohn; ის ხომ არ მომკვდარა? er wird doch nicht gestorben sein?
მოკვეთა abschneiden, abhacken, einstellen, sperren
მოკვეთილი abgeschnitten, abgehauen
მოკვეთინება abschneiden lassen, [abtrennen
მოკვეცა abscheren
მოკვეცილი abgeschoren
მოკვეხა prahlen
მოკვეხარი Prahler *m*
მოკვლა s. მოკლვა
მოკვლევა sich zurechtfinden
მოკვლევინება töten lassen
მოკვნესი seufzend
მოკვნეტა abbeißen, zernagen
მოკვრა s. მოკრვა
მოკიდება in die Hand nehmen, fassen; ~ ცეცხლის anzünden; ~ ღვინის angeheitert sein; ხელი არ მოჰკიდა er legte nicht Hand an; ხელი ხელს მოჰკიდეს sie faßten einander an der Hand; ხელი მომკიდე faß mich an der Hand! თავზედ მოვიკიდებ ich nehme auf mich
მოკიდებულება Gebundensein *n*
მოკიდებული angebunden, abhängig
მოკიდული s. მოკიდებული
მოკითხვა fragen; grüßen; Gruß *m*; მოიკითხეთ ჩემ მაგიერ grüßen Sie ihn von mir! მოგიკითხე ich habe dich gefragt; ღმერთი მომკითხავს Gott wird mich strafen; მრავალს ~ს მოგახსენებთ wir grüßen euch vielmals
მოკითხული ausgeforscht
მოკითხულობა Untersuchung *f*, Verhör *n*
მოკირვა mit Kalk beschmieren
მოკირწყლვა pflastern

მოკირწყლული gepflastert
მოკიცხარი Tadler *m*
მოკიცხაროზა tadeln, lachen über
მოკიცხვა schelten, tadeln
მოკლაკვნა krümmen
მოკლე kurz; დღე ~ kurzlebig; ჭკუა ~ schwachsinnig; მოკლედ ვსთქვათ kurz gesagt
მოკლება verkürzen, verringern, vermindern; fehlen; წყალი მოაკლდა das Wasser fiel, verminderte sich; მოუკლა სიცოცხლე er verkürzte ihm das Leben; მომიკლა ფასი er ließ mir vom Preise ab; მოაკლდა თვალის სინათლე er verlor das Augenlicht; ძალა მოაკლდა er büßte die Kräfte ein; მოაკლდა პური es fehlte an Brot; მადა მოაკლდა er hatte keinen Appetit [mindert
მოკლებული abgenommen, ver-
მოკლედ (Adv.) kurz
მოკლეობა Kürze *f*
მოკლერტვა sich schlingen um
მოკლვა töten, ermorden; ~ წყურვილის den Durst löschen; მოკლა er tötete; მომკლავს er wird mich töten; მოვჰკალ ich habe getötet; მოიკლა თავი er beging Selbstmord; ვიღაც მოჰკლეს es wurde jemand ermordet; ნაღველი მომკლავს die Galle läuft mir über
მოკლობა Kürze *f*
მოკლული getötet
მოკმაზვა s. მოკაზმვა
მოკნინება vermindern, abnehmen
მოკოკილავება abrunden
მოკონკება zerfetzen
მოკორტნა abnagen
მოკოცნა abküssen
მოკოხტაო stutzerhaft
მოკრასნა sich zu einem Ring drehen
მოკრება, მოკრეფა sammeln, pflükken; werben; დიდი შეძლება მოჰკრეფა er sammelte ein großes Vermögen an
მოკრეფილი gesammelt; gepflückt
მოკრვა anbinden, stoßen, bemerken; hören; ~ გულზედ ans Herz drücken; მოჰკრა ყური er hörte
მოკრიალე glänzend
მოკრივე Boxer *m*
მოკრკალვა abrunden
მოკრტიმლე zänkisch
მოკრტიმლეობა Hader *m*, Zank *m*
მოკრული angeschlagen
მოკრუნჩხვა sich krümmen, zucken
მოკრუნჩხული verkrümmt
მოკრძალვა behüten, bewahren, umzäunen, unter Verschluß halten; ~ ვით sorgfältig, vorsichtig
მოკრძალული bewahrt, eingeschlossen
მოკუზვა biegen; bucklig sein
მოკუზული gebückt; ~ დადის er geht gebückt
მოკუმშვა zusammenballen
მოკუმშვილი geballt
მოკუნტვა sich krümmen
მოკუნტული gekrümmt, klein (gewachsen) [tränken
მოკუპრვა einschmieren, mit Teer
მოკურცხლვა entfliehen, ausreißen
მოკუფხლვა sammeln

მოკუწვა ausschneiden
მოლაგება herrichten
მოლაგებული hergerichtet
მოლა (a.) Mulla
მოლაზონი s. მონაზონი
მოლალე der Zänkische
მოლალვა herbeitreiben
მოლამაზება sich schön machen
მოლანდება im Traum erscheinen; Erscheinung *f*, Gesicht *n*; მომელანდა mir erschien im Traum
მოლაპარაკე Sprecher *m*
მოლაპარაკება besprechen; მინდა მას მოველაპარაკო ich will mit ihm sprechen
მოლაჟვარდული lazur
მოლარე Schatzmeister *m*
მოლარეობა (Amt des Schatz- [meisters)
მოლაღე Spaßvogel *m*
მოლაღობა Scherz *m*
მოლაღური Goldamsel *f*
მოლაყბობა Geschwätz *n*
მოლაშქრე Krieger *m*
მოლაშქრება bekriegen
მოლბილება erweichen
მოლბობა erweichen, besänftigen
მოლეგაო grau
მოლევა ausgeben, vergeuden; aussaugen; austrinken
მოლეკულებრივი molekular
მოლესა schärfen, schleifen
მოლესილი geschärft, geschliffen
მოლექსე Dichter *m*, Versmacher *m*
მოლექსეობა Dichten *n*
მოლეწა dreschen, aufbrechen
მოლი Mantel *m*, Überwurf *m*; 2) s. მოლოქი
მოლიზღარი frecher Kerl *m*
მოლიპვა glatt sein (vom Eis)
მოლიპული gefroren; glatt
მოლმობიერება erweichen
მოლოდება warten, erwarten
მოლოდინება warten lassen
მოლოდინი Erwartung *f*
მოლოდნა warten, erwarten; მოველი ich warte; მომელის er wartet auf mich; საფრთხე არ მოგელის es besteht keine Gefahr für dich; მოელის სტუმრებსა er erwartet Gäste [num)
მოლოზანა Hirschholder *m* (Vibur-
მოლოზანი s. მონაზონი
მოლოკა ablecken
მოლოქი frisches Gras *n*
მოლოშვა auslecken
მოლოცვა pilgern; beglückwünschen; მივულოცავ ich beglückwünsche (ihn); მომილოცავს ich beglückwünsche dich
მოლპობა faulen, eitern
მოლტოლვა Zuflucht nehmen bei, flüchten zu
მოლურჯება blau färben
მოლურჯო bläulich
მოლხენა erfreuen, erheitern
მოლხინარი, მოლხინე heiter, froh
მოლხინება s. მოლხენა
მოლხინი froh
მოლხობა auftauen
მომაბეზრებელი überdrüssig
მომაგიერე Vertreter *m*, Stellvertreter *m*, Ersatzmann *m*
მომაგრება festigen, stärken
მომადლება, მომადლიერება begütigen, zurDankbarkeit verpflichten

მომადლიერებული zu Dank verpflichtet
მომავალი kommend; Zukunft *f*
მომავლინებელი Sender *m*
მომავლობა Gehen *n*; Zukunft *f*
მომაზრება umwickeln
მომაკვდავი sterblich, Todes-
მომაკვდინებელი tödlich; ~ ცოდვა Todsünde *f*
მომანჭვა (პირის) das Gesicht falten
მომაოხრებელი Verwüster *m*
მომარგალიტება mit Edelsteinen besetzen
მომარგვლა jäten, reuten
მომართ zu, hin; ჩვენდა ~ zu uns
მომართება streben, richten, sich wenden zu; helfen
მომართებულება Richtung *f*
მომართვა richten; helfen; verwalten; leiten; aufziehen (Uhr); ~ ჭიანურის eine Geige stimmen; მე ჩემი საათის ~ დამავიწყდა ich habe vergessen, meine Uhr aufzuziehen; ხელი მომიმართე hilf mir aus!
მომართი zugewendet, hingerichtet nach
მომართული hergerichtet; aufgezogen (Uhr)
მომართულობა Struktur, Richtung *f*; Mechanismus *m*
მომარილება versalzen
მომარტოვება vereinsamen
მომარჩინებელი heilend
მომარხულება aufhören zu fasten
მომარჯვე gewandt, angepaßt
მომარჯვება angleichen, anpassen; zielen, richten auf; ღმერთმან სიკეთე მოგიმარჯოს Gott verhelfe dir zum Guten!
მომარჯვებულება Anpassung *f*, Gewandtheit *f*
მომარჯვებული flink, gewandt
მომასწავებელი Andeutungs-; Vorbote *m*
მომატება hinzufügen, erhöhen; მოუმატა er fügte hinzu; წყალმა მოიმატა das Wasser stieg
მომატებულება Vermehrung *f*
მომატებული hinzugefügt, vermehrt
მომატყუებელი Betrüger *m*; irreführend
მომაუძლურებელი schwächend
მომაქარვებელი lindernd
მომაქცეველი Wender *m*
მომაღლება erhöhen
მომაღლო erhöht [begrenzt
მომაღნარებელი von einem Urwald
მომაღორებელი verführerisch, trügerisch
მომაყარი Wurf-
მომაყივნებელი krähend [mend
მომაშთობელი erstickend, beklem-
მომაჩხო grell
მომაცთუნებელი Verführer *m*
მომახება ein Netz stellen
მომახვა schärfen, spitzen
მომახველობა Schärfe *f*
მომახურება s. მომახება
მომახური Fischfang (mit dem Netz)
მომბირებელი anziehend
მომბძარველი zerreißend, quälend
მომგები Gewinn bringend
მომგებლობა Gewinn bringen, lohnt
მომგვრელი Zuführer *m*

მომგზავრება reisen
მომგლეჯი Abreißer *m*
მომგლოვიარება Trauer ablegen
მომგოზველი Stukkateur *m*
მომგონებელი Erfinder *m*, Ausden-
მომგრეხავი Zudreher *m* [ker *m*
მომდაბლება erniedrigen
მომდარებელი sich aufklärend (vom Wetter)
მომდებარი entzündend
მომდედრება wie eine Frau werden
მომდევარი Verfolger *m*
მომდევნო nachfolgend
მომდენი fließend
მომდვინებული gedüngt
მომდინარე fließend
მომდინარება fließen
მომდინარეობა entspringen; Lauf *m*; ჟამის ~ში im Laufe der Zeit
მომდოვრება beruhigen, bezähmen
მომდრეკი biegend; bezwingend
მომდუნებელი schlapp machend
მომდურავი unzufrieden
მომდურება zürnen; böse machen; ნუ მომიმდურებ mache mich nicht böse!
მომედგრე Faulpelz *m*
მომედგრება faul; untätig sein
მომედგრებული faul
მომეტება hinzufügen; übertreiben
მომეტებული hinzugefügt; მომეტებულ ნაწილად größtenteils
მომეც gib mir! s. მოცემა
მომვლელი Pfleger *m*
მომზადება vorbereiten, rüsten; ყველაფერი მოამზადეთ? habt ihr alles vorbereitet?
მომზადებინება vorbereiten lassen
მომზადებულება Vorbereitung *f*
მომზადებული vorbereitet
მომზევა beleuchten, sonnen
მომზიდველი Anziehungs-
მომზიდველობა Anziehung *f*
მომზირალი der Schauende, Sehende
მომზირალობა Sehen *n*
მომზირვა sehen
მომზირი sehend
მომზრახი Erzähler *m*
მომზრახობა erzählen
მომზღვლევა abreißen, abbrechen
მომზღვრე begrenzt
მომთელება wiederherstellen
მომთესველი Säemann *m*
მომთვრალე Säufer *m*
მომთვრალება sich betrunken stellen
მომთვრალობა saufen, Trunksucht
მომთმენი, მომთმინო geduldig; Dulder *m*
მომთხვევა wälzen auf
მომთხილება aufpassen, sich hüten
მომთხრელი Gräber *m*; Verderber *m*
მომთხრობ(ელ)ი Erzähler *m*
მომიზდებული Miets-
მომიზნება zielen
მომინება Glas bearbeiten
მომიწება in Erde, Staub verwandeln
მომიჯნ(ავ)ე angrenzend, Grenz-
მომკა ernten; რასაც დასთეს, იმას მოიმკი was du säst, wirst du ernten; ხორბალს მომკიან, როდესაც მომწიფდება das Getreide wird geschnitten, wenn es reif ist; პური მომკეს sie schnitten Getreide
მომკალავი Löter, Verzinner *m*
მომკალი Schnitter *m*

მომკვდარება sich tot stellen
მომკვდარი tot
მომკვდარობა Tod *m*
მომკვდარუნება sich tot stellen; თავი მოიმკვდარუნა er stellte sich tot
მომკვლელი Mörder *m* [frager *m*
მომკითხავი, -კითხველი Nach-
მომკილი geschnitten
მომკობა schmücken
მომკული geschmückt
მომკულობა Schmuck *m*
მომკუფხვლელი Weinleser *m*
მომლაგებელი Herrichter *m*
მომლაშე salzig
მომლოდ(ინ)ე der Wartende
მომლოდეობა erwarten
მომმზადებელი Herrichter *m*, Vorbereiter *m*
მომმართავი Zurichter *m*, Stimmer *m*
მომმართველი Monteur *m*, Verbesserer *m*
მომნადირებელი Bezähmer *m*; გულის ~ Herzeroberer *m*, Entzükker *m*
მომნათლავი Täufer *m*
მომნელებელი (კუჭი) gut verdauender Magen *m*
მომნიჭებელი Spender *m*
მომოკლება abkürzen; ~სიტყვისა die Rede unterbrechen
მომონება unterjochen
მომორჩილება sich gefügig machen
მომოქმედება wirken
მომოყვრება sich verschwägern
მომოწაფება Anhänger werben; ~ წარმართთა die Heiden bekehren
მომოწმება bezeugen, bekräftigen
მომპალი verfault
მომპარავი der Stehlende
მომპოვნელი Finder *m*
მომპოვნელობა Fund *m*
მომჟავება säuern
მომჟავებული gesäuert
მომჟავო säuerlich
მომჟღერალი tönend
მომრავლება vermehren
მომრგვალება abrunden
მომრგვალებულება Rundung *f*
მომრგვალებული abgerundet
მომრევი Überwinder *m*
მომრთელება wiederherstellen
მომრთველი Dekorateur *m*
მომრთმეველი Geber *m*
მომრთმელობა Gabe *f*
მომრიგებელი Friedensstifter *m*; ~ მოსამართლე Friedensrichter *m*
მომრიდებელი der Bescheidene
მომრუდება krümmen; schief gehen
მომრჩენელი, -ჩენი Heiler *m*
მომრწყველი bewässernd, sprengend
მომრხევი schüttelnd; ხმის ~ ein Gerücht verbreitend
მომსამსალავი Vergifter *m*
მომსახურება bedienen [ähneln
მომსგავსება ähnlich machen;
მომსგეფსე der Diensthabende
მომსვლელი Besucher *m*
მომსვრელი Vernichter *m*
მომსმელი (საჭეს) Ruderer *m*
მომსმენარი, მომსმენელი, -სმენი Hörer *m*
მომსპობელი Vernichter *m*
მომსტვრობა rekognoszieren

მომსუბუქო leicht (an Gewicht)
მომსყიდველი Bestecher *m*
მომსწრაფებელი Beschleuniger *m*
მომსწრები Augenzeuge *m*
მომსჭვალვა mit Edelsteinen besetzen
მომსხო dick, grob
მომტანი Zubringer *m*, Überbringer *m*
მომტაცებ(ელ)ი Entwender *m*
მომტერე der Feindselige
მომტეხი Abhauer *m*
მომტვერება Staub aufwirbeln
მომტვრევა abbrechen
მომტირალი der Trauernde, Weinende
მომტკივნება schmerzen
მომტკიცება stärken, bekräftigen
მომტუტება beschmutzen
მომუნჯება verstummen
მომუშავე der Arbeitende
მომუშავება, -შაკება bearbeiten
მომუჭვა eine Handvoll nehmen
მომუჭვილი eine Handvoll (genommen)
მომუხვა stechen
მომუხთლება erlisten
მომფენ(ელ)ი, მომფინარე ausbreitend
მომქანცავი ermüdend
მომქმედი wirkend; Betätiger *m*
მომქმედობა s. მოქმედება
მომქონი Darbringer *m*
მომქრთალო blaß
მომლალავი ermüdend
მომღებელი, მომღები bringend; ~ ნაყოფისა fruchttragend
მომღერა singen
მომღერალი, მომღერი Sänger *m*; -ლთა და მგალობელთა გუნდი Sängerchor *m*
მომღერება vorsingen
მომღვრივო trüb, schlammig
მომღიერება schimmeln
მომღიმარი lächelnd
მომყვანი zuführend
მომყვირტოვნება anekeln, widerlich sein
მომყივნებელი Anheiterer *m*, Zurufer *m*
მომყირჭება widerlich sein; satt haben
მომყმარი hungrig
მომყნა aufpfropfen
მომყრალება übel riechen
მომშევა verhungern, Hungers sterben
მომშეული hungrig
მომშვენიერება verschönern
მომშვიდება beruhigen, befriedigen
მომშვიდებელი Befriediger *m*
მომშვიდებული befriedigt
მომშვიდოვნება besänftigen
მომშთვარი erstickt
მომშიება Hunger haben
მომშიებული hungrig
მომშიერება Hunger leiden
მომშივარი hungrig
მომშობიერება niederkommen, gebären
მომშრალო trocken
მომჩხუბარი der Streitsüchtige
მომცბიერება List anwenden
მომცდარი irrend; müßig gehend; arbeitslos; ~ გზაზედ vom Wege abgeirrt; ~ მოსავალი Mißernte *f*
მომცდელი erwartend
მომცემელობა Geben *n*
მომცემი Geber *m*
მომცვი s. მოცვი
მომცთომარობა Zeit vergeuden

მომცნება wissen lassen; მომეცნება er läßt mich wissen
მომცნობა benachrichtigen
მომცრო kleiner, jünger
მომცროზა s. ადრეული
მომცხოვრება leben, wohnen
მომცხრობა sich freuen
მომძაღება bitter, ranzig werden
მომძიმარი der Trauernde
მომძიმება schwer sein; erschweren
მომძინარება sich schlafend stellen
მომძღვანება s. მოძღვანება
მომძღვარება mitbringen
მომწამლავი Vergifter *m*
მომწარება bitter werden
მომწარო bitter, bitterlich
მომწევა zu Hilfe kommen
მომწევი einholend
მომწერა, მომწერება Mücken abwehren [ter
მომწვანე das Grüne
მომწვანება grünen
მომწვანო grünlich
მომწვარი angebrannt
მომწვევი der Einladende
მომწითური rötlich; ~თმა rotes Haar *n*
მომწიფება reifen; heilen; ხორბალი მომწიფდა das Korn ist reif
მომწიფებული reif
მომწკრივება in Ordnung aufstellen
მომწოდებელი der Darbringende, Überreichende
მომწონებელი der Billigende
მომწონს mir gefällt; s. მოწონება
მომწუხარება traurig sein
მომწუხრება Abend werden
მომწყდარი abgestürzt; müde
მომწყვდევა einschließen, erfassen
მომწყვედელი, მომწყვედი Vernichter *m*
მომწყსებული behütet
მომჭერი Zusammenpresser *m*
მომჭიდრო dicht
მომჭიმი zusammenziehend
მომჭირნე sparsam, genügsam
მომჭირნეობა Sparsamkeit *f*, Ökonomie *f*
მომჭრელი Abschneider *m*
მომხატვრება malen
მომხდარი das Geschehene
მომხედველი, მომხედი nach-, umsehend
მომხვეტი Feger *m*
მომხვეჭელი, მომხვეჭი Erwerber *m*, Besitzer *m*; კარგი სახელის ~ sich einen guten Namen erwerbend
მომხვნელი Pflüger *m*
მომხიბლავი reizend, bezaubernd, entzückend
მომხილველი Beschauer *m*
მომხმარებელი Helfer *m*; Verbraucher *m*, Konsument *m*; ~ კოოპერატივი Konsumverein *m*
მომხმარი abgetrocknet
მომხრე Anhänger *m*, Parteigänger *m*
მომხრობა auf seine Seite ziehen
მომხსენებელი Berichterstatter *m*; gedenkend
მომხურვალე erhitzend
მომხურვალობა Hitze *f*, Heftigkeit *f*
მომხჩვალი ertrunken; erwürgt
მომხცოვნა altern
მომხცოვნებული alt, gealtert
მომჯობინება sich erholen, genesen
მონა Knecht *m*, Diener *m*, Sklave *m*; თქვენი უმორჩილესი ~ Ihr ergebenster Diener

მონაბამი angebunden
მონაბარი anvertraut
მონაბერი her-, hingeblasen
მონაბვა erstarren
მონაბზეკი gekrümmt
მონაბრწყენი hell
მონაბუქარი hingeweht
მონაგარი das Erworbene; Habseligkeiten *f pl.*
მონაგები erworben, gewonnen, Besitztum *n*, Gewinn *m*
მონაგდები hin-, hergeworfen
მონაგვარი hergerichtet, arrangiert
მონაგვიანება zu Müll werden
მონაგლეჯი abgerissen
მონაგრიანი herausgefunden; gemacht; erwerbend
მონადე s. ნადი
მონადება werben, mieten
მონადირე Jäger *m*; ~ ძაღლი Jagdhund *m*
მონადირება herbeiziehen, auf die Jagd gehen [zähmt
მონადირებული herbeigezogen; ge-
მონადირობა Jagd *f*
მონავალი angekommen
მონავანი (მთვარე) Vollmond *m*
მონავარდე der Galoppierende
მონავარი Hornisse *f*
მონაზიდი hertransportiert
მონაზობა Zartheit *f* [Mönch *m*
მონაზონი (gr.) Nonne *f*; ბერ~
მონაზონობა Mönchstum *n*
მონაზონური Mönchs-
მონათება beleuchten
მონათესავე Verwandter *m*
მონათესავობა Verwandtschaft *f*
მონათვლა taufen
მონათვლინება taufen lassen
მონათლული getauft
მონათობა beleuchten
მონაკვეთება einschneiden
მონაკვეთი Abschnitt *m*, Schnitt *m*
მონაკვეცი s. მონაკვეთი
მონაკვლევი aufgefunden
მონაკიდი aufgeladen; übergezogen
მონაკითხი angefragt, ausgeforscht
მონაკობა Freundschaft *f*
მონაკრები, -კრეფი gesammelt
მონამატი Beigabe *f*, Hinzufügung *f*
მონამზადი zu-, vorbereitet
მონანება bereuen, bedauern
მონანებული bereut
მონანულება Reue, Buße *f*
მონანული bereut
მონაობა s. მონობა
მონაპარ(ავ)ი das Gestohlene
მონაპირე am Ufer liegend
მონაპოვები gefunden, erworben
მონარბევი verwüstet, geplündert
მონარდე Nardispieler *m*
მონარტყამი umgürtet
მონარჩენი, -რჩომი das Übrige, Rest *m*
მონარხი (gr.) Monarch *m*
მონარხობა herrschen
მონასიბი fähig; gehörig
მონასკვა verknoten
მონასმინები abgehorcht
მონასპანი Palasttruppen *m pl.*
მონასტერი (gr.) Kloster *n*, Stift *n*
მონასური gewünscht
მონასყიდე Ankäufer *m*
მონასყიდი angekauft

მონასწრები das Erreichte
მონასხერპვა abreißen
მონასხერპი abgerissen
მონატანი hergebracht
მონატანჯვი gequält
მონატაცი geraubt, entführt
მონატრე der Wünschende, Begehrende
მონატრება sich sehnen; მომენატრე ich sehne mich nach dir
მონაფენი ausgebreitet
მონაქნევი zum Schlag ausgeholt
მონაქროლი hergeblasen, hergeweht
მონაქცევი umgedreht
მონაღარე Pauker *m*
მონაღები aufgenommen
მონაღვარი hin-, zugegossen
მონაღვაწი erworben
მონაღვლე anteilnehmend
მონაღვლეობა Anteilnahme *f*
მონაყარი hergestreut
მონაყვანი hergeführt
მონაშენი angebaut; gezüchtet
მონაცემი gegeben; Gabe *f*
მონაცვალე Stellvertreter *m*
მონაცრისფერო aschgrau
მონაძოვრი abgeweidet
მონაწევი eingeholt; nahe
მონაწერი geschrieben
მონაწთომი erreicht
მონაწითარე rötlich
მონაწილე Teilnehmer
მონაწილეობა teilnehmen an etwas (რამეში); Beteiligung *f*
მონაწონი gebilligt
მონაწური ausgepreßt
მონაწყდომა, მონაწყვეტი abgerissen
მონაჭედი angeschmiedet
მონაჭერი Abschnitt *m*
მონახაზ(ვ)ი umrissen, skizziert
მონახედი beaufsichtigt
მონახევრე der zur Hälfte Beteiligte
მონახერხი abgesägt; Sägespäne *m pl.*
მონახვა auffinden
მონახვედრება s. ნახვედრი
მონახიწვა sich einen Splitter in den Fuß treten
მონახსენ(ებ)ი berichtet; erwähnt
მონახული aufgefunden
მონახჭვა zeichnen
მონახჭული gezeichnet, umrissen
მონგრევა abbrechen
მონდვნა s, მონდობა
მონდობა trauen, anvertrauen; მომანდე vertraue mir an! მომინდვია ich vertraue an
მონდობილი anvertraut
მონდობილობა Vertrauen *n*; Vollmacht *f*
მონდომა, მონდომება wollen, wünschen
მონდომილი gewünscht
მონდომილობა Wunsch *m*
მონება unterjochen; dienen, unterworfen sein
მონებება wünschen
მონებიერება verhätscheln
მონებრი sklavisch
მონედლო frisch, roh
მონელება stillen; verdauen; საჭმლის ~ Verdauung *f* der Speise
მონეტარება wünschen
მონთება anzünden
მონიო Strombett *n*
მონიჭება begaben; beschenken

მონობა Knechtschaft *f*
მონზანი s. მონაზონი
მონური sklavisch
მოოსტატება Meister sein
მოოქრვა, -ქროვება vergolden
მოოქრვილი vergoldet
მოოჭვა besetzen
მოოჭვილი besetzt
მოოხრება verwüsten
მოპაექრე Disputant *m*
მოპარება sich heranschleichen; მოეპარება er schleicht sich heran
მოპარვა stehlen; მოჰპარეს sie stahlen; მომპარა er stahl mir; მოპარვით heimlich, verstohlen
მოპარსვა rasieren
მოპარსვინება rasieren lassen
მოპარული gestohlen
მოპასუხე der Antwortende
მოპატარავება verkleinern
მოპატიჟე der Einladende
მოპატიჟება einladen
მოპება abspalten
მოპირდაპირე gegenüber; Gegner *m*
მოპირება verabreden
მოპირისპირე Gegner *m*
მოპირქვავება mit dem Boden nach oben stellen
მოპიტალება entblößen
მოპკრვევა, მოპკურება benetzen, besprengen
მოპობა abhacken
მოპოვება finden; anschaffen
მოპოვებული angeschafft, erworben
მოპრანჭვა Grimassen schneiden, sich zieren [Laune *f*
მოპრიანება wünschen (plötzlich);
მოპრუწვა sich zieren
მოპყრობა behandeln, nehmen, beherrschen; ~ პატივის Ehre erweisen; ღმერთმან ნება მოგაპყრის Gott wird dir erlauben; მოეპყრეს პირი ზავისა sie schlossen Frieden [wird Zeit
მოჟამება zeitigen; მოიჟამებს es
მოჟამნე Psalmenleser *m*
მოჟანგება rosten
მოჟღუნვა finster blicken
მორაზმვა in Reih und Glied aufstellen [läufer *m*
მორბედი Läufer *m*; წინა ~ Vor-
მორბედობა flüchten
მორბევა plündern
მორბენა zulaufen, hinzueilen; მორბის er läuft hinzu
მორბენალი Läufer *m*
მორბენალობა schnell entfliehen
მორბილება erweichen
მორბილებული erweicht
მორბილო weich
მორბინება herbeieilen; მოირბინა er eilte herbei
მორბოლა s. მორბენა
მორგება anpassen
მორგვა bepflanzen
მორგვალება abrunden
მორგვალებული abgerundet
მორგვი Block *m*
მორდარი (p.) Siegelbewahrer *m*
მორება s. მოარება
მორევა niederzwingen, überwinden; mischen; მოერია er hat gesiegt
მორევი tiefe Stelle im Wasser, Wirbel *m*, Untiefe *f*

მორევნა s. მორევა
მორეკა herbeitreiben
მორეული überwunden; vermischt
მორეცხა abwaschen
მორეწა gewinnen, erwerben
მორეწე Mieter *m*
მორვა runden (Holz)
მორთვა schmücken, herrichten; vereinigen; ბავშები მორთვენ გვირგვინებით die Kinder schmückten sich mit Kränzen
მორთმევა darbringen, schenken
მორთული geschmückt; კარგად ~ ოთახი ein gut möbliertes Zimmer *n*
მორთულობა Schmuck *m*, Einrichtung *f*, Garnitur *f* [gürten
მორთხმა spannen, anziehen; um-
მორთხმული gespannt, umgürtet
მორი Stumpf *m*, Stamm *m* (abgeschnittener) [habende
მორიგე der Reihe nach; der Dienst-
მორიგება ordnen; abmachen
მორიგებული geordnet; abgemacht
მორიგეობა der Reihe nach folgen, abwechseln
მორიდალი höflich, vornehm
მორიდალობა Höflichkeit *f*
მორიდება entfernen; sich genieren
მორიელი Skorpion *m*; ~ს კუდა Gemswurzel *f* (Doronicum)
მორისვა Schafe scheren
მორისული geschoren
მორკინავე, მორკინალი Fechter *m*
მორკინალობა Fechtkampf *m*
მოროშვა schwatzen
მორტყმა umgürten, umringen; treffen (Ziel); მოარტყა er traf; მოერტყა სინათლე Licht umgab ihn
მორტყმული umgürtet [Nessel)
მორუხვა sich brennen (an einer
მორქვმა sagen, erzählen
მორქინალი s. მრქენელი
მორღვევა abbrechen
მორყეული gelockert
მორყვილება abstumpfen
მორყვნა verderben
მორყვნილება Verderbheit *f*
მორყვნილი verdorben
მორჩევა auswählen
მორჩენა erhalten, übrig bleiben; genesen; erretten; მომრჩა es blieb mir übrig, Rest; მომარჩენს er heilt mich
მორჩენილი genesen, erholt, Rest *m*
მორჩენინება retten, heilen lassen, zurückbehalten
მორჩი Zweig *m*, Sproß *m*
მორჩილება unterjochen; gehorchen; zum Gehorsam zwingen
მორჩილი untertan, willig, ergeben; თქვენი უმორჩილესი მონა Ihr gehorsamster Diener
მორჩობა erwürgen; ertränken
მორჩოლა bestreiten
მორჩომა sich retten, entgehen, enden; heilen; s. a. მორჩენა; ცოცხალი არ მომირჩება er wird nicht lebendig aus meinen Händen kommen; მოვრჩი ჩემს საქმეს ich habe meine Sache beendigt
მორჩომილი gerettet; Rest *m*
მორცხვედი, მორცხვი schamhaft
მორცხვობა sich schämen, sich genieren
მორცხულა wilder Wein *m*

მორწმუნე fromm
მორწმუნეობა Frömmigkeit *f*
მორწყვა gießen, sprengen, bewässern
მორჭვნა s. მორჭმა
მორჭმა erwerben; ~ სახელისა Ruhm erwerben; ~ სიმდიდრისა Reichtum erwerben
მორჭმული erworben
მორჭობა hineinstecken
მორჯულება belehren, bessern; zum Glauben bekehren
მორჯულებული bekehrt
მოსა s. მოსვა
მოსაარები umherzugehend
მოსაბანი Abwasch-
მოსაბირებელი zu zähmend
მოსაბლარდნელი zu umwickelnd
მოსაბლვა zubinden [drehungs-
მოსაბრუნებელი, მოსაბრუნი Um-
მოსაგებელი, -გები gewinnbringend; Erwerbungs-, Belohnungs-
მოსაგერებელი Abwehr-
მოსაგვარებელი zu ordnend
მოსაგველი auszufegend
მოსაგონარი, -გონი denkwürdig; Erinnerungs-
მოსაგრე Krieger *m*, Kämpfer *m*
მოსაგრეობა Kampf *m*
მოსაგროვებელი zu sammelnd
მოსადგურე Herbergegast *m*
მოსადებელი (ცეცხლისა) zu entzündend, Zünd-
მოსადები zu ergreifend, anhakend
მოსადედებელი zu säuernd
მოსადილე der Mittagesser
მოსავალი Ernte *f*
მოსავი der Hoffende, Vertrauende
მოსავლები Saum- [gend
მოსავლელი zu bereisend; zu pfle-
მოსავლიანი Ernte-; ~ წელიწადი gutes Erntejahr *n*
მოსავნებელი zunehmend (vom Monde); -ბლად (Adv.) zur Freude
მოსავობა Hoffnung *f*
მოსავსება vermehren, zufügen
მოსავსებელი Schüssel *f*, Schale *f*
მოსაზრება bedenken, voraussetzen, erwägen; Erwägung *f*
მოსაზრვა s. მოსაზრება
მოსაზღვრე angrenzend; Nachbar *m*
მოსათვალველი zu beschauend, zu prüfend
მოსათმენი zu erduldend
მოსათხოველი zu erbittend
მოსათხრობელი zu erzählend
მოსაკაკვავი umzubiegend [bend
მოსაკარგავი zu verlierend, vertrei-
მოსაკეცი zu biegend, zu faltend, zusammenlegbar
მოსაკვეცი abzuschneidend
მოსაკიდავი, -კიდი aufzuladend; ~ ხელის Griff *m*, Henkel *m*
მოსაკიდარი aufzuladend
მოსაკიდებელი (ცეცხლისა) anzuzündend, Zünd-
მოსაკითხავი, -კითხი Geschenk *n*, Liebesgabe *f*; zu begrüßend
მოსაკმაზავი zu schmückend, herzurichtend
მოსაკრავე Musikant *m*
მოსაკრეფელი, ~ფი einzusammelnd; zu pflückend
მოსალამავი, მოსალამე zu be-
მოსალამება begrüßen [grüßend

მოსალბედი zu erweichend
მოსალმება begrüßen [tend
მოსალოდნებელი, -დნი zu erwar-
მოსალოცავი zu beglückwünschend, zu segnend
მოსალხენი Erheiterungs-
მოსამადლებელი zu begütigend
მოსამართავი richtungsangebend
მოსამართველი herzurichtend
მოსამართლე Richter *m*
მოსამართლ(ე)ობა Gericht *n*
მოსამატებელი, მოსამატი hinzufügend, Ergänzungs-
მოსამდურავი, -დური entfremdend, böse machend
მოსამზადებელი Vorbereitungs-, Herstellungs-; -ბლად (Adv.) zur Vorbereitung
მოსამზღვრე angrenzend, benachbart; s. მოსაზღვრე
მოსამკავი Ernte- [Magd *f*
მოსამსახურე Diener *m*; ~ გოგო
მოსამსახურ(ე)ობა Dienst *m*
მოსამტვერებელი in Staub zu verwandelnd
მოსამშვიდებელი Beruhigungs-
მოსამშიერი Aushungerungs-
მოსამძიმარე Beileidsaussprecher *m*
მოსანადირებელი zu zähmend; herzuziehend
მოსანათლავი zu taufend
მოსანდომი zu wünschend, erwünscht
მოსაობა s. მოსავობა
მოსაოხრებელი zu zerstörend
მოსაპარავად (Adv.) zu entwendend
მოსაპობლად (Adv.) zu zerhackend
მოსაპყრობა zum Schweigen bringen
მოსაჭრუნი Lichtzange *f*, -schere *f*
მოსარბევი zu zerstörend
მოსარბილებელი zu erweichend
მოსარებელი, მოსარები umherzugehend
მოსარეცხე Wäscher(in) *m*, *f*
მოსარეწავი zu erwerbend
მოსარვა Pfähle aufstellen, die Weinreben stützen [schirr *n*
მოსართავი Schmuck-, Pferdege-
მოსართება hinzufügen
მოსართები Beigabe *f*
მოსართველი Herstellungs-
მოსართმევი Geschenk *n*
მოსარიგებელი Versöhnungs-
მოსარიდებელი Warnungs-
მოსარტყმელი Gürtel *m*
მოსარჩენი Heilungs-
მოსარჩლე Verteidiger *m*
მოსარწყავი zu bewässernd
მოსარხეველი zu biegend
მოსარჯულებელი Verbesserungs-
მოსასვენარი, მოსასვენებელი, -ვენი Beruhigungs- [wartend
მოსასვლელი zu kommend; zu er-
მოსასვრელი zu vernichtend
მოსასმელი Ruder *n*
მოსასმენელი, -ნი zu verhörend
მოსასრულებელი zu beendigend
მოსასულიერებელი zu belebend
მოსასურვებ(ელ)ი, მოსასურვი wünschenswert
მოსასყიდლე zu kaufend
მოსასწავებელი vorherzusagend; Deutungs- [zeitig)
მოსასწრობელი zu schaffend (recht-
მოსახვამი Überzieher *m*

მოსატანი herzubringend
მოსატაცებელი zu raubend
მოსატევებელი verzeihlich
მოსატეხი abzubrechend
მოსატყუარი, მოსატყუებელი trügerisch
მოსაუბრე Plauderer *m*
მოსაფარებელი Zufluchtsort *m*
მოსაფენი ausbreitend
მოსაფრქვეველი Zerstäubungs-
მოსაფხანი Kratz-
მოსაფხეკი abzuschabend
მოსაქარვებელი zu zerstreuend
მოსაქმე geschäftig
მოსაქმეობა sich beschäftigen
მოსაქრთამებელი käuflich
მოსაქცეველი, -ვი zum Umdrehen, zum Bekehren (dienend)
მოსაღებელი herzubringend
მოსაყდრე Kirchenaufseher *m*
მოსაყვანებელი, -ნი herzuführend, Zuleitungs-
მოსაყივარი zuzurufend
მოსაყივნებელი schimpflich
მოსაყოლი wiederzugebend
მოსაყოფელი Lichtschere *f*
მოსაშენებელი, -ნი zu züchtend, anzubauend
მოსაშველებელი Hilfs-
მოსაშლელი Störungs-
მოსაჩვენარი, მოსაჩვენებელი, -ბი Gespenst *n*
მოსაცეთი Falle *f*
მოსაცემელი, -მი zu gebend
მოსაცთუნებელი verführerisch
მოსაცხრომელი zu befriedigend
მოსაძებნელი zu suchend
მოსაწადებელი erwünscht
მოსაწამლავი zu vergiftend
მოსაწეველი zuziehend; rauchend
მოსაწევ(არ)ი zu verfolgend; ~ თამბაქო Rauchtabak *m*
მოსაწერი zu unterschreibend
მოსაწვეველი Einladungs-
მოსაწმენდელი zu reinigend, abzuputzend
მოსაწონარი, -ნ(ებელ)ი zu billigend
მოსაწყენ(არ)ი, მოსაწყინარი lang-
მოსაწყლავი betrübend [weilig
მოსაჭიმავი aufzuziehend
მოსაჭირებელი zu drückend
მოსაჭრელი abzuschneidend
მოსახადი aufhebend, überstehend
მოსახარშავი abzukochend
მოსახდენი, მოსახდომი, მოსახედი sich ereignend
მოსახელე Namenträger *m*
მოსახერხებელი etwas, das sich einrichten oder zustande bringen läßt, möglich
მოსახვა umzeichnen
მოსახვეველი, -ვევი zu umwickelnd
მოსახვეჭელი, -ჭი Erwerbungs-
მოსახლე Bewohner *m*; Siedler *m*
მოსახლეობა Siedlung *f*
მოსახმარებელი anzuwendend; -ბლად (Adv.) zum Gebrauch
მოსახმელი zurufend
მოსახნავი zu pflügend
მოსახრავი (კბილით) zu benagend
მოსახრელი zu biegend
მოსახსენებელი zu erwähnend; Erinnerung *f*, Gedenk-, Berichts-; -ბლად (Adv.) zur Erinnerung

მოსაწყარი betrübend
მოსაჯული Richter *m*
მოსევა loslassen auf
მოსეირნე Spaziergänger *m*
მოსესხე der Entleihende
მოსვა sich ankleiden; ვიმოსი ich ziehe mich an; მმოსია, მემოსა ich war angekleidet; იმოსება bekleidet, bedeckt sich
მოსველება anfeuchten
მოსვენება ausruhen, Ruhe *f*, Erholung *f*; მოვისვენებ ich ruhe aus
მოსვენებული ausgeruht; zufrieden
მოსვლა s. მოსლვა
მოსვლეპა ablecken
მოსვმა antrinken
მოსვრა beschmieren, beschmutzen
მოსვრემა durchkneten
მოსვრილი beschmutzt
მოსთვლა sammeln, ernten, erwerben
მოსთლება, -თლობა Wein, Beeren sammeln, ernten
მოსიარული der Gehende
მოსიბრძნვა ausdenken
მოსიერი bekleidet
მოსიზმრება träumen
მოსილი angekleidet; ნათლით ~ von Glanz umgeben
მოსილობა Kleidung *f*; Anzug *m*; Ankleiden *n*
მოსინჯვა besehen, prüfen
მოსისხარი brennend
მოსისხლე blutdürstend; Todfeind *m*
მოსისხლება mit Blut beflecken
მოსისხლ(ე)ობა Blutrache *f*
მოსკვნა knoten
მოსლვა kommen, gehen; ~ პურისა Kornernte *f*; გულზედ ~ zornig werden; სისწრაფით ~ eilig kommen; ჭკუაში ~ einfallen, in den Sinn kommen; მოდი, მოვედ komm! laß! მოვედით kommt! მოვლე gehe! ziehe hin! მოვედინ სუფევა შენი dein Reich komme! მოვდივარ ich komme; მოსდიხარ du kommst; მოდის ხოლმე er kommt gelegentlich; წვიმა მოდის es regnet; მოვა დრო die Zeit wird kommen; ძვირად მოვა es wird teuer werden; მოვიდა რა als er kam; წერილი მომივიდა ich erhielt einen Brief; მოუვიდა გული er wurde böse; გული მომივიდა ich wurde böse; ცუდად მოსდის er handelt schlecht; ჯავრი მოსდის er ist böse; ძილი არ მოუვიდა er konnte nicht einschlafen; რაც მოგვივა, მოგვივა wie's kommt, so kommt's; ისე მოსვლოდა so kam es mit ihm; ბედი მომდის es glückt mir; სეტყვა მოდის es hagelt; არ გვჭირდება ~ wir brauchen nicht zu kommen; გაქვს დრო ჩემთან რომ მოხვიდე? hast du Zeit, mit mir zu kommen? კარგ დროზედ მოვედი ich bin zur rechten Zeit gekommen; როდესაც მოვდიოდით als wir kamen; არ უნდოდა, რომ მე მოვსულიყავი er wollte nicht, daß ich komme; ის უნდა მოვიდეს er soll, muß kommen; ის უნდა მოსულიყო er hätte kommen sollen;

ნახა, რომ მოდიოდა er sah ihn kommen; ვხედავ მას მომავალს ich sehe ihn kommen; ვერ შესძელით თავის დროზედ ~ sie konnten nicht zur rechten Zeit kommen [~ rudern

მოსმა: ხელის ~ streicheln; ნიჩბის

მოსმენა hören; hören lassen; ertönen; მომასმინე laß mich hören! მომისმინე hör mich an! ხმა მოისმა die Stimme ertönte; მოგვესმენ wir hörten; სროლა მოისმა ein Schuß fiel; მომესმა ამბავი ich hörte die Nachricht

მოსმენილი ausgehorcht

მოსნეულება krank werden

მოსპეტაკება bleichen

მოსპობა, -პოლვა zerstören, vertilgen, vernichten; მოისპო იმედი er verlor die Hoffnung; სული იგი მოისპოს seine Seele soll vernichtet werden; ღმერთი მოგისპობს ჭმუნვას Gott wird deinen Kummer beseitigen [eingestellt

მოსპობილი vernichtet, beseitigt,

მოსპოლვა s. მოსპობა

მოსრ(ვ)ა ausrotten [ben

მოსრულება beendigen, enden; ster-

მოსრული gekommen

მოსრუტვა einsaugen

მოსტვინვა pfeifen

მოსტუმრება Gäste empfangen

მოსუბუქება erleichtern

მოსულელება sich dumm stellen

მოსულელო dumm

მოსული gekommen; ~ კაცი ein imposanter Mensch; ~ ქალი ein reifes Mädchen; მო(ვ)სულვარ ich bin gekommen

მოსულიერება beleben, beseelen

მოსულობა Stattlichkeit *f*

მოსუნვა beriechen

მოსურვება wünschen

მოსურვებული erwünscht

მოსურნე der Wünschende

მოსურნეობა Wunsch *m*

მოსუსტება schwächen [werden

მოსუსურება schwach, gebrechlich

მოსუსხვა brennen; anfrieren

მოსუქება mästen

მოსქდომა losreißen

მოსქე dick, dicht

მოსქელება dicht machen

მოსქეობა Dichtigkeit *f*

მოსყიდვა kaufen

მოსყიდული gekauft, bestochen

მოსწავება bedeuten; რას მოასწავებს? was soll dies bedeuten?

მოსწავლე Schüler *m*

მოსწავლეობა Schüler sein

მოსწორება ausgleichen, ebnen

მოსწრაფე schnell, eilig, eifrig

მოსწრაფება eilen, sich bemühen, streben; -ბით eilends; მოვისწრაფებ ich beeile mich

მოსწრება, მოსწრობა reifen; gelingen; treffen; მომისწრო er kam mir zuvor; სიბერემ მომისწრო ich wurde alt; ჩვენ ვერ მოვესწრობით wir werden das nicht erleben

მოსწრებული reif, erwachsen; ~ სიტყვა ein geflügeltes Wort

მოსხდომა sich herumsetzen um

მოსხვეპა abschaben
მოსხირპვა ausbreiten [dehnt
მოსხირპული ausgebreitet, ausge-
მოსხლეტა abreißen, sich losreißen
მოსხლვა beschneiden (Bäume)
მოსხმა ansetzen (Früchte); begießen; aufreihen; anziehen (Kleid)
მოსხრეკა biegen
მოსხრეკილი gebogen
მოსხრეკილობა Biegung *f*
მოსხურება benetzen
მოტაბაკებული abgeflacht
მოტალახება beschmutzen
მოტანა bringen; მოიტანა er brachte; მოგიტანია du brachtest mir; ხალხმა მოატანა das Volk drängte; მოიტა ხელი gib mir die Hand! გთხოვთ მომიტანოთ ჭიქა ღვინო bringen Sie mir, bitte, ein Glas Wein!
მოტანება sich nähern, herankommen; საღამომ მოატანა der Abend brach herein
მოტანილი gebracht
მოტანინება bringen lassen; მოატანინა er ließ bringen
მოტანტალე Herumtreiber *m*
მოტანჯვა quälen
მოტარება herumführen
მოტარტარე Schwätzer *m*
მოტაცება ergreifen; rauben, entführen; ქალის ~ ein Mädchen entführen
მოტაცებული entführt, geraubt
მოტაცინება sich entführen, entwenden lassen
მოტევა loslassen, sich werfen auf
მოტევება verzeihen, vergeben; უფროს არს ცოდვა ჩემი მოტევებისა ჩემისა meine Sünde ist größer, denn daß sie mir vergeben werden möge; მომიტევენ ჩვენ თანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა vergib uns unsere Schuld, wie wir vergeben unseren Schuldigern
მოტეხა abbrechen [gebrechlich
მოტეხილი abgebrochen; schwach,
მოტვლეპა entblößen [kahl, nackt
წერა-კითხვა schreiben und lesen
წერასწუა Waldlattich *m* (Prenanthes)
წერაქვი Hacke *f*
წერებული geschrieben
წერეული Heuschober *m*
წერექო (Art Distel)
წერილი das Geschriebene, Brief *m*, Schriftstück *n*; სამღვთო ~ die heilige Schrift; ნასყიდობის ~ Kaufvertrag *m*
წერილობითი schriftlich
წერნაქი Scharlachfarbe *f*, roter Ocker *m*
წერო Kranich *m*; ~ს ყვავა (Art Pilz)
წერტა stechen, quälen, peinigen
წერტი Punkt *m*
წერტილი Punkt *m*; წერტილ-მძიმე Strichpunkt *m*, Semikolon *n*; ორი ~ Doppelpunkt *m*
წერწეტი schlank, aufgeschossen
წესდება Statut *n*
წესდებულება Verordnung *f*
წესება bestimmen, verordnen
წესი (arm.) Gesetz *n*, Ordnung *f*, Regel *f*, Gewohnheit *f*, Weise *f*; ~ს აგება, ~ს გარდახდა Trauermesse *f*; ~ დედისა Monatsregel *f*; ~ა es geziemt sich
წესიერად (Adv.) normal, ordentlich, ordnungsgemäß
წესიერება Ordnung *f*, Anstand *m*
წესიერი regelmäßig, ordentlich; ehrbar
წესნარი, -ნიერი Nonne *f*
წესობა Regel *f*, Gewohnheit *f*, Ordnung *f*

წესქცეულება Ordnung *f*
წესყობილება Staatsordnung *f*
წეფხი (schlechter Boden)
წეღან vordem, soeben, unlängst
წეღანდელი ehemalig
წეწა zupfen, hecheln
წეწება s. ცეცება
წეწია Struwwelkopf *m*
წეწურა (*) Ferkel *n*
წვა brennen; ცეცხლი იწვის das Feuer brennt; სიცხე სწვავს die Hitze brennt; პილპილი სწვავს der Pfeffer beißt; გული მეწვის es schmerzt mich, es tut mir leid; გული გვეწოდა es tat uns leid; ქურდს ქუდი ეწვის den Dieb verrät die Kappe
წვავი s. მწავი [Leiden *n*
წვალება[1] quälen, foltern; Qual *f*,
წვალება[2] sich lossagen von, Ketzer sein
წვალებული abgetrennt; losgesagt
წვალობა s. წვალება[1]
წვართნა belehren, trainieren
წვდა entblößen (Schwert) [geben
წვდენა (ხმისა) einen Laut von sich
წვდილი entblößt, gezückt
წვდომა erreichen, ausdehnen; ausstrecken; მწვდება er erreicht mich
წვება s. წოლა
წვევა herbeirufen, einladen; besuchen; ვიწვევ ich lade ein; ~ ლაშქრისა Truppen sammeln; ვეწვევი ich besuche
წვეთა tropfen; fließen; წვეთავს es tröpfelt [Schlag *m*, Paralyse *f*
წვეთი Tropfen *m*; ~ს დაცემა
წველა melken; ფური ცოტას იწველება die Kuh gibt wenig Milch
წველი Stengel *m*
წვენა schlafen legen; hinlegen
წვენი Suppe *f*, Bouillon *f*; Soße *f*, Saft *m*
წვენიანი Suppen-, Soßen-
წვერა, -რედა bärtig (vom Fisch)
წვერვა spitzen; kulminieren
წვერვალი Gipfel; s. მწვერვალი
წვერი Bart *m*; Ende *n*; ~ ხელის, თითის Endglied *n* des Fingers; მთის ~ Berggipfel *m*; ~ ჯოხისა Stockende *n*
წვერიანი bärtig; scharfkantig
წვერო Gipfel *m*, Wipfel *m*
წვეროსანი bärtig
წვერულვაში Bart und Schnurrbart
წვეტი Spitze *f*
წვეტიანი spitzig
წვეული eingeladen
წვეულობა geladene Gäste *m pl.*,
წვთომა s. წვდომა [Gesellschaft *f*
წვივი Schienbein *n*
წვივსაკრავი, წვივსაცმელი Binde *f*, Wickelgamasche *f*
წვიმა Regen *m*; ~ მოდის es regnet
წვიმ(ვ)ა regnen; წვიმს es regnet; წვიმს კოკურად esgießt in Strömen
წვიმება regnen lassen, Regen schikken; ცრემლის ~ Tränen vergießen
წვიმეული, წვიმიანი regnerisch
წვიმიანობა Regenzeit *f*
წვინორი Otter *f*
წვინტლი Rotz *m*
წვინტლიანი rotzig [suchen
წვლილვა bis ins kleinste unter-

წვლილი s. წვრილი
წვნა flechten
წვნიანი s. წვენიანი
წვნიკი klein
წვრთა, წვრთვნა lehren, einüben
წვრთვევინება einüben lassen
წვრთილება, -ლობა Lehre *f*, Einübung *f*, Trainierung *f*
წვრთილი eingeübt, belehrt
წვრილადი, -ობა Kleinigkeit *f*
წვრილება zerkleinern
წვრილი dünn, klein, fein; ~ ფული Kleingeld *n*; -ლად გამოძიება genau erforschen, untersuchen; -ლად დაჭრა in kleine Stücke zerschneiden
წვრილმანი kleinlich
წვრილობა Geringfügigkeit *f*
წვრილფეხი საქონელი Kleinvieh *n*
წვრილყრმანი unmündige Kinder *pl.*
წვრილწვლად (Adv.) bis ins kleinste
წვრილწვრილი sehr klein, winzig
წთობა s. წრთობა
წთომა sich einschmieren
წიალა, წიალი piepen, zwitschern
წიამბოლე wilde Erdbeere *f*
წიაღ jenseits; ~ მისვლა sterben; ~ ხდომა übergehen (zu)
წიაღი Inneres *n*, Schoß *m*; ~ აბრაამისა Abrahams Schoß
წიაღობინე (Art Weintraube)
წიბო Rippe *f*
წიგნაკი Büchlein *n* [derkäuer)
წიგნარა Blättermagen *m* (der Wie-
წიგნთსაცავი Bibliothek, Bücherei *f*
წიგნი Buch *n*, Schrift *f*; Brief *m*; სამღვთო ~ heilige Schrift *f*; ~ს ტყავი Pergament *n*; ~ ყდა Buch-einband *m*; ~ არ იცის er kann nicht lesen, er ist Analphabet
წიდა Schlacke *f*
წიდნა (abgeschnittene Weinreben, Setzlinge)
წიდნვა Reben, Setzlinge pflanzen
წიდოვანი Menstruations-
წივა (getrockneter Mist als Heizmaterial)
წივანა Schafschwingel *m* (Festuca)
წივილი Schrei *m*, Gekreisch *n*; ~ ყურში Ohrensausen *n*
წივილ-კივილი Gewinsel *n*
წივლება kreischen
წივწივა Blaumeise *f* (Parus)
წითელა Masern *pl.*
წითელი rot; ~ თვალი Rubin *m*; ~ მიწა Siegelerde *f*, Bol *m*; ~ ფხალი Bete *f*, Mangold *m*; ~ ჭარი Rotlauf *m*, Rose *f*
წითელკაბა (Art Pilz)
წითელყელა s. მურწა
წითელყვითელი rotgelb
წითელძირა Mauerpfeffer *m* (Sedum)
წითლება rot werden
წითლობი rötlich
წიკვა heben, ergreifen; tragen
წილ an Stelle, anstatt; თვალი თვალისა ~ და კბილი კბილისა ~ Auge um Auge, Zahn um Zahn; შვიდ ~ zu sieben; მის ~ an seiner Stelle; ას წილად ამას ჰსჯობს hundertmal besser als er
წილადება zerteilen
წილადი Bruch *m* (Math.)
წილარა რიცხვი Bruchzahl *f*

წილარი Bruch *m* (Math.); უწყვეტი ~ Kettenbruch *m*
წილგდება (ყრა) das Los werfen
წილდაყრით nach dem Lose
წილდებულება teilhaben
წილება einen Teil geben
წილვა in einzelne Teile zerteilen
წილი[1] Teil *m*, Anteil *m*, Los *n*; ~ს ყრა, გდება das Los werfen
წილი[2] Nisse *f*
წილიანი s. ტილიანი
წილკავი Angel *f*
წილკაოტი kratzen
წილობა zuerteilen; Teil *m*
წილჩავატი Gerstenkorn *n* (im Auge)
წილხდომილი das Zuerteilte; ღვთისმშობლის ~ ქვეყანა Georgien unter dem Patronat der hl. Maria
წინ vor; თვალის ~ vor Augen; ~ და უკან vor und zurück
წინა vor, zuvor; der vordere, frühere, Vorder-; ~ კერძო Vorderteil *m*, die Vorderen *pl.*
წინააღდგომ(ად) dagegen, im Gegenteil
წინააღდგომა sich widersetzen; Widerstand leisten
წინააღმდგომი, -მდეგი Gegner *m*, Widersacher *m*
წინააღმდეგ im Gegenteil
წინააღმდეგობა Widerstand *m*
წინააღრჩევა vorauswählen, vorausbestimmen
წინაბეგა (Art Spargel)
წინაბრძოლა Widerstand leisten
წინაგამძღოლი Führer *m*
წინაგანგება vorausbestimmen
წინაგანზრახვა etwas vorhaben
წინაგანმგებელი vorausbestimmend
წინაგანმზადება vorbereiten
წინაგანმზადებითი vorbereitend. zuvorkommend
წინაგანსაზღვრა Vorherbestimmung *f*
წინაგანსჯა Vorurteil *n*
წინაგანწყობა Vorgefühl *n*
წინაგანხილვა voraussehen
წინაგრძნობა vorausfühlen
წინად vor, früher
წინადაგება voraussetzen, annehmen
წინადადგომა Widerstand leisten, aufstehen gegen
წინადადება vorausstellen; Vorschlag *m*, Projekt *n*; Satz *m* (Gramm.)
წინადასაგებელი vorher auszubreitend
წინადასხმა vorlegen
წინადაუცვეთელი nicht beschnitten
წინადაუხედავი nicht vorhergesehen, unbedacht
წინადაცვეთა beschneiden; Beschneidung *f*
წინადაცვეთილი beschnitten
წინადგომა vorstehen
წინადება vorlagern
წინადებული vorliegend
წინადი der vordere
წინადღე Vorabend *m*; -დღით am Vorabend
წინათ s. წინად
წინათი s. წინადი
წინათქმა voraussagen
წინაკარი Korridor *m*
წინაკაცი Vordermann *m*

წინამავალი vorhergehend
წინამავლობა Führung *f*
წინამაუწყებელი Vorbote *m*
წინამბრძოლ(ელ)ი რაზმი Vorhut *f*, Avantgarde *f*
წინამდგომარე, წინამდგომ(ელ)ი vorstehend
წინამდებარე vorne liegend
წინამდებარეობა vorne liegen
წინამდეგი vorstehend
წინამეტყველი Vorbote *m*
წინამო Vorder-
წინამომასწავებელი Vorbote *m*
წინამორბედი vorauseilend; Vorgänger *m*; იოანე ~ Johannes der Täufer
წინამოსწავება vorherverkünden
წინამოსწრაფე vorauseilend; vorbereitend
წინამოძღვრება vorpredigen
წინამსრბოლი Kurier *m*, Schnellläufer *m*
წინამცველი Vorderwache *f*
წინამცურვალი Vorschwimmer *m*
წინამძღვანი Anführer *m*
წინამძღვარი Führer *m*, Vorsteher *m*; Prior *m*; სავანის ~ Abt, Vorstand eines Klosters
წინამძღვრება vorstehen, anführen, leiten; ვიწინამძღვრებ ich werde anführen; გვიწინამძღვრა er nahm unsere Führung an
წინამძღოლი Anführer *m*
წინამძღოლობა Führung *f*
წინამხედველი voraussehend
წინამხედველობა Voraussicht *f*, Vorahnung *f*
წინანდელი der ehemalige, frühere
წინაობა vorne, voraus sein; Fortschritt *m*
წინაპარი der Frühere; Vorfahre *m*, Ahne *m*
წინაპირველად (Adv.) ursprünglich, früher, vorher
წინაპირი Vorderseite *f*, Fassade *f*
წინაპური Vorlaufbrot *n*
წინარე vor, Vorder-
წინასიტყვაობა Vorwort *n*, Einleitung *f*
წინასრბოლა vorauseilen
წინასწარ vorher, im voraus, zu allererst
წინასწარაღთქმა versprechen, geloben
წინასწარგანგებულება Vorausbestimmung *f*
წინასწართხრობა vorhersagen
წინასწარი vorhergehend, vorausgehend, vorbereitend
წინასწარმეტყველი Prophet *m*
წინასწარმეტყველობა prophezeien, Prophezeiung *f*
წინასწარმცნობელობა vorausahnen
წინასწარსიტყვაობა Vorwort *n*, Vorrede *f*
წინასწარცნობა voraus erraten
წინასწარძღვანვა vorausschicken
წინასწარხედვა vorhersehen
წინასწრობა überholen, zuvorkommen
წინაუკმო umgekehrt, entgegengerichtet; ~ ბუნებისა naturwidrig
წინაღამე Vorabend *m*
წინაღსქმედება s. წინაღქმედება
წინაღუდგომელად (Adv.) ohne Widerstand

წინაღქმედება Gegenwirkung *f*, Reaktion *f*
წინაყოფა der Vordere sein
წინაშე vor; ღ ~ vor Gott
წინაშება zuvorkommen [zeigen
წინაძღოლა anführen, den Weg
წინაწარბოლა vorausfliehen
წინაწარძღვანება vorausschicken
წინაწინ vorwärts
წინახანს vordem
წინახსენებული vorerwähnt
წინგასწრება zuvorkommen
წინგაძღოლა vorausgehen
წინგაწყობა in den Kampf gehen
წინდა, *pl.* წინდები Socken *pl.*
წინდადგომა gegenüberstellen
წინდამხედველობა Umsicht *f*
წინდანახვა vorhersehen
წინდასხმა hinsetzen vor [sichtig
წინდაუხედავი unbedacht, unvor-
წინდაუხედავობა, -ხედველობა Unüberlegtheit *f*, Unbesonnenheit *f*
წინდაწინ vorwärts, im Vordergrund
წინდახდომა begegnen
წინდახედვა sich umsehen, vorsehen
წინდგომა vor jemand stehen
წინდება vorne liegen; წინა მიძს შორი გზა vor mir liegt ein weiter Weg
წინდები *pl.* zu წინდა
წინდებული vorgelegen
წინდვა verpfänden, als Pfand geben
წინდი Pfand *n*
წინეთ s. წინად
წინიდან von vorne, von früher
წინმდებარე vorgelagert
წინმიგებება entgegengehen
წინმისაგებებლად (Adv.) zum Begegnen
წინმიტევება sich entgegenwerfen
წინმოგებება s. წინმიგებება
წინმოსმა vorsetzen; vgl. მოსვმა
წინმოხმვა voraus rufen
წინსაბრძოლი Schirm *m*, Schutz *m*
წინსადგარი Bremse *f*, Hemmschuh *m*
წინსაფარი Schürze *f*
წინსაცავი Vorwache *f* [führend
წინსაძღოლი vorausfolgend; vor-
წინსვლა, -სლვა vorwärts gehen, voraus gehen; Fortschritt *m*
წინსხდომა vorne sitzen
წინუხედავი nicht vorhergesehen
წინყოფა vorne sein
წინჩამოგდება nach vorne werfen
წინძღოლა vorausgehen
წინწადგომა vorausschreiten
წინწავლა vorwärts gehen
წინწალი s. წინწკალი
წინწამდგარი vorne stehend
წინწამოდგომა vorstellen
წინწამოუდგომლობა nicht vorwärtsdrängen
წინწამძღვანება vorausschicken
წინწანაქარი erstes Abfüllen (des Weines)
წინწართვით im voraus
წინწარქცევა vor sich hertreiben
წინწასლვა vorausgehen, vorhergehen
წინწასწრობა vorauseilen, überholen
წინწაღება voraustragen
წინწიბური herausziehend
წინწილი Zimbel *f*
წინწკალი Funken *m*; kleiner Fleck *m*; წინწკლები Anführungszeichen *pl.*

წინწკიტელა kleiner Pfeil *m*
წინწკლვა spritzen; punktieren
წინწკლები s. წინწკალი
წინწკლებიანი funkensprühend
წინწკლი Spritzen *n*, Sprühen *n*
წიოკება verwüsten, ausplündern
წიპწა Weintraubenkern *m*
წიპწიპი dünner Riemen *m*
წირანი (Aprikosenart)
წირვა opfern; Messe *f*; Meßopfer *n*; Liturgie *f*; -ვის მოსმენა eine Messe hören
წირთხ(ელ)ი Türpfosten *m*
წირი Linie *f*; განკვეთის ~ Schnittlinie *f*
წირპლება Eiter in den Augen haben
წირპლი Eiter *m* (in den Augen)
წირპლიანი eitrig (Auge)
წისაკრავი s. წვივსაკრავი
წისქვილი Mühle *f*
წიტი Diarrhoe *f* (der Hühner)
წიფება reifen; s. მწიფება
წიფელი Buche *f* (Fagus); წიფლის სოკო Hirschling *m* (Agaricus)
წიფვა s. წიფება
წიფობისთვე Oktober *m*
წიფხი Mark *n*
წიქარა (rotbraune Kuh)
წიქი Abendröte *f*
წიწაკა spanischer Pfeffer *m*
წიწაკი Pips *m* (Hühnerkrankheit)
წიწანა (Zaun aus Flechtwerk)
წიწბა s. წიპწა
წიწვა sich schämen, verwirrt sein
წიწვი Tannenzweig *m*
წიწვიტა ხამსი Anchovis *m*
წიწიბო Buchenecker *f*
წიწილა Küchlein *n*
წიწინება, -ნი piepen
წიწკანა Meise *f*
წიწკინა klein
წიწკნა rupfen, zupfen
წიწლაკა Raufbold *m*
წიწმატი Kresse *f* (Lepidium)
წიწნეული schamhaft
წიწნეულობა sich schämen; Schamhaftigkeit *f*
წიხლვა ausschlagen (mit den Hinterfüßen)
წიხლი Fußtritt *m*
წკავილი heulen, schreien
წკავწკავი heulen, winseln
წკანწკარება sprudeln
წკანწკარი Sprudel *m*
წკაპი spritzen
წკაპუნი plätschern [ren
წკაპწკაპი, წკარანი murmeln, klir-
წკარუნა, -ნი klirrend, tönend
წკენტა aussickern
წკეპ(ვ)ა hacken
წკეპლა Gerte *f*, Rute *f*
წკიპარტი Nasenstüber *m*
წკიპურტანა (kleiner Bogen zum Schießen)
წკმუვილი winseln, heulen
წკმუტუნი knurren
წკნელი Rute *f*, Gerte *f*
წკრიალება tönen
წკრიალი tönend; Ton *m*
წკრივი Reihe *f*; s. მწკრივი
წლაკუნი, წლაპუნი mit der Zunge schnalzen
წლედი jährig
წლევანდელი diesjährig, heurig
წლეობა s. წლობა

წლეულ(ს) in diesem Jahre [Jahr
წლეული Jahres-; ~ წელი dieses
წლვა ausweiden, ausnehmen
წლივ jährlich; ყოველ ~ alljährlich
წლითი Jahres-; ~ წლადმდე jahraus jahrein
წლიურა jährlich
წლიური jährlich, Jahres-; ~ ანგარიში Jahresbericht *m*
წლობა sich jähren; ~ს წლობით auf Jahre hinaus
წლობითი jährlich; ~ მოძრაობა ქვეყნისა die jährliche Umdrehung der Erde
წლოვანება Jahr *n*, Alter *n*
წლოვანი bejahrt; ას-~ hundert- [jährig
წმასნვა flechten; drehen
წმახე scharf (im Geschmack)
წმახი (gesalzenes Gemüse)
წმენდა reinigen
წმენდარი Reiniger *m*
წმიდა s. წმინდა
წმინდა rein, lauter, heilig; ~ წონა Reingewicht *n*, Netto; ~ნი მამანი die heiligen Väter *pl.*; ~ ქვიშა feiner Sand *m*; ~ ნემსი dünne, feine Nadel *f*
წმინდაობა Reinheit *f*, Heiligkeit *f*
წნა flechten; s. a. წნვა
წნევა drücken, pressen; Druck *m*
წნელი Rute *f*, Gerte *f*
წნეხა pressen, ausdrücken
წნვა flechten
წნილი (eingemachtes Gemüse)
წნოვანი suppenartig
წნორი Rotweide *f* (Salix rubra); ~ს ბუჩქი Weidenstrauch *m*
წნული geflochten
წნური aus Lehm (und Flechtwerk)
წობა auftunken
წობილი aufgetunkt
წოდა s. წოდება
წოდება[1] rufen, nennen; heißen; Ruf *m*; Stand *m*; ~ აზნაურ შვილობისა Adelsstand *m*; უწოდა er nannte; უწოდდეს sie nannten; გეწოდოს du sollst genannt werden; უწოდე du sollst nennen; ეწოდა man nannte, მიწოდებს er ruft mich
წოდება[2] darreichen; s. მიწოდება
წოდებითი Ruf-; ~ ბრუნვა Vokativ *m*
წოდებული gerufen, genannt
წოდებულობით standesgemäß
წოვა s. წოვნა
წოვანა (Art Pilz)
წოვება an der Brust nähren; säugen
წოვნა saugen
წოლა liegen; ვჰსწევარ ich liege, წევს (ძევს) er liegt; გულში მაწევს es liegt mir auf dem Herzen
წოლილი gelegen
წონა wiegen, erwägen; Gewicht *n*
წონდიდი schwerwiegend
წონება gefallen; s. მოწონება
წონასწორი, -რობა Gleichgewicht *n*
წორო (Baumart)
წოტი s. ჭოტი
წოქი Pappelreisig *n*
წოქო weichgekochtes Ei *n*
წოწებრი konisch
წოწი Kegel *m*, Konus *m*
წოწნა saugen

წოწოლა Pyramide *f*; 2) kleine
წოწოქა (Kräutersuppe) [Eule *f*
წოწური konisch [s. a. მხალი
წოხნარი მხალი Brunnenkresse *f*;
წრახნილი zusammengedreht
წრე (arm.) Kreis *m*, Kreislinie *f*
წრეტა durchseihen, ausdrücken
წრთევა ins Wasser legen (kurze Zeit)
წრთნვა s. წვრთა
წრთობა glühen, härten (Eisen)
წრიალა Zeisig *m* [die Luft)
წრიალი Sausen (der Peitsche durch
წრიაპება piepen
წრიაპი Schneeschuh *m*; 2) Piepen
წრიმლი s. წირპლი
წრიპინი piepen, quieken
წრომი s. ჭოტი
წრტიალი nagender unerträglicher Schmerz *m*
წრუწუნა Winsler *m*; junge Maus *f*
წრუწუნი Winseln *n*, Piepen *n*
წრფე s. წრფელი
წრფედ aufrichtig, geradeheraus
წრფელი aufrichtig, recht, offen
წრფელობა einfach, schlicht sein; გულ~ Aufrichtigkeit *f*
წრფელობითი ბრუნვა Nominativ *m* (Gramm.)
წრფობა verwirrt sein, sich genieren
წრწ . . . s. a. ძრწ . . .
წრწვა s. წყვირვა [schmerzt mich
წრწნა sich grämen; მწრწნის es
წუ . . . s. a. წვ . . .
წუა Saft *m*
წუთეერთღა sofort
წუთი Minute *f*; Sekunde *f*; ~ს სოფელი vergängliches Leben *n*; ~ ცხოვრება zweckloses Leben *n*
წუთღა kaum
წუთხე, წუთხი salzig
წული Knabe *m*, Sohn *m*, Tochter *f*; ძმის ~, დის ~ Neffe *m*; Nichte *f*; ქალ ~ Tochter *f*
წულისწული Enkel *m*
წუმპე Sumpf *m*, Schlamm *m*
წუმწუმა Streichholz, Zündholz *n*
წუნება mißfallen, ausscheiden, aussortieren, ausmerzen; იწუნებდა er musterte aus
წუნი Mangel *m*, Fehler *m*
წუნობა s. წუნება
წუნწკელა Taugenichts *m*
წუნწ(კ)ლი Spritzer *m*, Tropfen *m*
წუნწუხი Schlamm *m*, Schmutz *m*
წუპაკი (*) gemein, schlecht
წურბელა Blutegel *m*
წურვა seihen, filtrieren; მზე იწურება die Sonne neigt sich
წურთვნელი Instruktor *m*
წურთნა Training *n*
წურწნა sich krümmen
წურწუკი (Art Hammel)
წურწუმა Waschbecken *n*
წურწური Tropfen *m*
წუღან vor kurzem, unlängst
წუღანდელი vorig
წუწვა spritzen
წუწი Spritzer *m*, Fleck *m*
წუწიანი vollgespritzt, naß
წუწკი geizig, gemein
წუწკობა Geiz *m*
წუწკუნი Geheul *n*
წუწნა aussaugen [men, knurren
წუწუნება, -ნი wehklagen; brum-
წუხანდელი gestrig, von gestern Abend

წუხება beunruhigen; s. წუხვა

წუხელ(ის) gestern

წუხვა, წუხილი sich beunruhigen, traurig, betrübt sein; sich sehnen, Trauer *f*, Betrübnis *f*; მაწუხებს es betrübt mich; ნუ სწუხდებით beunruhigen Sie sich nicht! ვსწუხვარ ich bedaure

წფობა wachsen; Wachstum *n*

წყავი s. მწყავი

წყალდიდობა Überschwemmung *f*

წყალება[1] in Wasser auflösen, wässern

წყალება[2], წყალვა bemitleiden, sich erbarmen; არ გეწყალვი du hast kein Mitleid mit mir; მეწყალვის es tut mir leid

წყალვარდნილი Wasserfall *m*

წყალი Wasser *n*; Gen. წყლის(ა) (vgl. die Zusammensetzungen unter წყლის); შავი ~ schmutziges Wasser *n*; ტფილი წყლები warme Quelle *f*; ვერცხლის ~ Quecksilber *n*; ~ს აირი Wassergas *n*; ~სბრუნარო Wasserturbine *f*; ~ს ზედაპირი Wasserspiegel *m*

წყალკურთხევა Wasserweihe *f* (am Heiligendreikönigsfest)

წყალმანკიერება Wassersucht *f*

წყალმანკიერი wassersüchtig

წყალნარევი mit Wasser gemischt

წყალობა verzeihen; Gnade *f*

წყალობება gnädig sein, beschenken

წყალობიანი gnädig

წყალსადენი Wasserleitung *f*

წყალსაზომი Wassermesser *m*

წყალუკრავი ungewässert, rein

წყალქვეშა Untersee-; ~ ნავი Unterseeboot *n*

წყალცოტაობა niedriger Wasserstand *m*

წყალწაღებული verloren, unglücklich

[*f* (Motacilla)

წყალწყალა wässerig; 2) Bachstelze

წყალჯავარი Glanz (des Edelsteines)

წყარო Quelle *f*; Brunnen *m*

წყაროება bewässern

წყაროებიანი quellenreich

წყდომა einstellen, unterbrechen; zerreißen; წყდება es zerreißt

წყება anfangen; Reihe *f*; ვიწყებ ich fange an; იწყება es beginnt; იწყო er begann

წყებადი Anfangs-, Elementar-

წყევა, -ვლა verfluchen; Fluch *m*

წყევ(ლ)ინება verfluchen lassen

წყენა unzufrieden, verdrießlich sein, verdrießen; schaden; აწყენს es schadet; ღმერთი იწყენს Gott zürnt; თავს ნუ იწყენ sei nicht verdrießlich! მაწყენს es betrübt mich; es bekommt mir nicht; მწყენია ich bin betrübt

წყენინება kränken

წყეპლა s. წკეპლა

წყეული verflucht

წყვა messen; Maß *n*; ვუწყვი ich messe (es) ab

წყვდევა einsperren, einschließen

წყვდეული eingesperrt

წყვდიადი, წყვდიადობა Finsternis *f*, Dunkelheit *f*, Dämmerung *f*

წყვდომა verderben, vernichten

წყვედა s. წყვეტა

წყვეტა unterbrechen; stoßen, schlagen, vernichten, zerreißen; იწყვიტა er hat sich losgerissen
წყვილედი paarig
წყვილი Paar *n*
წყვილიანი paarig
წყვირვა fließen (vom Eiter)
წყი s. მწყავი
წყილი s. რწყილი
წყინება, -ნობა beleidigen, kränken, verdrießen; schaden; ღმერთს ეწყინება Gott kränkt es
წყლა Schmerz *m* [der Zunge)
წყლაკუნი, -პუნი Schnalzen *n* (mit
წყლვა verwunden, verletzen
წყლიანი Wasser-, wasserreich; ენა ~ schlagfertig
წყლიანობა wässerige Stelle *f*
წყლიერი wässerig
წყლის(ა) Gen. zu წყალი [spülen
წყლის გადავლება mit Wasser be-
წყლისინა Vogelknöterich *m* (Poly-
წყლისკიდე Flußufer *n* [gonum)
წყლისმათოთი Kerbel *m* (Chaerophyllum)
წყლისმზიდავი Wasserträger *m*
წყლისპირი Flußufer *n*
წყლისსაქანელი Pumpe *f*
წყლისღიჭა (Art Lattich)
წყლისწასაყვანი Wasserleitungsröhre *f*
წყლისწიწმანა (Art Kresse)
წყლტუ glatt, eben, kahl
წყლულება, წყლული Wunde *f*
წყმდეული verloren, untergegangen
წყმენდა verderben, untergehen
წყნარა langsam, sachte
წყნარება beruhigen
წყნარი ruhig, still, sanft, bescheiden
წყნარ-წყნარა ganz leise
წყობა aufreihen, aneinander stellen oder legen; ხელის ~ nachhelfen
წყობილი geordnet, aufgereiht; 2) fünfsilbiger Vers *m*
წყობილობა Ordnung *f*, Reihe *f*
წყობილსიტყვაობა Wortbildung *f*, Wortfügung *f*
წყრთა Elle *f*
წყრთეული ellenlang
წყრთილი Türpfosten *m*
წყრომა, წყრომება zürnen, böse sein; Zorn *m*, Fluch *m*; მიწყრება er ist mir böse
წყურვა dürsten; ვიწყურვებ ich dürste
წყურ(ვ)იელი dürstend, durstig
წყურვილი Durst *m*
წყურტი Drang zum Trinken

ჭ

ჭა (p.) Brunnen *m*
ჭაბაკი s. ჭაშაკი [jung
ჭაბუკი (p.) Jüngling *m*, Knabe *m*;
ჭაბუკობა jung werden; Jugend *f*
ჭადრაკი (a.) Schach *n*
ჭავლი Zopf *m*; 2) Strömung *f*; 3) ~ ხისა Zweig *m*
ჭაკი Stute *f*; ვირის ~ Eselin *f*
ჭაკუნტელა (Art Rübe)
ჭალა Bäume oder Gesträuch am Wasser; Wiese *f* am Wasser; Hain *m*
ჭალი Pfahl (Stütze am Wagen) *m*, Ständer der Wagenbrücke
ჭალიანი ურემი (Wagen mit Stützen zum Laden)
ჭამა essen; Speise *f*, Essen *n*; ვჭამთ wir essen; სჭამე iß! სჭამეთ esset! სჭამა er aß; სჭამეს sie aßen; ჩრჩილი სჭამს მაუდს die Motte zerfrißt das Tuch
ჭამადი Speise *f*; s. a. საჭამადი
ჭამება s. ჭამა
ჭანარი Karpfen *m* [(Alopecurus)
ჭანგა (ბალახი) Fuchsschwanz *m*
ჭანგი Säure *f*; ყვავის ~ Honigklee *m* (Melilotus)
ჭანდარი Platane *f*
ჭანდრაკი s. ჭადრაკი
ჭანეთი Lasistan (s. Anhang)
ჭანი mager
ჭანჭალი Hodensack *m*
ჭანჭიკი Bolzen *m*
ჭანჭრობი Sumpf *m*, Lehm *m*
ჭანჭური (Art Pflaume)
ჭანჭყალი klirren, klappern
ჭანჭყარება rütteln, rühren, schlagen
ჭანჭყარი Rühren *n* [mus)
ჭანჭყატი Spindelbaum *m* (Evony-
ჭაობი Sumpf *m*
ჭაობიანი sumpfig
ჭაპალი Zwergmaräne *f* (Fisch)
ჭაპანი Tragriemen *m*, Packriemen *m*
ჭაპანწყვეტა es schwer haben, unter Druck sein
ჭაპი Schuhriemen *m*
ჭაპრი Möwe *f*
ჭარბატელა (Grasart)
ჭარბება überwiegen, übertreffen
ჭარბი, -ბობა Überschuß *m*, Übergewicht *n*, Zuwage *f*
ჭარელა Hahnenkamm *m* (Rhinanthus); Gamander *m* (Teucrium)
ჭარი Möwe *f*; 2) (Name des Buchstabens ჭ)
ჭარიკი (altes Flüssigkeitsmaß)
ჭარკვანა (Weg in Serpentinen)
ჭარლი Eisvogel *m* (Alcyon)
ჭარმაგი (p.) grau; Apfelschimmel *m* (weißes Roß mit schwarzen Flecken)
ჭარმაგოსანი grauhaarig
ჭარმაგული gesetzt, ernst
ჭარმაღი grau; vgl. ჭარმაგი
ჭარო s. ჭარი [der *m*
ჭარტალი Schwätzer *m*, Verleum-

ჰარხალი rote Rübe *f*, Bete *f*, Mangold *m*; ჰარხლის შაქარი Rübenzucker *m* [pecurus]
ჰაუკა Wiesenfuchsschwanz *m* (Alo-
ჰაფალი s. ჰაპალი
ჰაქანი, ჰაქიჰუქი platzen, klirren
ჰაღარა grauhaarig
ჰაღვი Sichel *f*
ჰაღი Rolle *f*, Scharnier *n*
ჰაშა Schädel *m*
ჰაშაკი Gefäß *n*
ჰაშნიკება proben (Getränke)
ჰაშნიკი Probe *f* (von Getränken)
ჰაჰა[1] Treber *pl.*
ჰაჰა[2] Niere *f*
ჰაჰანება Schweigen *n*, Stille *f*
ჰაჰვი beide Hände voll
ჰახრაკი Schraube *f*
ჰდე Kerbstock *m*
ჰდევა einhacken, einkerben
ჰდეული eingekerbt
ჰედა[1], -დვა schmieden; ~ ცხენის ein Pferd beschlagen
ჰედა[2] einstopfen, einschlagen
ჰედი Gepräge *n*
ჰედილა Schlachthammel *m*; ~ ღორი Borg *m*, verschnittener Eber *m*
ჰედილი geschmiedet
ჰედმაღალი Widerrist
ჰევლი Strömung *f*
ჰელტვა sich anstrengen
ჰენება galoppieren; rennen; Galopp *m*
ჰენჯო Mus *n*
ჰერა halten; ergreifen, fassen; ვიჰერ ich fange, greife; თავს შორს ვიჰერ ich umgehe, vermeide; ვუჰერ ხელს ich fasse ihn an der Hand; მიჰირავს ich halte; უჰირავს er hält (ihn)
ჰერამი Aprikose *f*
ჰერი Decke *f* (des Zimmers)
ჰერილი gehalten
ჰექა donnern; poltern; Donnerschlag *m*; ცამ იჰექა der Donner grollte
ჰეშმარიტად (Adv.) wahrhaftig, wirklich
ჰეშმარიტება Wahrheit *f*
ჰეშმარიტი (arm.) wahr, wahrhaftig, wirklich
ჰეჰება außer sich sein
ჰეჰკეტა s. ჰანჯყატი
ჰეჰყა zerknüllen, zerdrücken
ჰეხა s. ჰექა
ჰვავი Roggen *m*
ჰვალვა s. მჰვალვა
ჰვალი Seitenstechen *n*
ჰვანგი Kralle *f*
ჰვარტალი anschwärzend, verleumderisch
ჰვარტვლა sich mit Ruß bedecken
ჰვარტლი s. მჰვარტლი
ჰვდა einhacken
ჰვე s. ჰვავი
ჰვილითი Haken *m* (zum Fischfang)
ჰვინტა(კა) Fink *m*
ჰვინტი (Vorderteil des Schuhes)
ჰვირვა durchsichtig sein
ჰვირთვა beladen
ჰვირი durchsichtig
ჰვიროზა sehen
ჰვრეთა durchbohren, meißeln
ჰვრეტა sehen
ჰვრიტი schielend
ჰვრიტინა kleines Fenster *n*

ჭია Wurm *m*; აბრეშუმის ~ Seidenraupe *f*
ჭიაკოკონა Scheiterhaufen *m*; 2) (Springen über Feuer am Mittwoch vor Ostern)
ჭიანაჭამი wurmstichig
ჭიანი wurmig, madig
ჭიანური (Art Geige)
ჭიანჭველა Ameise *f*
ჭიაფა Libelle *f*
ჭიაფანდურა Mistkäfer *m*
ჭიაფერა s. ფერაფერა
ჭიაფერი Cochenille *f*; scharlachrot; 2) s. ჭიისფერი
ჭიაყელა Wurm *m*; Regenwurm *m*; Köder *m* (am Angelhaken)
ჭიაჭუა Gewürm *n*
ჭიგო (Weinbergpfahl); s. სარი
ჭიდაობა kämpfen; Ringkampf *m*
ჭიდება, ჭიდილი Kampf *m*
ჭივილი zwitschern
ჭივჭავი Sperling *m*
ჭივჭივი s. ჭიკჭიკი
ჭითაში (Art Weintraube)
ჭიიანი wurmig
ჭიისფერი karminfarben
ჭიკუსხული Holzbirne *f*
ჭიკჭიკი zwitschern
ჭიკჭიკობა stammeln
ჭილი Rohrkolbe *f* (Typha), Stroh *n*; ჭილის ქუდი Strohhut *m*
ჭილიბი Bolzen *m*, Achsennagel *m* (am Rad)
ჭილო (Hülse der Zwiebel)
ჭილობი Matte *f*, Flechtwerk *n*
ჭილტვა sich neigen
ჭილყვავი Dohle *f*, Krähe *f*
ჭიმბური s. ჭიმური
ჭიმვა (aus)ziehen, ausdehnen
ჭიმი Zügel *pl.*; ~ს ადება პირთა den Zaum anlegen
ჭიმკა (böser Geist)
ჭიმონი Dudelsackpfeife *f*
ჭიმური (in Butter gekochter Reis)
ჭიმჭიმელა Mars *m* (Planet)
ჭიმჭიმი buntscheckig
ჭინახული s. ჭირნახული
ჭინვა spannen
ჭინკა Teufelchen *n*
ჭინო Käuzchen *n* [gang]
ჭინტება sich anstrengen (beim Stuhl-
ჭინული gespannt
ჭინჭარი Nessel *f* (Urtica); ჭინჭრის დედა Taubnessel *f* (Lamium)
ჭინჭველი Ameise *f*
ჭინჭი altes Zeug *n*, Lumpen *pl.*
ჭინჭილა kleiner Tonkrug *m* (zum Weintrinken)
ჭინჭრაქა Zaunkönig *m* (Troglodytes)
ჭინჭყლება, -ყლი sich ereifern, wetteifern; Wetteifer *m*
ჭიორა (Pflanze)
ჭიოტა Rade *f* (Lychnis); ~ მარგალიტი kleine Perle *f*
ჭიპი Nabel *m*
ჭირად (Adv.) schwierig, gefährlich
ჭირანო Mondkreislauf *m*
ჭირდებულება Sorgfalt *f*, Mühe *f*
ჭირება drücken, pressen; ~ ყელში am Halse packen; ვესაჭირვები er hat mich nötig; შენი თავი მეჭირება ich habe dich nötig; წაღა უჭირებს der Schuh drückt ihn; გულზედ მიჭერს es liegt mir schwer am Herzen; მჭირდე-

ბა mir ist nötig, ich brauche; მიჭირდება es wird mir schwer

ჭირვა, ჭირვება einnehmen, innehaben; sich in schwieriger Lage befinden; sich beunruhigen; sich quälen, dulden, leiden; ვიჭირავ ich halte fest, habe inne; უჭირავს დიდი ადგილი er nimmt eine große Stellung ein; ქირით უჭირავს er vermietet; თვალი მიჭირავს ich beobachte; მჭირს ich bin angesteckt; სიბერე მჭირს das Alter drückt mich; რა გჭირს? was schmerzt dich? ჯავრი მჭირს ich bin wütend

ჭირვეულება launisch sein

ჭირვეული launisch

ჭირი (p.) Elend *n*, Unglück *n*, Kummer *m*; Krankheit *f*, Pest *f*; შავი ~ Fallsucht *f*, Epilepsie *f*; ძროხის ~ Rinderpest *f*; ~ს ნახვა Unglück haben; ~ს ღღე schwarzer Tag *m*; შენი ჭირიმე mein Lieber! (»dein Unglück komme mir zu«)

ჭირიანი unglückbringend; krank

ჭირიანობა Krankheit *f*; Pest *f*

ჭირიმე s. ჭირი

ჭირისუფალი der (die) Trauernde

ჭირისუფლობა (Dienst am Toten)

ჭირნახადი einer, der die Pest durchgemacht hat

ჭირნახული mit Mühe erreicht; Getreide *n*; Ernte *f*

ჭირნახულობა Mühe *f*, saures Verdienst *n*

ჭირნახულობანი wohlerworben

ჭირობა Armut *f*, Elend *n*

ჭირხლი Reif *m* (gefrorener Tau); ~ მოეკიდა hat sich mit Reif bedeckt

ჭირხლიანი mit Reif bedeckt

ჭიტი (Faden am Spinnrad)

ჭიტლური (Art Weintraube)

ჭიუკა s. ჭაუკა

ჭიფხვა außer sich geraten

ჭიქა Glas *m*, Trinkglas *n*, Pokal

ჭიქიანი gläsern, Glas-

ჭიშკარი Pforte *f*

ჭიჭილა Gläschen *n*

ჭიჭინა Grille *f*, Heimchen *n*

ჭიჭინი zirpen

ჭიჭიტანა Spalte *f*, Riß *m*, Öffnung *f*

ჭიჭლა (kleiner Weinkrug)

ჭიჭლაყა, ჭიჭნაური (Seidenstoff)

ჭიჭნაუხტი Buntheit *f*

ჭიჭრიტანა s. ჭიჭიტანა

ჭიჭყინა Grunzen *n*; 2) Strömling *m*; ჭიჭყინი quieken [kleiner Stint *m*

ჭიჭყნა zerknüllen

ჭიხვინი wiehern

ჭიხი Laus *f*

ჭიხმაური unordentlicher Mensch *m*

ჭიხჭიხი brodeln

ჭკა junge Dohle *f*

ჭკადუა (Pilzart)

ჭკანტი mit den Fingern schnalzen

ჭკვა s. ჭკუ(ვ)ა

ჭკვალი s. ჭლაკვი

ჭკვიანება verständig sein

ჭკვიანი vernünftig

ჭკვიანური verständig

ჭკნარი (Art Weißdorn)

ჭკნობა welken; სახე მიჭკნება mein Gesicht wird runzlig

ჭკრთიალი mit den Zähnen knirschen
ჭკუ(ვ)ა Verstand *m*; Klugheit *f*; ~ ზედ ახლო არის das ist begreiflich; ~ გონება Verstand und Vernunft; ~ დაფანტული zerstreut; ~ მოკლე beschränkt; ~ მყოფელი verständig; ~ ნაკლები unvernünftig; ~ ნაკლებობა Beschränktheit *f*
ჭკუ(ვ)იანი klug, verständig
ჭკუტა kleine Birne *f*, Holzbirne *f*; ~ უშქური wilder Apfelbaum *m*
ჭკუღელი s. წყვილი
ჭლაკვი Zwiebel *f*, Lauch *m*
ჭლერქება schwindsüchtig sein
ჭლერქი Schwindsucht *f*
ჭლიკი Zweihufer *m*
ჭმაჭნვა zerknüllen; sich zieren
ჭმახე sauer, scharf
ჭმევა nähren
ჭმევინება sich ernähren lassen
ჭმუნება traurig sein
ჭმუნვა trauern; Trauer *f*, Wehmut *f*
ჭმუნვარე traurig
ჭმუნვარება traurig sein
ჭმუნვობა Trauer *f*
ჭმუჭნა zerknüllen
ჭმუხვა die Stirne runzeln
ჭნავი mager; 2) s. მჭნავი
ჭოგრი(ტი) dünne Stange *f*
ჭოვილო Schnepfe *f*, Bekassine *f*
ჭოთი (grobes Leinengewebe)
ჭოლაური Säbel *m*
ჭოლოკი (Spielhölzchen)
ჭომპო Lehm; s. წუმპე
ჭონა (Eiersammlung für die Armen zu Weihnachten)
ჭონი Hutmacher *m*
ჭონია (Kleidung der Gurier)
ჭოპოსანი Feile *f*, Raspel *f*
ჭორება, ჭორვა klatschen
ჭორი Geklatsch *n*
ჭორიკანობა Geklatsch *n*
ჭორკნა schlagen; schneiden
ჭორობა Klatsch *m*
ჭოროღი lange Spitze *f*
ჭოროხი Schlamm *m*; Angespültes *n*
ჭორტანა (Pflanze)
ჭორტკი (Fasanenjunges)
ჭორფლი Sommersprosse *f*
ჭორფლიანი, -ნობა voll Sommersprossen sein [art)
ჭოტი Eule *f*; ~ ლობიო (Bohnen-
ჭოღონაკი s. ჭაღი
ჭოჭება stauen, dämmen (Wasser)
ჭოჭი Pfütze *f*
ჭოჭინი Stelzen *pl.*
ჭოჭმანი wankelmütig sein
ჭოჭუა (Pflanze)
ჭრა schneiden; მუცელში მჭრის ich habe Leibschneiden; დანა კარგად სჭრის das Messer schneidet gut; ჭკუა არ მიჭრის es ist mir unverständlich; თვალი არ მიჭრის mein Auge sieht nicht
ჭრაქი (p.) Span *m*, Fackel *f*
ჭრელა s. ლუკუფხა
ჭრელად (Adv.) bunt; ~ მეჩვენება თვალში es flimmert mir vor den [Augen
ჭრელება bunt färben
ჭრელებული bunt gefärbt
ჭრელი bunt; buntfarbig
ჭრელობა Buntheit *f*
ჭრელჭრელი ganz bunt

ჭრიალა Klapper *f*
ჭრიალება knarren
ჭრიალი Geknarre *n*
ჭრიანტელი Amarant *m*; 2) (Kräutersuppe)
ჭრიკინი s. ჭროკინი
ჭრილობა Wunde *f*
ჭრინვა zwitschern
ჭრიჭინა Libelle *f*
ჭრიჭინი knarren
ჭრიხინი gackern
ჭროკინი zwitschern
ჭროღა bunt, grau; ~ თვალიანი grauäugig
ჭრტიალი glänzen
ჭრტინვა wehklagen
ჭრუვი hohl, leer
ჭრუტი schmaläugig, schlitzäugig; Spalte *f*, Höhle *f*, Loch *n*
ჭრჭალი s. ჭალი
ჭუ (Rückseite)
ჭუა s. ჭია
ჭუბური s. წაბლი
ჭუვილი Kummer *m*
ჭუვნიერი s. მჭმუნვარი
ჭუკჭუკი (Gänse-, Entengeschrei)
ჭულუმბური Judenkirsche *f*
ჭუმპალობა plätschern
ჭუმუტა (Art Weintraube)
ჭურვა sich bewaffnen, rüsten
ჭურვილი gerüstet, bewaffnet
ჭურთვა s. ჭვირთვა
ჭური Tongefäß *n* (für Wein)
ჭურიტინა s. ჭვრიტინა
ჭურმარანი Weinkeller *m* (mit Tongefäßen)
ჭურჭელი Geschirr *n*, Gerät *n*; [Schatz *m*
ჭუღელი Paar *n*
ჭუყჭუყი murren, kollern
ჭუჭრუტანა kleines Loch *n*
ჭუჭულა Küchlein *n*, Nestling *m*;
ჭუჭყი Schmutz *m* [vgl. წიწილა
ჭუჭყიანი schmutzig
ჭუჭყინა s. ჭიჭყნა
ჭუჭყუნი kollern, murren
ჭუხვა finster dreinsehen
ჭყავილი heulen, schreien
ჭყანტი Sumpf *m*, Morast *m*
ჭყაპი feuchter Schmutz *m*, Matsch *m*; თოვლ-~ Tauwetter *n*, Schlackwetter *n*
ჭყეტა die Augen aufreißen
ჭყვირება, ჭყვირვა, ჭყვირილი kreischen
ჭყივილი schreien
ჭყივჭყივი Gezwitscher *n*
ჭყიმა s. ჩალამბარა
ჭყიმი Schminkbeere *f* (Blitum)
ჭყიპანტა Taubenkropf *m* (Silene)
ჭყიჟორი Regenjahr *n*
ჭყირტი dreist, kühn [quetschen
ჭყლეტა zertreten, zerdrücken, zer-
ჭყლინტი frisch, unreif
ჭყონი s. მუხა
ჭყორვილი Fischbehälter *m*
ჭყორი s. ბაძგარა
ჭყორტოტი Bartgras *n* (Andropogon)
ჭყრტიალება glänzen
ჭყრტიალი Glanz *m*, heller Schein *m*
ჭყუმპულაობა baden, plätschern
ჭყუპალა (Art Pilz)
ჭყურტვა, -ტი Wassersucht *f*

ხ

ხაბაზი (p.) Bäcker *m*
ხაბარდა (a.) geh auf die Seite! nimm dich in Acht! Achtung! 2) Krinoline *f*
ხაბახუბა schlechte Früchte *pl.*, schlechtes Zeug *n*
ხაბიძგინა (Art Gebäck)
ხაბურზაკი Wassermelone *f*; s. a. საზამთრო
ხადანი s. ღადო
ხადილი rufen; Ruf *m*; Einladung *f*
ხადუმი (a.) Aufwartefrau *f*
ხავარტა Moos *n*, Flechte *f*; s. ხავსი
ხავერდი Sammet *m*
ხავილი röcheln; heulen
ხავიწი (Speise aus Mehl und Eiern)
ხავოიანი moosig
ხავონანი (Milchbrot)
ხავსი Flechte *f*, Moos *n*
ხაზაზი (p.) (Händler mit Seide)
ხაზარულა Immortelle *f*
ხაზვა zeichnen, liniieren
ხაზი Linie *f*, Strich *m*; Gedanken-
ხაზიდი Zobel *m* [strich *m*
ხაზინა (p., a.) Schatzkammer *f*, Fiskus *m*
ხაზინადარი Kassier *m*, Schatz-
ხაზული liniiert [meister *m*
ხაზწერტარი punktierte Linie *f*
ხათაბალა (p.) Elend *n*; Scherereі *f*; ~ს გადავეკიდე ich hatte Unannehmlichkeiten, Pech
ხათაბანდი (p.) Perlmutterarbeiter *m*
ხათავეთური s. ხატაური
ხათაია (chinesischer Seidenstoff)
ხათაური chinesisch s. a. ხატაური
ხათრება achten, Rücksicht nehmen auf [nahme *f*
ხათრი (a.) Achtung *f*, Rücksicht-
ხათრიანი achtend
ხათრითი Dreifuß *m*, Feuerbock *m*
ხათუნი (t.) Dame *f*
ხაინი (a.) Verräter *m*
ხალა Stange *f* [Schlafrock *m*
ხალათი (a.) Oberkleid *n*, Kaftan *m*,
ხალამბარი (p.) Speicher *m*
ხალანი Topf *m*
ხალასება Reinigung *f*, Raffinierung *f*
ხალასი (a.) rein; ~ ოქრო reines
ხალაჯაური Fesseln *pl.* [Gold *n*
ხალე Mastbaum *m*
ხალებიანი fleckig
ხალენი Schal *m* [Raum *m*
ხალვა[1] (a.) Freiheit, Einsamkeit *f*;
ხალვა[2] Halwa (Süßigkeit aus Honig)
ხალვა[3] brennen, rösten
ხალვათი weit, geräumig
ხალვათობა Raum *m*, große Aus-
ხალვარი s. ხარვარი [dehnung *f*
ხალთა Tasche *f*, Beutel *m*; ~-გუდა Ranzen *m*
ხალი (a.) Fleck *m* (am Körper); Leberfleck *m*; 2) Richtscheit *n* (der Maurer); 3) Teppich *m*

ხალინჯი langer Stab *m*
ხალისება anfeuern, ermuntern
ხალისი (a.) Lust *f*, Freude *f*
ხალისიანი lustig, lebensfroh
ხალისობა Lust *f*, Lebensfreude *f*
ხალიფაფა Weizengrütze *f*
ხალიფი (a.) Kalif *m*
ხალიფობა Kalifat *n*
ხალიჩა (p.) Teppich *m*
ხალხა Stange *f*
ხალხი (a.) Volk *n*, Leute *pl.*
ხალხობა, ხალხოსნობა Bevölkerung *f*
ხამა sich geziemen; ჰხამს es geziemt sich; ხამდა es gehörte sich; მხამს es geziemt sich mir; უხამს es geziemt sich ihm; vgl. ხვმა[1]
ხამანწაკი (kleines Wassertier)
ხამარი (a.) Weinschenke *f* [sein
ხამება stärken, steifen; befremdet
ხამი (a.) unbehauen, roh, unbearbeitet, ungebleicht; ~ კაცი Neuling *m*; ~ ცხენი nicht eingeritte-nes Pferd *n*
ხამლი Schuh *m*, Stiefel *m*
ხამრობა mit Wein handeln
ხამს es geziemt sich; s. ხამა
ხამსა Sprotten *pl.*
ხამსება sich passen, geziemen; მეხამსება es geziemt sich mir
ხამსვა s. ხამსება
ხამსი geziemend
ხამუში stören, genieren; მეხამუშება es geniert mich
ხამხა (p.) (Gewebe)
ხამხამება blinzeln
ხამხამი Blinzeln *n*
ხან manchmal; ~-~ bald-bald
ხანა Periode *f*, Ära *f*, Epoche *f*
ხანაგი Waisenhaus *n*
ხანგადასული verjährt, bejahrt
ხანგალი s. შულო
ხანგრძელი langjährig [während
ხანგრძლივი andauernd, immer-
ხანგრძლივობა Dauer *f*
ხანდაზმა Verzögerung *f*
ხანდაზმული verzögert; ehemalig, einstig, bejahrt
ხანდაზმულობა Verzögerung *f*
ხანდაკი Kanal *m*, Abgrund *m*, Tiefe *f*, Grube *f*
ხანდახან, ხანდისხან manchmal, bisweilen [ხანება
ხანება zögern, Zeit lassen; s. და-
ხანი[1] Zeit *f*; დიდი ~ა es ist lange her; ახლო ხანებში in Bälde; ხანში შესული bejahrt
ხანი[2] (p.) Chan *m*
ხანი[3] (Name des Buchstaben ხ)
ხანიერი langjährig
ხანიერობა Verweilen *n*; ~ მიცდია ich wartete lange
ხანობა Zeit *f* [Brot *n*
ხანოვანი dauernd; 2) ungesäuertes
ხანული = რძის მოზიარე Milchbruder *m*
ხანჩირი Band *n*, Riemen *m*
ხანძარი Steppenbrand *m*
ხანჭკვალა weiße Lupine *f*
ხანხალი s. კანკალი [(Geld)
ხანხვლა anbrennen; 2) verbringen
ხანჯალი, -ჯარი (p.) Dolchmesser *n*
ხაო[1] Haar (auf dem Tuche)
ხაო[2] Frostbeule *f*

ხაოიანი haarig, moosig
ხაპ(ერ)ი (Art Kürbis)
ხაჟუჟი (süße Arznei)
ხარ du bist; s. ყოფნა
ხარა (t.) Moiré *m*, *n* (Seidengewebe)
ხარაბა (a.) Trümmer *pl.*, Wüstenei *f*
ხარაბუა Holzkäfer *m*
ხარაბუზი Zebra *n*
ხარაბულა (Art Fisch)
ხარადრიონი Regenpfeifer *m* (Vogel)
ხარაზანი Mosaik *f*, *n* [macher *m*
ხარაზი (p.) (orientalischer) Schuh-
ხარასხა s. ჭარასხა [arbeit *f*
ხარატაული Drechsler-, Schnitz-
ხარატება Schnitzerei *f*, Drechslerei *f*
ხარატი (g.) Drechsler *m*
ხარატუკი s. ხარტუკი
ხარაფი (a.) Kunst *f*, Gewerbe *n*
ხარაჩო (Bau-) Gerüst *n*, Gestell *n*
ხარახურა allerlei Kram *m*
ხარაჯა (a.) (Steuer der Christen an die Muslime)
ხარბება gierig sein
ხარბი (a.) gierig, unersättlich
ხარბობა Gier *f*
ხარბუზაკი Wassermelone *f*
ხარბუხა starker Husten *m*
ხარგა Zelt *n*
ხარდალი Senf *m*; s. a. მდოგვი
ხარდანი Weinberg *m*; 2) (Art Weintraube)
ხარდიორდა hockende Stellung *f*
ხარება verkünden (Frohes), sich freuen; მიხარია ich freue mich; უხარია er freut sich; გვიხარია wir freuen uns; გიხაროდეს freue dich!
ხარებობა (Mariä Verkündigung)
ხარებული verkündet
ხარვალი (t.) (Gewicht: 100 Batman)
ხარვება gierig sein
ხართუთა Maulbeerbaum *m*
ხარი Stier *m*, Ochs *m*; ~ს თვალა Färberkamille *f* (Anthemis tinctoria); 2) (Art Weintraube); ~ს კბილა Christauge *n* (Crepis); ~ს ფაშვა Speisemorchel *f*; ~ ძირა Nieswurz *f* (Helleborus)
ხარიდანი (Art Weintraube)
ხარიპარია Abendstern *m*
ხარისხეული Stufen-, Grad-
ხარისხი (arm.) Stufe *f*; Grad *m*; Potenz *f*; Würde *f*; დადებითი ~ Positiv *m* (Gramm.); შედარებითი Komparativ *m*; აღმატებითი ~ Superlativ *m*
ხარისხობა Grad *m*, Würde *f*
ხარისხოვანი gestuft, gradiert
ხარიხა Gestell *n*; Barriere *f*
ხარკამ(ბ)ეჩი Büffelochs *m*; 2) Rinderbesitz *m*; 3) Arbeitsvieh *n*
ხარკვა sich anstrengen
ხარკი Abgabe *f*, Steuer *f*
ხარო Grube *f*
ხარტი Wetzstein *n*, Schärfer *m*
ხარტუკი Zaum *m*, Knebel *m*, Haken *m*
ხარფუზი (t.) s. ხაზამთრო
ხარშაკი s. ხორშაკი
ხარშვა kochen; კუჭი ხარშავს საჭმელს der Magen verdaut die Speise [georg. Nationalspeise)
ხარშო (gewürzte Gemüsebrühe;
ხარჩო s. ხარშო

ხარჯა s. ხასა
ხარხარი lachen, kichern
ხარჯვა ausgeben, verschwenden
ხარჯვინება ausgeben lassen
ხარჯთაღრიცხვა Voranschlag *m*, Etat *m*
ხარჯი (a.) Ausgaben *pl.*, Kosten *pl.*
ხასა (a.) Mätresse *f*
ხასაგიანი (t.) Begleitung *f*
ხასადარი (p.) Gutsverwalter *m* des Königs
ხასადრობა Krongutsverwaltung *f*
ხასი (a.) rein; vornehm, Hof-
ხასიათი (a.) Charakter *m* [pinia)
ხასყირმიზი Pernambuk *m* (Caesal-
ხატაეთი China (s. Anhang)
ხატაური (chinesische Seide)
ხატვა zeichnen, darstellen, abbilden, ausdrücken; ვხატავ ich zeichne
ხატი (a.) Bild *n*, Heiligenbild *n*; Abbild *n*; Zeichnung *f*; ხატად და მსგავსად ჩვენდა nach unserem Ebenbild und Ähnlichkeit; ხატად ღვთისად zum Bilde Gottes; ~ს ხე heiliger Hain *m*
ხატოვანი dargestellt, Ausdrucks-
ხატოვნება Darstellung *f*, Bild *n*
ხატრი მსხალი (Art Birne)
ხაფად (Adv.) rasch, flink, lebendig, plötzlich
ხაფანგი Fußangel *f*; Schleuse *f*
ხაფება in den Kampf treten, überfallen
ხაფიფი schrecklich, grausam
ხაფ-ხაფი Summen *n*, Brausen *n*
ხაშალი kränklich, siech
ხაშარი Stütze *f*, Unterlage *f*
საში[1] Sauerteig *m*; Hefe *f*
ხაში[2] (a.) (Eingeweide)
ხაში[3] (Speise aus Schweinebauch)
ხაშიში (a.) Arznei aus Hanfsamen, Haschisch *m* [Rindfleisch)
ხაშლამა (t.) (kaltes gekochtes
ხაშმი Sumpfgegend *f*
ხაშური Seesalz *n*
ხაშხაში (p.) Mohn *m*
ხაჭაპურა Spindelbaum *m* (Evony-
ხაჭაპური (Quarkkuchen) [mus)
ხაჭიჭორა Artischocke *f*; Schleifenblume *f* (Iberis)
ხაჭო Quark *m*
ხახა Schlund *m*, Gurgel *f*
ხახალი Korb *m*
ხახამა Steinbeere *f* (Rubus)
ხახამი (hebr.) Rabbiner *m*
ხახვი Zwiebel *f* [dorn *m*
ხახუნა Zwiebel(wurzel) *f*; 2) Schleh-
ხახუნი reiben; Reibung *f*
ხახუტი brüchig, löcherig
ხაჯი s. ცერცვი; 2) (a.) Hadschi, Mekkapilger *m*
ხბო Kalb *n*
ხბოიანი Kalbs- [Angelika *f*
ხბოსშუბლა Zaunwicke *f* (Vicia);
ხბოშერი Milchkalb *n*; Sproß *m*
ხდა öffnen; abnehmen; ausziehen; destillieren; სულის ~ töten; ქუდის ~ den Hut abnehmen; ~ ქაფის abschäumen; ხელის ~ ergreifen; ვალის ~ Schulden bezahlen; ჭირის ~ Schmerzen aushalten; მახვილის ~ das Schwert zücken; ჯარიმის ~ Strafe zahlen; მადლის ~ danken; რაღაც

ხდება es geschieht etwas, geht etwas vor; რა ხელს მხდი? wozu bin ich dir nützlich? ვიხდი ტანს ich ziehe mich aus; წაღებს იხდის er zieht die Schuhe aus; მხდელი lösend, destillierend; მხდელი ხელისა einer, der sich an etwas macht, unternimmt
ხდალი s. მხდალი
ხდევინება öffnen lassen; zahlen lassen
ხდენა verderben
ხდილი geöffnet; entblößt, gezückt (Schwert)
ხდლური feig(e)
ხდომა treffen; sich ereignen; werden, geschehen; vergehen; passen; ჰხდა ამბავი es ging das Gerücht; მხვდების es kommt über mich; მიხდება paßt mir, steht mir; ჰაერი არ უხდება er verträgt das Klima nicht
ხე Baum *m*; Balken; ნაყოფიერი ~ Fruchtbaum *m*; ჩამომავლობის ~ Stammbaum *m*; ხის ჩარჩო Holzrahmen *m*; (s. a. die Zusammensetzungen mit ხის)
ხება betreffen; berühren; მეხება es betrifft mich; ხელს ვერ მახებს es kann mich nicht berühren
ხებალახა Nachtschatten *m* (Solanum)
ხებარდა s. აკაკი
ხებული durchbohrt; 2) gepflanzt, gesetzt
ხეგვიმრა Farnkraut *n*
ხედება sehen lassen
ხედვა sehen, schauen; Blick *m*; ვხედავ ich sehe
ხედვინება sehen lassen
ხედვითი sichtbar; Anschauungs-
ხედნა Pferde zureiten, dressieren
ხევა[1] reißen, zerreißen
ხევა[2] ächzen
ხევება zu Holz werden
ხეველი Bewohner einer Schlucht
ხევი Schlucht *f*, Kluft *f*, Hohlweg *m*
ხევნარიანი bewaldet
ხევრია plump, ungewandt
ხევხუვი Schlucht *f*
ხევხუვიანი schluchtenreich
ხეზი dünne Schnur *f*
ხეთეთრი s. ხვალო
ხეთქა stechen, brechen, spalten
ხეთქება schlagen, stoßen
ხეთქვა s. ხეთქა
ხეთქილი zerspalten, gespalten
ხეიბარი Krüppel *m*
ხეიბრობა Verstümmelung *f*
ხეივანი Allee *f*
ხეირება gedeihen
ხეირი Gedeihen *n*, das Gute
ხეირიანი passend, nützlich, tauglich
ხეკამა (Thapsia)
ხეკოდა Specht *m*
ხელად (Adv.) zur Hand; ამ~ für diesmal
ხელადა Weinkrug *m*
ხელადი Hand-
ხელამბარი kleiner Speicher *m*
ხელარგასანი mit einem Stab bewaffnet
ხელაური s. ხელეული
ხელაღებული verzweifelt
ხელაღპყრობით mit erhobenen Händen
ხელახლა(დ) von neuem, von Anfang
ხელბადე Handnetz *n*

ხელბორკილი Handfessel *f*
ხელგაუტეხელი ungeschickt, plump
ხელგაუძრავად (Adv.) ohne die Hände zu erheben
ხელგაშლილი freigebig
ხელგახსნილი mit offenen Händen
ხელგობა kleiner Trog *m*
ხელდაშავებული an der Hand verwundet
ხელდახელ aufs Geratewohl
ხელდებული schützend
ხელება böse sein, zürnen
ხელეული Armvoll *m*
ხელეჩო Hohlbeil *n*
ხელვა zur Hand haben
ხელზარი s. ხელძარი
ხელთგ . . . s. a. ხელგ . . .
ხელთგდება ergreifen; aushändigen
ხელთდასხმა die Hände auflegen, segnen, weihen
ხელთდება segnen
ხელთე (Sonntagsbuchstabe im Kirchenkalender)
ხელთება ergreifen, erfassen
ხელთეთრი weiße Hände *f pl.*
ხელთოფელა s. დუდგულა
ხელთსაქმარი Handarbeit *f*
ხელთუგდებელი nicht ergriffen
ხელთუფალი Souverän *m*
ხელთუქმნელი nicht mit der Hand gemacht [macht; 2) Götze *m*
ხელთქმნელი mit der Hand ge-
ხელთქონა in Händen haben
ხელთყოფა sich in jemands Händen befinden
ხელთწერილი Handschrift *f*, Urkunde *f*
ხელთჭერა in der Hand haben, besitzen
ხელი[1] Hand *f*; Arm *m*; Gewalt *f*; Schrift *f*; მხედრული ~ bürgerliche Schrift *f*; ხუცური ~ Kirchenschrift *f*; ხელებს იშმუშვნის er reibt sich die Hände; ხელს არ ვახლებ ich rühre keine Hand; ხელზედ მოსამსახურე Dienstbote *m*; ხელს არ მომცემს ist nicht vorteilhaft für mich; ხელი მომე hilf! მარტო ~ einsam; რა თქვენი ~ა? was geht das euch an? ფული ხელთ არა მაქვს ich habe kein Geld bei der Hand; ჩემ ხელა კაცი ein mir an Statur ähnlicher Mensch; რას ხელს ვაყრი was geht's mich an; ~ შემივა ich habe das Recht; ~არ მაქვს ich habe kein Anrecht darauf; რა ~ გაქვს? was geht's dich an? ჩემთან ~ არა გაქვს du hast keinerlei Rechte über mich; გული ხელთა არა მაქვს ich bin meiner selbst nicht Herr; თავი-ხელთა არა მაქვს ich bin gebunden; ich stecke in der Arbeit; ~ს ხელ წაღება aus der Hand nehmen; wegnehmen; ~ს ასამართავი Hilfsmittel *n*; ~ს აღება (jem. oder etwas) aufgeben; ~ს აღპრყრობა die Hände erheben; ~ს გამართვა helfen; leihen; ermöglichen; ~ს გული Handfläche *f*; ~ს დაფარება verbergen, decken; ~ს შემყურებელი abhängig; ~ს მიყოფა anfangen; ~ს მომართვა hel-

fen; ~ს მოსადები Handgriff *m*; ~ს მეურნე Verwalter *m*; ~ მოწერა unterschreiben; Unterschrift *f*; ~ს მქონებელი Amtsperson *f*; ~ს მხდელი vergeltend; ~ს საურავი Amt *n*, Verwaltung *f*; ~ს სწრობა, ~ს ტაცება ergreifen; ~ს უფალი souverän; ~ უფლება Herrschaft *f*, Souveränität *f*; ~ს უფროსი Chef *m*; ~ს ქვეშე untergeordnet, subaltern; ~ს შემხედავი abhängig; ~ს შესლვა das Recht haben; ~ს შეწყობა günstig gestalten, begünstigen; ~ს ჩართვა sich einmischen; ~ს წავლება ergreifen; ~ს წყობა helfen; ხელს მიწყობს er hilft mir; ~ს ხდა gebrauchen, benützen; რა ხელი ეხდება? was nützt es? ~ს ხლება berühren

ხელი[2] (arm.) verrückt, närrisch

ხელიანი Hand- [tragen

ხელითტარება auf den Händen

ხელისხელ von Hand zu Hand, zur

ხელკუბო Tragbahre [Hand

ხელმანდილი Hals-, Taschentuch *n*

ხელმანკიერი, -კიანი, -კი zarte

ხელმარტო einsam [Hände *f pl.*

ხელმარჯვე gewandt, flink

ხელმარჯვეობა Gewandtheit *f*

ხელმასწარა gewandt, flink

ხელმეორედ von neuem

ხელმიუყოფელი unberührt

ხელმოკლე mittellos

ხელმოკლეობა Mangel *m* (an Mitteln)

ხელმოსაჭრელი einer, dem die Hand abzuhacken ist

ხელმოჭდილი, -ჭდობილი mit verschränkten Armen

ხელმძღვანელი Führer *m*

ხელმწიფე Kaiser *m*, König *m*

ხელმწიფება regieren; Macht haben; Reich *n*; Macht *f*, Gewalt *f*

ხელმწიფობა regieren; Regalien *pl.*

ხელმწიფური kaiserlich, königlich

ხელნაკეთი handgemacht

ხელნაკლული nicht besitzend

ხელნაწერი Handschrift *f*

ხელობა Gewerbe *n*; Profession *f*

ხელოვანება künstlerische Tätigkeit ausüben [Künstler *m*

ხელოვანი erfahren, geschickt;

ხელოვნება Kunst *f*, Gewerbe *n*

ხელოვნური künstlich

ხელოსანი Handwerker *m*

ხელოსნობა Gewerbe *n*, Handwerk *n*

ხელოსნური Handwerks-

ხელსაბამი Armband *n*

ხელსაბანი Waschbecken *n*

ხელსაფქვავი Handmühle *f*

ხელსაქმარი, ხელსაქმე(ობა) Handarbeit *f* [brauchbar

ხელსაყარი tauglich, nützlich,

ხელსაწყო Handwerkszeug *n*

ხელსაჭერი Handgriff *m*

ხელსახები greifbar

ხელსახოცი Taschentuch *n*

ხელსუფთა Müßiggänger *m*

ხელსწრაფი flinkhändig

ხელტარი Handgriff *m*

ხელუკუღმა durcheinander, drunter und drüber

ხელური töricht

ხელურობა Dummheit *f*

ხელუქმარი nicht mit der Hand gemacht
ხელუყრელი leer, unnnütz
ხელუხლებ(ელ)ი unberührt, ganz
ხელფასი Arbeitslohn *m*, Verdienst *m*
ხელფიცხელი impulsiv
ხელფურჩი geschäftig
ხელფურჩობა Geschäftigkeit *f*
ხელქვეითი, -ქვეშე(თი) untergeordnet
ხელქმნა wahnsinnig machen
ხელქმნილი des Verstandes beraubt
ხელქოთანი kleiner Topf *m*
ხელყოფა, ხელყვა unternehmen, anfangen
ხელყუმბარა kleine Bombe *f*, Handgranate *f*
ხელშეკრული gebunden
ხელშეკრულობა Vertrag *m*, Abkommen *n*
ხელშემწყო Mithelfer *m*
ხელშეუვალი unberührbar; unbestreitbar
ხელშეუხებელი unberührt
ხელშეწყობა nachhelfen
ხელშეწყობით mit Hilfe
ხელშეხება berühren
ხელშუბა kleiner Speer *m*
ხელჩართული handgreiflich; ~ომი Nahkampf *m*
ხელჩაფი (Handkrug)
ხელჩქარად (Adv.) schnell, oberflächlich, obenhin
ხელცარიელი mit leeren Händen
ხელცახოცი s. ხელსახოცი
ხელცმული unter Schutz genommen, gesegnet
ხელცუდა s. ხელცარიელი
ხელცულა Hellebarde *f*
ხელძარი (Korb aus Reisig)
ხელწაურთავი nicht abgefertigt
ხელწერილი Urkunde *f*, Handschrift *f*, Schein *m*, schriftliche Verpflichtung; ~ს ჩამოართმევა jem. schriftlich verpflichten
ხელწმინდად (Adv.) mit reinen Händen
ხელხება in die Hand nehmen
ხელხელ Hand in Hand
ხელხუნდი Handfessel *f*
ხელჯაგი Handschuh *m*
ხელჯოხიანი mit einem Stock in der Hand
ხემსება abbeißen
ხემსი Krümel *m*, Brosamen *pl.*
ხემხუ (Art Weintraube)
ხენდრო Stachelbeere *f*
ხენეშა, -ში (arm.) schlecht, untauglich, faul
ხენიახურა Sumpfgarbe *f* (Ptarmica)
ხენჯი Schlacke *f*
ხეობა Tal *n*, Schlucht *f*
ხერგა s. ჩახერგა
ხერგი, -გული Verhau *m*, Barrikade *f*
ხე-რევანდი Rhabarber *m* (Rheum)
ხერთვისი Insel *f* (im Flußdelta)
ხერი s. ღერი
ხერკინა s. ბელეკონი
ხერტული Vogelkirsche *f* (Cerasus)
ხერუბიმი (hebr.) Cherubim
ხერხა sägen
ხერხება Geschick haben, meistern; passen, Glück haben; მეხერხება es glückt mir, ich habe Geschick (dazu); ხერხდება es wird gelingen; ახერხებს er ordnet an, arrangiert

ხერხემალი Rückgrat *n*, Wirbelsäule *f*
ხერხი[1] Säge *f*; Sägefisch *m*
ხერხი[2] Gewandtheit *f*, Geschicklichkeit *f*, Kunstgriff *m*
ხერხიანი geschickt, gewandt
ხერხიანობა Kunst *f*, Kunstgriff *m*
ხერხუნა Lochsäge *f*
ხესაეკლე s. ძეძვი
ხეტარი Holzstiel *m*
ხეტება herumschlendern, sich schleppen
ხეტი plump, schwerfällig
ხეტიალი s. ხეტება [nymus)
ხე-ტირელი Spindelbaum *m* (Evo-
ხეტუხტი Roseneibisch *m*, Ibischstrauch *m* (Hibiscus syriacus)
ხე-ტყე Bauholz *n*
ხეული s. დახეული [(Thymus)
ხეურცა Pfefferkraut *n*, Quendel *m*
ხეფარდა s. აკაკი(ს-ხე)
ხეყრუა s. დუდგულა
ხეშავა Faulbeerbaum *m* (Rhamnus)
ხეჩა s. ხლეჩა
ხეჩაკალი hölzerner Haken *m*
ხეჩასპერი (arm.) (Stellvertreter des Vaters bei der Trauung)
ხეჩვა s. ხლეჩა
ხეწა feilen, meißeln
ხეწითელი Rotholz *n*
ხეწიწვი Farnkraut *n*
ხეწნა hobeln; abziehen (Haut)
ხეჭეჭური (wilde, saftige Birne)
ხეჭი s. ხეჭო
ხეჭო Nußschale *f*
ხეჭრელა Kreuzdorn *m* (Rhamnus)
ხეჭუჭი Schale *f*, Hülse *f*
ხეხ(ვ)ა schleifen; reiben
ხეხი Schliff *m*
ხეხილი Obstbaum *m*
ხეხილნარი Obstgarten *m*
ხეხო Muskatnuß *f*
ხეხუ (Art Weintraube)
ხვადაგი s. ხვასტაგი
ხვადი (p.) Männchen *n* (der Tiere)
ხვავი Kornhaufen *m*, Haufen Getreide (Körner)
ხვაიშანი Hilfsmittel *n*
ხვაიშნება bitten für, um Hilfe bitten
ხვალ(ე) morgen; ხვალისა am Morgen; ~ს ხვალ, ხვალ ზევით übermorgen (ზეგ); ხვალამდინ bis
ხვალინდელი morgig [morgen
ხვალისად für, auf morgen
ხვალმე s. ხოლმე
ხვალო Silberpappel *f* (Populus alba)
ხვანძი s. ხვანჯი [der Hose)
ხვანჯარი Schnur *f* (zum Halten
ხვანჯვა verwirren
ხვანჯი Knoten *m*; Falle *f*
ხვანჯკოლა s. ლოპინარი
ხვარასნისთესლი Zitwer(samen) *m* (Curcuma)
ხვარბალი s. ხორბალი
ხვარეშანი s. ხვაიშანი [vulus)
ხვართქლა Ackerwinde *f* (Convol-
ხვართქლი s. ხვირთქლი
ხვარი s. ხოირი
ხვარტი große Hitze *f*, Schwüle *f*
ხვარშაკი s. ხორშაკი
ხვასტაგი (p.) Vieh *n*; Schatz *m*, Vermögen *n*
ხვაშიადი (p.) Geheimnis *n*
ხვდომა s. ხდომა

ხვება wegnehmen, wegziehen, abziehen; ausschließen
ხვედა Holzhammer *m*, Klöpfel *m*
ხვედნა begreifen; erraten
ხვედრება ins Ziel treffen; austeilen
ხვედრი Anteil *m*; Schicksal *n*
ხვევ(ნ)ა umwickeln, aufwickeln; umringen; თავზედ ~ auf sich nehmen; თვალის ~ jem. Sand in die Augen streuen, betrügen; ერთმანერთს ეხვევდენ sie umarmten einander; თავბრუ მეხვევა mir ist schwindlig
ხვეზა, -ზელი ungesäuerter Teig *m*
ხველა Husten *m*; ყივანა ~ Keuchhusten *m*
ხველება husten; ახველებს er hustet
ხვერთნა s. ჭამა
ხვერფი lockere Erde *f*
ხვესტი griesgrämig, grob
ხვეტა kehren
ხვეტი Ruder *n*; s. ხოპი
ხვეული umwunden, umwickelt, geschlängelt
ხვეწა schaben, hobeln
ხვეწება[1] stoßen, schlagen an
ხვეწება[2] s. ხვეწნა
ხვეწი Meißel *m*
ხვეწნა bitten, ersuchen; გეხვეწები ich flehe dich an; მეხვეწებოდა er bat mich [werben
ხვეჭა anhäufen, ansammeln; er-
ხვია Spirale *f*; ~ ზამბარი Spiral-
ხვივილი wiehern [feder *f*
ხვითქი Eidechse *f* s. ხვლიკი; ~ ოფლი starker Schweiß *m*; ოფლი ~თ მოდის der Schweiß läuft (ihm) von der Stirne
ხვილიფი Flußinsel *f* [Mühle)
